

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თათია ლელაძე

ბრიტანული და ქართული თოქშოუ როგორც ჟურნალისტური ჟანრი

დარგი/სპეციალობა 1005 - ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისი

2017

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	4
თავი 1. თოქშოუ როგორც დისკურსის ჟანრი-----	11
1. 1. თოქშოუს ჟანრის დეფინიცია-----	11
1.2. დისკურსის ანალიზი-----	16
1.2.1. თოქშოუ როგორც დისკურსის ნაწილი-----	20
1. 3. თოქშოუს ტიპები და მათი აგების ზოგადი პრინციპები-----	24
1. 4. თოქშოუს ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები-----	32
1. 5. თოქშოუ ბრიტანეთში-----	40
1. 6. თოქშოუ საქართველოში-----	43
1.7. თოქშოუს გავლენა საზოგადოებაზე-----	45
თავი 2. თოქშოუს საუბრის ფაზების სტრუქტურული და ლექსიკო- სტილისტური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში-----	48
2. 1. თოქშოუს დასაწყისი- გადაცემის გამხსნელი სიგნალები-----	48
2. 1.1. ბრიტანული თოქშოუს დასაწყისი-----	50
2. 1.2. ქართული თოქშოუს დასაწყისი-----	59
2. 2. თოქშოუს დასასრული- გადაცემის დამასრულებელი სიგნალები-----	69
2. 2. 1. ბრიტანული თოქშოუს დასასრული-----	70
2. 2. 2. ქართული თოქშოუს დასასრული-----	72

2.3. ჯერის სიგნალები ბრიტანულ თოქშოუმში -----	75
2.4 ჯერის სიგნალები ქართულ თოქშოუმში-----	81
2.5. შეწყვეტინების სიგნალები ბრიტანულ თოქშოუმში-----	84
2.6. შეწყვეტინების სიგნალები ქართულ თოქშოუმში-----	87
2.7. დისკურსის არამონაწილე პირთა შეზღუდვები-----	89
2.8. გრაისის მაქსიმუმის რეალიზაცია თოქშოუმში -----	93

თავი 3. ბრიტანული და ქართული თოქშოუს თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი----- 103

3.1. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა -თანამედროვე ენათმეცნიერების „ახალი“ დარგი და მისი თეორიული წინაპირობა-----	103
3.2. ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასაწყისის შეპირისპირებითი ანალიზი---	110
3.3. ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასასრულის შეპირისპირებითი ანალიზი-	119
3.4.ბრიტანული და ქართული თოქშოუს ჯერის სიგნალების შეპირისპირებითი ანალიზი -----	124
3.5.ბრიტანული და ქართული თოქშოუს შეწყვეტინების სიგნალების შეპირისპირებითი ანალიზი -----	129
3.6.თოქშოუს ჟანრი როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენი ინგლისურ და ქართულ ენებში-----	132
დასკვნა -----	135
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა-----	141
გამოყენებული სატელევიზიო საინფორმაციო საშუალებები-----	149

შესავალი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება თოქშოუს ტექსტის სტრუქტურულ და ლექსიკო-სტილისტურ თავისებურებების შეპირისპირებით შესწავლას ორ არამონათესავე - ინგლისურ და ქართულ -ენაში.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარკვეული ენობრივი ფენომენის ორ ენაში შეპირისპირებისას, პირველ რიგში, ყურადღების ცენტრში ექცევა მისი ფუნქციობის პრაგმატიკული ასპექტი, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის განხორციელების პირობებს, მიზანს, მეტყველ სუბიექტებს, კომუნიკაციის სახესა და ამასთან, მეტყველ სუბიექტების ერთმანეთთან დამოკიდებულებას. სხვადასხვა ენობრივი საზოგადოება სამყაროსეული კონტინუუმის ან მისი რომელიმე ფრაგმენტის სხვადასხვაგვარ ენობრივ რეალიზებას შეიძლება ახდენდეს, განსხვავება შეიძლება დაფიქსირდეს დისკურსის განხორციელების კულტურაშიც. ეს ყველაფერი აზროვნების სხვადასხვაობითა და კულტუროლოგიური თავისებურებებით შეიძლება აიხსნას.

გლობალიზაციისა და ღია საინფორმაციო სივრცის არსებობის პირობებში ხდება ამა თუ იმ სატელევიზიო ფორმატის გადმოღება და აქედან გამომდინარე, ბრიტანული და ქართული თოქშოუს ტექსტების კვლევისას დიდი განსხვავება მათ შორის არ არის მოსალოდნელი. თუმცა ყოველი ერის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკა განაპირობებს განსხვავებას, რომელიც, ძირითადად, ენობრივ დონეზე ვლინდება.

სადისერტაციო თემის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ა) კვლევის ობიექტს წარმოადგენს ისეთი მრავალგანზომილებიანი ფენომენი, როგორცაა მედიადისკურსი, მედიალინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი მედიალური კომპონენტი.

ბ) თოქშოუ, როგორც დისკურსის ჟანრი, სრულყოფილად არის ლინგვისტურად შესწავლილი ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში. ქართულ ლინგვისტიკაში კი ამ კუთხით უაღრესად მცირე რაოდენობით კვლევებია ჩატარებული.

ამასთან თოქშოუს ტექსტის, როგორც ტელევიზიაში წარმართული კომუნიკაციის ტიპი ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინარული კვლევის საგნად შეპირისპირებით

ჭრილში ენობრივი თავისებურებების კვლევითა და საერთო ენობრივ ფენომენტა და განსხვავებათა ჩვენებით. შეუსწავლელია თოქშოუს ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი კონტრასტულ პლანში – ინგლისური და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით.

გ) თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ სატელევიზიო დისკურსი სულ უფრო ხშირად ხდება ლინგვისტური კვლევის ობიექტი მსოფლიო მასშტაბით. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან საზოგადოების დიდი ინტერესი შეიმჩნევა მედიადისკურსის მიმართ.

დ) თემის აქტუალობა განისაზღვრება თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერესით სატელევიზიო დისკურსის მიმართ, რადგან იგი სხვადასხვა ენობრივი ერთეულის მეშვეობით კოლექტიურ აზროვნებაზე ზეგავლენის მოხდენის და შესაბამისად, ახალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებაა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ემპირიული მასალის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე პირველად წარმოჩინდება თოქშოუს ტექსტი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი, თოქშოუს ვერბალური/არავერბალური თავისებურებები, იზომორფიზმი და ალომორფიზმი შესაპირისპირებელ ენებში ენობრივ, სტრუქტურულ და ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტებში. ამასთან, თანამედროვე პარადიგმების (ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმები) ფარგლებში პირველად ხდება თოქშოუს ტექსტისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების გაანალიზება ინგლისურ და ქართულ ენებში. ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მომცა დამედგინა თოქშოუს ტიპები, მათი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები.

ნაშრომის მიზანია:

ა) გამოავლინოს თოქშოუს როგორც დისკურსის ჟანრის, ზოგად სტრუქტურულ-სტილისტური და პრაგმატიკული მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობაც მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას ქმნის;

ბ) დაადგინოს თოქშოუს ჟანრის კულტურის სპეციფიკით განპირობებული ლინგვისტური ნიშან-თვისებები;

გ) განიხილოს შეპირისპირების საფუძველზე ბრიტანულ და ქართულ თოქშოუს შორის არსებული ენობრივი თავისებურებები იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დასადგენად;

დ) წარმოადგინოს თოქშოუს ფენომენი, როგორც ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური სინთეზი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად დასახული და გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

ა) განსაზღვრულია თოქშოუს ცნება და დადგენილია მისი ტიპები; ნაჩვენებია თოქშოუს გავლენა საზოგადოებაზე.

ბ) შედგენილია საკვლევი კორპუსი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, რომლის ბაზაზე შესწავლილია თოქშოუს სამივე ქვეჟანრის თავისებურებები, როგორ ხდება მათი ფუნქციობის შეპირისპირება საანალიზო ენებში.

გ) განხილულია თოქშოუს გადაცემის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები, ჯერის სიგნალები, შეწყვეტინების სიგნალები, დისკურსის არამონაწილე პირთა შეზღუდვები და შედეგად დადგენილია მათ შორის არსებული იზომორფიზმი და ალომორფიზმი.

დ) გამოვლენილია ბრიტანული და ქართული თოქშოუს ტექსტის სტრუქტურული, ლექსიკო-გრამატიკული, სტილისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათის თავისებურებები, რომლებიც მას განიხილავს როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტმა და მიზანმა განაპირობა **კვლევის მეთოდოლოგია**. თოქშოუში მიმდინარე საუბარი, როგორც ენობრივი ფენომენი, საჭიროებს კომპლექსურ **ინტერდისციპლინარულ** მიდგომას. მის ინტერდისციპლინარულობას განაპირობებს საკვლევი თემის მრავალსპექტიანობა, ისეთი დისკურსული ჟანრის ანალიზი, რომელიც ჟურნალისტიკის სფეროს

განეკუთვნება. ძირითადად, ეს იქნება, რა თქმა უნდა, ლინგვისტური კვლევა, თუმცა იგი მოიცავს სოციო-კულტურულ და ლინგვოკულტურულ ასპექტებს. აქედან გამომდინარე, კვლევა ეფუძნება **ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზს**, რაც შეპირისპირების ეფექტურად განხორციელების საშუალებას იძლევა და ადგენს თავისებურებებს ორ ენაში: ინგლისურსა და ქართულში.

კვლევის დროს ვიყენებ **შეპირისპირებით მეთოდს**, რომელიც საშუალებას მაძლევს გამოვავლინო თოქშოუს ვერბალური, არავერბალური თავისებურებები ინგლისურ და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით. კვლევა წარმოებს ენათა უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ეს გზა შედარებით მარტივი და თვალსაჩინოა. კვლევისას ამოსავალია ინგლისური ენა, ჯერ ხდება საკვლევი ობიექტის გაანალიზება აღნიშნულ ენაში, შემდეგ კი ხდება მისი შეპირისპირება ქართულ ენასთან.

საკვლევი ობიექტის არსი და თავისებურებანი ყველაზე ეფექტურად მათი სხვადასხვა ენაში შეპირისპირებით ვლინდება. კონტრასტული ანალიზი იძლევა ენაში ისეთი სპეციფიკური შტრიხების დანახვის საშუალებას, რაც შიდაენობრივი კვლევისას შეიძლება არ გამოვლინდეს. შეპირისპირებითი კვლევა უაღრესად პროდუქტიულია თოქშოუს როგორც დისკურსის ჟანრის თავისებურებების ფუნქციობის შესასწავლად ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში.

მეტყველი სუბიექტის ენა განიხილება თავად ინდივიდთან, მის აზროვნებასთან, მსოფლმხედველობასთან, კულტურასთან და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში. ამ კონტექსტში ბრიტანული და ქართული თოქშოუს დისკურსის მონაწილეების საუბრისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შეპირისპირებითი შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში წარმოდგენილია, როგორც კვლევის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც სრულად წარმოაჩენს თოქშოუს ტექსტის სტრუქტურულ, ლექსიკო-გრამატიკულ, სტილისტურ და

ლინგვოკულტუროლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც ქმნიან მის ჟანრობრივ ტიპს და განაპირობებენ ტექსტის ნიშნობრივ სტატუსს.

ნაშრომის თეორიულ დანიშნულებას განაპირობებს ისიც, რომ მასში გაანალიზებული და შემუშავებული თეორიული დებულებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზოგადად დისკურსის ანალიზის სფეროში არსებული გამოკვლევების გამდიდრებაში და ხელს შეუწყობს, კონკრეტულად, ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში დისკურსის ანალიზის მიმართულებით კვლევის ტრადიციის დამკვიდრებას იმ მნიშვნელოვანი კუთხით, როგორცაა სატელევიზიო დისკურსი.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესოა როგორც ლინგვისტიკისთვის, ისე ჟურნალისტიკის სფეროთი დაინტერესებული პირთათვის. გარდა ამისა, კვლევის შედეგები და დისერტაციაში წარმოდგენილი ემპირიული მასალა შემუშავებული ანალიზის მეთოდოლოგიით შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში შეპირისპირებითი ლინგვისტიკის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, პრესისა და ტექსტის ანალიზის სწავლებისას.

თოქშოუმ ასევე შეიძლება დამხმარე როლი შეასრულოს უცხოურ ენის სწავლების კუთხითაც. თოქშოუს გამოყენება უცხოურ ენის სწავლებისას საშუალებას მისცემს ენის შემსწავლელს, დაეუფლონ ენას როგორც „ მოქმედ მექანიზმს“. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელს სასაუბრო რეგისტრისა და კომპეტენციის გაუმჯობესებაში.

საკვლევ მასალად კვლევის ინტერესიდან გამომდინარე გამოყენებული მაქვს თოქშოუს სამი ქვეჟანრის სამი ბრიტანული და სამი ქართული თოქშოუ:

ბრიტანული თოქშოეები:

- "The Graham Norton Show" (TV BBC)
- "The Alan Titchmarsh Show" (TV ITV)
- "Loose Women" (TV ITV)

ქართული თოქშოეები:

- „The ვანო 'ს Show" (TV რუსთავი 2)

- „ნანუკას შოუ" (TV რუსთავი 2)
- „დღის შოუ"(TV იმედი)

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 153 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის და თოქშოუთა (საანალიზო კორპუსი) სია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ასევე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში -„თოქშოუ როგორც დისკურსის ჟანრი"- წარმოდგენილია თოქშოუს დეფინიცია, მოცემულია თოქშოუს როგორც ჟანრისა და მისი ტიპების აღწერა. გამოვლენილია ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები, აღწერილია თოქშოუ, როგორც დისკურსის ნაწილი და ნაჩვენებია თოქშოუს გავლენა საზოგადოებაზე. მოცემულ თავში ასევე განხილულია თოქშოუს განვითარების ისტორია დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში.

მეორე თავი - „თოქშოუს საუბრის ფაზების სტრუქტურული და ლექსიკო-სტილისტური ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში" - ეძღვნება თოქშოუს საუბრის ფაზების სტრუქტურულ, ლექსიკო-გრამატიკულ და სტილისტურ ანალიზს ორ არამონათესავე ენაში. მოცემული თავი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა თოქშოუს დასაწყისისა და დასასრულის აღწერა, ჯერის სიგნალები, შეწყვეტინების სიგნალები, დისკურსის არამონაწილე პირთა შეზღუდვები და გრაისის მაქსიმების რეალიზაცია თოქშოუში.

მესამე თავი - „ბრიტანული და ქართული თოქშოუს თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი"-განიხილავს თოქშოუს საუბრის ფაზებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ, სტილისტურ და ლექსიკო-გრამატიკულ

თავისებურებათა კონტრასტულ ანალიზს ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში. თოქშოუ წარმოდგენილია როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენებათა სახით წარმოდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე („თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი), სამეცნიერო სესიებსა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე და კოლოკვიუმებზე. ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე 2016 წლის 20 სექტემბერს.

თავი 1. თოქშოუ როგორც დისკურსის ჟანრი

1.1. თოქშოუს ჟანრის დეფინიცია

თოქშოუს თანამედროვე მედიადისკურსში დიდი ადგილი უჭირავს. თოქშოუ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბადი და სავარაუდო აზროვნების სქემები.

მედიის კვლევაში ტერმინისადმი „თოქშოუ“ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, რის გამოც მისი კონტურების მკაფიო განსაზღვრა ვერ ხერხდება. ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი მაყურებლის პოზიციაა. მას ინტუიციურად ესმის, რას ნიშნავს თოქშოუ, რადგანაც ინდუქციურად მას ისეთი ტერმინების გვერდით განიხილავს, როგორცაა: დისკუსია, ინტერვიუ ან საუბარი.

ქართულ სატელევიზიო სივრცეში საკამათოა თვით ტერმინის მართლწერა. სხვადასხვა ქართულ სატელევიზიო არხზე შემოთავაზებულია ტერმინ „თოქშოუს“ სხვადასხვა ვარიაცია. მაგალითად, რუსთავი 2-ზე გვაქვს „ტოქშოუ“, პირველ არხზე და იმედზე – „თოქ-შოუ“, რიონზე – „თოქშოუ“. როგორც ვხედავთ, საქართველოში მასმედიის სფეროში ტერმინთან „თოქშოუ“ დაკავშირებით საყოველთაოდ აღიარებული აზრი არ არსებობს. მოცემული ვარიანტებიდან გამართლებულად ვთვლი ტერმინ „თოქშოუს“ გამოყენებას, რადგან ვფიქრობ, რომ „ტ“ ასობგერის არსებობა ქართულ ენაში რუსულის გავლენით არის განპირობებული (რუსულ ენაში „თ“ ასობგერა არ არის, ამიტომ მას ანაცვლებს „ტ“). ქართული ენა კი იძლევა ამის საშუალებას და, ჩემი აზრით, მართებულია „თოქშოუს“ გამოყენება.

თოქშოუ, როგორც თვით სახელიდანაც ჩანს, არის პროგრამა, რომელიც აუდიტორიას აწვდის საუბარსა და გართობას (ლივინგსტონი 1994:17).

ზოგადი დეფინიციით თოქშოუ არის გადაცემა, სადაც მოწვეული სტუმარი ან სტუმრები წამყვანთან ერთად განიხილავენ საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებს. მოწვეული სტუმრები შეიძლება იყვნენ როგორც ცნობილი, ისე ჩვეულებრივი ადამიანები.

სხვადასხვა ქვეყანაში თოქშოუს შექმნისა და განვითარების ისტორია სხვადასხვაგვარად წარიმართა. ამერიკა იყო პიონერი ქვეყანა, სადაც ეს ჟანრი იშვა. ვ. მიუსონის (მიუსონი 1993:11) თანახმად, იგი სათავეს იღებს 1930-იანი წლებიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც რადიოში გაჩნდა პირველი, აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი და ინტერაქციული საუბრით გაჯერებული პროგრამა (საინსი 2000:9). გადაცემების დიდმა პოპულარობამ უბიძგა წამყვანებს გაეკეთებინათ ამ ტიპის სატელევიზიო შოუებიც. შემდგომ უკვე მოხდა თოქშოუს ჟანრის სხვა ქვეყნებში ტრანსლირება. თანდათანობით ამერიკული მოდელის მიხედვით ადგილობრივი შოუების შექმნაც დაიწყო. ბუნებრივია, ეს ყოველივე ამერიკულ გავლენაზე მიანიშნებდა.

თოქშოუ განიხილება როგორც ნათელი, დინამიური სპექტაკლი; ამ ჟანრის ნიშნებია: საუბრის სიმსუბუქე, წამყვანის არტისტიზმი და აუდიტორიის აუცილებელი დასწრება (გლაიპი 2001:54). ლ.მიკოსი თოქშოუს სუბჟანრად მიიჩნევს, რითაც გართობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ინფორმაციას. ერთი ან რამდენიმე მასპინძელი სტუმართან ერთად საუბარს წარმართავს სტუდიაში ან დარბაზში პუბლიკის წინ; გადაცემა აქტუალურ თემებზე, მოვლენებზე ან თავად სტუმრებზეა (მიკოსი 1994:158). თოქშოუ ყოველდღიურ საუბართან ძალზედ ახლოს დგას. რადგანაც ამ ფორმატისათვის სინამდვილესთან სიახლოვე მნიშვნელოვანია, წამყვანები სტუმრებში ნამდვილი ემოციების გამოწვევას ცდილობენ.

თოქშოუში მოქმედება ვითარდება კონკრეტულ გარემოში, კერძოდ, სტუდიაში, სადაც ხდება გადაცემის ჩაწერა.

თოქშოუს ჟანრის უფრო დაწვრილებით განხილვისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ცნება „ჟანრის“ განსაზღვრა. „ჟანრზე“ მხოლოდ მაშინ საუბრობენ, როცა, პირველყოვლისა, ორი წინაპირობა სრულდება:

1. სატელევიზიო ჟანრმა უნდა შემოგვთავაზოს პროგრამა სახასიათო კონტურებით.

2. გადაცემა, რომელიც ერთი და იმავე დროის მონაკვეთში გადის, სერიული ხასიათისაა.

თოქშოუს ჟანრად განხილვისათვის საჭიროა დადგინდეს ელემენტები, რომლებიც მუდამ მეორდება და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი – არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ტიპის თოქშოუს განვიხილავთ, პოლიტიკურს თუ გასართობს.

თოქშოუს ჟანრი შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით განიხილება:

1. **გადაცემის სერიული ხასიათი:** გადაცემის სისტემატურად გამეორება მაყურებელს აძლევს შეგრძნებას, რომ ეს ყველაფერი მისთვის კარგად ნაცნობია და მის ცნობიერებაში თოქშოუ მკვიდრდება როგორც მყარი წარმონაქმნი.

2. **მასპინძლის ცენტრალური ფიგურა:** მოდერატორი გადაცემის წარმატების ან წარუმატებლობის წინაპირობაა. გადაცემა ხშირად წამყვანის სახელს ატარებს. კომუნიკაბელური, წარმატებული წამყვანისათვის საკუთარ სტილთან ერთად დამახასიათებელია ინტერაქცია სტუდიის სტუმრებთან და სატელევიზიო რეციპიენტებთან.

3. **პიროვნებებზე ორიენტირებული:** თოქშოუ საქმიანი საუბარი კი არ არის, არამედ პიროვნებებზეა დამოკიდებული. თოქშოუს მთავარი მიზანი ცალკეულ პიროვნებათა დახასიათებაა და არა რაიმე თემაზე დისკუსია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პრინციპი ყოველთვის არ მოქმედებს პოლიტიკურ თოქშოუში. ზოგიერთ პოლიტიკურ თოქშოუში გადაცემის მიზანია თემის გაშლა და სწორედ თემის მიხედვით ხდება სტუმრების შერჩევა. შესაბამისად, პიროვნებებზე ორიენტირების საკითხი გასართობი თოქშოუსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კრიტერიუმია.

მ. ფლაი (ფლაი, 1997:25) თოქშოუდ იმ გადაცემებს მიიჩნევს, რომლებიც შემდგომ პირობებს აკმაყოფილებენ:

1. **საუბრის კონცეფცია:** გადაცემის უმეტესი ნაწილი საუბრისგან შედგება, რომელსაც სულ მცირე ორი ერთმანეთთან ეკრანზე ხილვადი პიროვნება წარმართავს. ეს არავერბალური კომუნიკაციის გადაცემის საშუალებასაც იძლევა.

2. მიზნის პირველადი თავისუფლება: წამყვანისა და სტუმრის მიერ გამოყენებული ენობრივი გამონათქვამები სპონტანურია.

3. საუბრის ცალმხრივი თავისუფლება: სულ მცირე საუბრის ერთ-ერთი მხარე თავის გამონათქვამებს წინასწარ არ განსაზღვრავს.

4. ლოკალური ერთიანობა: გადაცემები ერთ ადგილზე და ერთ დროს მიმდინარეობს.

5. სერიული ხასიათი.

მ. ფლასისათვის თოქშოუს ფაკულტატურ ელემენტს წარმოადგენს დამსწრე პუბლიკის ყოფნა ჩაწერისას ან პირდაპირი გადაცემისას, რადგან ბევრგან იგი მხოლოდ კულისების როლს ასრულებს (ibid.: 117).

თოქშოუში დომინირებს საუბარი. ისმის კითხვა: რა არის საუბარი? ყოველდღიურობაში მისი განსაზღვრა ოთხი კრიტერიუმით ხდება: სულ მცირე ორი ინტერაქტანტი, მოსაუბრეთა მონაცვლეობა, ზეპირი ტექსტის რეალიზაცია და კონკრეტული თემა (იხ. სქემა №1). ლინგვისტური დეფინიციაც მსგავსია: საუბარი ენობრივი გამონათქვამების შეზღუდულ მიმდინარეობას წარმოადგენს, რომელიც დიალოგურადაა წარმოდგენილი და თემატურ ორიენტაციას ამჟღავნებს. ენობრივი გამონათქვამების მიმდინარეობა იგივეა, რაც ზეპირი ტექსტის რეალიზაცია, ხოლო დიალოგურობა სულ მცირე ორ ინტერაქტანტს გულისხმობს (პლაკე 2004:34). ეს ნიშნავს, რომ თოქშოუს საუბრისადმი წაყენებულ როგორც ყოველდღიურ, ისე ლინგვისტურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.


თოქშოუ მასმედიაში მიმდინარე საუბარია, რომელიც არანაპირებულ, ბუნებრივ საუბარს მიეკუთვნება. თოქშოუს ინტერაქტანტები კომუნიკაციას პირისპირ აწარმოებენ, რაც დროსა და სივრცეში თანადროულად ფიზიკური სიახლოვის პირობებში მიმდინარეობს.

თოქშოუ ორ ადამიანს შორის ინტერპერსონალური ან ჯგუფური საუბარია. იგი ასიმეტრიულია, რაც განპირობებულია საუბრის სტრუქტურითა და ორგანიზაციით. რაც შეეხება მოსაუბრეებს, ისინი უმეტესწილად მოუმზადებელნი არიან, რაც არ

შეიძლება ითქვას მოდერატორზე. მართალია, მოდერატორი სპეციალურად ემზადება გადაცემისათვის, მაგრამ თოქშოუს წაყვანის დროს არ ხდება წინასწარ გამზადებული ტექსტების უბრალოდ წაკითხვა. თოქშოუში სტუმრები ზოგჯერ პროტესტის ნიშნად დროზე ადრე ტოვებენ გადაცემას, ძალზე იშვიათად ამას პირდაპირ ეთერში წამყვანებიც აკეთებენ. ეს მოწმობს იმას, რომ რაც არ უნდა მწვავე თემას განიხილავდნენ ინტერაქტანტები, ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობის თავისუფალ ნებას ადასტურებენ (მარტინეზი 2000:18).

სქემა №1

თოქშოუში მიმდინარე საუბრის ოთხი ძირითადი პრინციპი:



1.2. დისკურსის ანალიზი

დისკურსი ჩვენი ყოველდღიური რეალობის განუყოფელი ნაწილია. ლინგვისტურ ლიტერატურაში გვხვდება დისკურსის სხვადასხვა განმარტება. თვით სიტყვა „დისკურსი“ პოლისემიური ტერმინია, ზოგიერთი მეცნიერი მას ვიწრო თვალთახედვით შეისწავლის, ზოგიც უფრო ფართო გაგებით. იგი ხშირად ტექსტის და გამონათქვამის სინონიმადაც იხმარება. როგორც მ.პავო აღნიშნავს, მ. ფუკოსათვის დისკურსი არის იმ ფენომენების ერთიანობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აღვწეროთ აზროვნების დისკურსული ისტორია. ფუკო დისკურსს ასევე გამონათქვამებთან მიმართებაშიც განიხილავს, ამრიგად, მისთვის დისკურსი არის გამონათქვამების ერთიანობა, რადგანაც ორივეს ამოსავალი ერთი და იგივე დისკურსული ფორმაციაა (პავო 2003:92).

ძნელია გავარკვიოთ, რა განსხვავება და რა მსგავსებაა დისკურსსა და ტექსტს შორის, ხშირად ისინი გამოიყენება როგორც სინონიმები. თუმცა, წმინდა ინტუიციურ ემპირიულ დონეზე ცხადი უნდა იყოს მათი არა მხოლოდ კონტექსტუალური სიახლოვე (ისინი ერთ ანთროპოლოგიურ და სემანტიკურ კონტექსტს ეკუთვნიან), არამედ განსხვავება – ისინი წარმოადგენენ ამ კონტექსტის განსხვავებულ სემენტებს (ბაუმანი 1992:102). დისკურსი ეს არის ენის (ამ ტერმინის ფართო გაგებით) აქტუალიზაციის უშუალო და აუცილებლად პროპორციული ხასიათის მატარებელი შედეგი. ხოლო ტექსტი კი დისკურსის ის სემიოტიკურად ფიქსირებული შედეგია, რომელსაც შეუძლია განაგრძოს არსებობა მაშინაც კი, როცა დისკურსი უკვე წარსულს ეკუთვნის. ამიტომაც, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი, არამედ დროსთან მათი განსხვავებული მიმართების თვალსაზრისითაც. დისკურსი ექვემდებარება დროს, ტექსტი არა. მაგრამ ამავე დროს ნიშნავს იმ რეალობის რეკონსტრუქციას, რომელსაც ის ეკუთვნის. დისკურსი და ტექსტი განუყოფელნი არიან. ტექსტი ყოველთვის წარმოადგენს დისკურსის პროდუქტს და, თავის მხრივ, დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე (ბლეკმორი 1996 : 113).

დისკურსი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვები, წინადადება, ტექსტი, ნათქვამი ... თუმცა თითოეული მათგანი მისი განუყოფელი ნაწილია და შეუძლებელია დისკურსი არსებობდეს მათ გარეშე. დისკურსის მრავალფუნქციური ბუნება და პროგრესულობა გულისხმობს იმას, რომ დისკურსი ვითარდება, იზრდება, მრავლდება და კომპლექსურ ბუნებას იძენს, შესაბამისად, სულ უფრო და უფრო მეტი ინტერესი ჩნდება მის მიმართ. ერთი რამ, რასაც ყველა მკვლევარი და ლინგვისტი ეთანხმება, არის ის, რომ დისკურსის ანალიზი არის „მოქმედი ენის“ ანალიზი, როგორც ამას მკვლევარები ჯილიან ბრაუნი და ჯორჯ იული უწოდებენ (ბრაუნი, იული 1983:11).

თანამედროვე დისკურსის ანალიზი დაინტერესებულია „მოქმედი“ ენის ანალიზით. დისკურსი ეხება როგორც ზოგად კონტექსტში პირობითად ნათქვამს თუ დაწერილს, ასევე კონკრეტულ შემთხვევაში ნათქვამს ან დაწერილს. ის განიხილება როგორც ტექსტების ერთობლიობა სხვადასხვა სახის მეტყველებაში (ბეიქერი 2006 : 65).

დისკურსის ანალიზი არის გამოყენებითი ენის ანალიზი. დისკურსის ანალიზის წარმომადგენლები ცდილობენ ენა განიხილონ გამოყენებით ასპექტში. დისკურსის ანალიზისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სინტაქსური და სემანტიკური მონაცემების განხილვა, თუმცა განსაკუთრებით ღირებულია პრაგმატიკული მიდგომა.

ენის გამოყენებითი ღირებულება გამოიხატება ინფორმაციის გადაცემაში, რომელიც დაფუძნებულია კულტურულ აზროვნებაზე. ენის გამოყენება ინტერაქციული ფუნქციით უზრუნველყოფს მისი მეშვეობით სოციალური ურთიერთობების ფორმირებას (ბენვენისტი 1974 : 114).

დისკურსის ანალიზი, როგორც ლინგვისტური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა 60-იანი წლების ბოლოდან, რომლის მთავარ ობიექტს დისკურსი წარმოადგენდა. როგორც მ. დობტურიშვილი აღნიშნავს, იგი ასევე ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტია, რომლის სირთულეს განაპირობებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ ჰუმანიტარული კვლევის ისტორიაში პირველად შესწავლის საგანი ხდება ამა თუ იმ საზოგადოების მიერ შექმნილ გამონათქვამთა ერთიანობა, რაც ფუნქციურ სტილთა და ჟანრთა მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი (დობტურიშვილი 2004 :33).

დისკურსი, როგორც კვლევის ობიექტი, ენათმეცნიერებაში, დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას. ეს მიმდინარეობა წარმოიშვა სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულსა და პრაგმატიკული, კომუნიკაციური ლინგვისტიკის კვალდაკვალ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის ანალიზს მკვეთრად შემოსაზღვრული ჩარჩოები არ გააჩნია. გარდა ლინგვისტიკისა, იგი სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების ყურადღების ცენტრშია, როგორცაა, მაგალითად: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ.

ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ პირველად ლინგვისტიკის სფეროში გაჩნდა ზ. ჰარისის მიერ 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „დისკურსის ანალიზი“ (Analyse du discours). მან დისკურსის ანალიზს ზეფრაზული განფენილობა მიანიჭა, რომელიც თითქმის ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმია (ჰარისი 1952 :50).

დისკურსის ანალიზთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს დ. მენგენოს. მისთვის დისკურსის ანალიზის მთავარ საგანს ტექსტის შიდა ორგანიზაცია და საკომუნიკაციო სიტუაცია კი არ წარმოადგენს, არამედ გამონათქვამის მექანიზმი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ტექსტის ორგანიზაციასა და განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტს. ვინაიდან დისკურსის ანალიზისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტსაც, დ. მენგენის აზრით, მხოლოდ კონტექსტუალიზებული დისკურსი არსებობს. შეუძლებელია გამონათქვამს კონტექსტის გარეშე მიენიჭოს აზრი. დისკურსს ასევე შეუძლია განსაზღვროს თავისი კონტექსტი და შეცვალოს კიდევ თქმის პროცესში (მენგენო 2002:102).

დისკურსი არის არა კონტექსტიდან ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემა, არამედ იგი სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას წარმოადგენს (გრძელიძე 2014 :17).

დისკურსის ანალიზის მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ დისკურსი ისე, როგორც ენა სოციალური და საზოგადოებრივი მოვლენაა. დისკურსი ენის განუყოფელი ნაწილია და არ არსებობს მის გარეშე (ბლეკმორი 1992: 200). დისკურსის გაგებისა და ანალიზისათვის აუცილებელია განვიხილოთ ის მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ სივრცეში. შესაბამისად, დროსთან ერთად განვითარდა დისკურსის

სხვადასხვა ტიპი (პოლიტიკური, იურიდიული და ა.შ). თითოეულ ტექსტს გააჩნია დამახასიათებელი ლინგვისტური თვისებები, რომლებიც რეალიზდება ფუნქციური დისკურსის დროს. ამისათვის კი აუცილებელია კონტექსტი.

სოციალური კონტექსტი განაპირობებს დისკურსის ხასიათს: ზეპირია დისკურსი თუ წერილობითი, ვინ არის ჩართული მეტყველების პროცესში, სად და როდის მიმდინარეობს ის (ჰალიდეი 1985 :11).

ტერმინი „დისკურსი“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ყოველდღიურ სასაუბრო სიტუაციებშიც კი, სადაც დისკურსი „საუბარს“, „მეტყველებას“ აღნიშნავს (სქოლონი 2001:55). როგორ უკვე აღვნიშნეთ, თოქშოუ არის ყოველდღიური საუბარი. შესაბამისად, თოქშოუ განიხილება როგორც დისკურსის ნაწილი, რომელსაც უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავში განვიხილავ.

დისკურსის ანალიზისას ყურადღება ექცევა სუბიექტების მნიშვნელობას მეტყველების პროცესში. ამასთან დაკავშირებით საინტერესო აზრს გამოთქვამს ნ. ფარჯანაძე: „დისკურსში ჩართულნი არიან სოციალური სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთ სოციალურ კონტექსტში, როგორც დისკურსის თანამომოქმედი და თანამოქმედი ელემენტები. ანალიზი არის არა მარტო მნიშვნელობის მინიჭების რეტროსპექტული შესწავლა, არამედ მოქმედი სუბიექტის მიერ შექმნილი დისკურსის საშუალებით რეალობის ფორმირების კვლევა“ (ფარჯანაძე 2010:70). ამგვარად, დისკურსი არ იქმნება სოციუმის გარეშე, თუმცა როგორც ნორმან ფერკლო აღნიშნავს, დისკურსი არ არის ინდივიდუალური არჩევანის შედეგად მიღებული პროდუქტი (ფერკლო 2010:35).

მეტყველების პროცესში დისკურსი იძენს ახალ პარალინგვისტურ შემადგენლებს (მიმიკა, ჟესტები) , რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყოს თანამოსაუბრეზე რიტმული, სემანტიკური, ემოციურ-შეფასებითი და ზოგიერთი სხვა სახის ზემოქმედება, რაც მეტყველების ტრანსფორმაციისას ტექსტში გადმოიცემა სპეციფიკური ხერხებით – ფრეიმებით, შენიშვნებით, კომენტარებით და სხვა, რაც ასე

ხშირია თოქშოუს საუბარში. მათი არსებობა ტექსტში მას დისკურსად აქცევს. ამგვარად, დისკურსი ყოველთვის შეისწავლება კონკრეტულ ან ზოგად ცხოვრებისეულ სიტუაციასთან ერთად (გუმპერსი 1982:74).

დისკურსის კვლევა არის ინტერდისციპლინარული მეცნიერული სფერო, რომელშიც ლინგვისტებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები და კულტუროლოგები, ეთნოგრაფები და ლიტერატურათმცოდნეები, სტილისტები და ფილოლოგები.

მამასადამე, დისკურსი და მისი ანალიზი მეტად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ლინგვისტური მიმდინარეობისათვის და, შესაბამისად, ჩემი კვლევისთვისაც, რადგანაც სწორედ მის ფარგლებში ხდება ჩემ მიერ საკვლევი საკითხების შესწავლა.

1.2.1. თოქშოუ როგორც დისკურსის ნაწილი

თანამედროვე ლინგვისტიკაში კომუნიკაციური პარადიგმის შემოტანამ განსაზღვრა ახალი დარგებისა და კვლევის ახალი მეთოდების ჩამოყალიბება. ის უფრო მეტად კომუნიკაციაზეა ორიენტირებული და მარტო ძველ, ტრადიციულ დისციპლინებს კი არ აერთიანებს, არამედ ახალ დარგებსაც (სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა და ა.შ). შესაბამისად, კვლევის არეალში ექცევა ისეთი ენობრივი მოვლენები და ერთეულები, რომლებიც ენობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა განზომილებებს მოიცავს (ლებანიძე 1998 : 18).

საუბრის ანალიზი, რომელსაც დისკურსის ან კონვერსაციულ ანალიზსაც უწოდებენ, შედარებით ახალი ლინგვისტური დისციპლინაა და მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ექცევა კვლევის ფოკუსში და იგი მხოლოდ ზეპირ ენას შეისწავლის. მეცნიერების ამ სისტემურ-ემპირიული დარგის ასეთი გვიანი ჩამოყალიბება

გამოწვეულია იმით, რომ მანამდე ტექნიკურად შეუძლებელი იყო წარმოთქმული სიტყვის შესაბამის აპარატურაზე ჩაწერა (ლინკე 2004:24).

მიუხედავად ტექსტის ლინგვისტიკის მჭიდრო კავშირისა სამეტყველო აქტების თეორიასთან, საუბრის ანალიზი დამოუკიდებლად განვითარდა. ა.ლინკე მის საფუძვლებს უფრო მეტად ხედავს ამერიკულ ეთნომეთოდოლოგიაში, რომელიც წესრიგსა და სტრუქტურებს იკვლევს, რომელზეც სხვადასხვა კულტურებსა და ეთნოსებში ადამიანთა ქმედება და ინტერაქციაა დაფუძნებული. ეთნომეთოდოლოგიური მეთოდების გამოყენებით ენობრივი ინტერაქცია საუბარში ლინგვისტური კვლევის ცენტრალური ობიექტი გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერება და სხვა მონათესავე დისციპლინები, როგორცაა რიტორიკა და კლასიკური ბერძნული ფილოსოფია, ადრეც შეისწავლიდა საუბარს (პიეტრო 1971 : 150). კლასიკური რიტორიკის ბევრი კატეგორია საუბრის წარმოსახვით პარტნიორზე იყო მიმართული. კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში დიალოგი განიხილებოდა როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება ე.ი. როგორც აზრის მოძებნის ინტერაქციული ფორმა, რაც ფილოსოფიურ აზროვნებას უწყობს ხელს (ibid.:2004:194).

საუბრის ანალიზი იკვლევს კომუნიკაციის ორგანიზაციულ და სტრუქტურულ ასპექტებს. იგი შეისწავლის საუბრის ისეთ სტრუქტურებს, როგორცაა მოსაუბრეთა და მსმენელთა აქტივობა, საუბრის ფაზები, თემების მიმდინარეობა, საუბრის კონკრეტული ტიპები, ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელი ენობრივი ქცევა, სოციოკულტურული განსხვავებები ენობრივ ქცევაში და ა.შ. (ედმონდსონი 1981:65).

თოქშოუ საუბარია, რომელიც ტელევიზიაში მიმდინარეობს. ის ჰგავს ყოველდღიურ საუბარს, რადგანაც კომუნიკაციური სპონტანურობა ახასიათებს. ინტერაქტანტები ღიად და თავისუფლად განიხილავენ სხვადასხვა თემებს ფართო აუდიტორიის წინაშე, რაც მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მონაწილეებს როგორც მსახიობებს წინასწარ მომზადებულ ტექსტებს კი არ აწვდიან, არამედ ისინი თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს შესაბამის თემაზე.

თოქშოუ მიიჩნევა საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილად, ენობრივი ქმედების სახეობად გარკვეული თავისებურებებით, რომელსაც კოლექტიური პრაქტიკა და სპეციფიკური ზეგავლენა გააჩნია. რაც შეეხება ამ გადაცემების ვიდეოს ან ტრანსკრიპტს, ის „ტექსტს“ წარმოადგენს, რომელსაც სოციო-კულტურულ სივრცეში თავისი ამოცანები გააჩნია. ერთ-ერთი ფუნქცია ჩვეულებრივი ადამიანის ყოველდღიურობაში წარმოჩენაა. თოქშოუ ფორუმია, სადაც საზოგადოება საკუთარ თავს ქმედებასა და საუბარში უყურებს (ტოტი 1951 : 65).

სატელევიზიო საუბრები, მათ შორის თოქშოუ, აზრის შექმნის საშუალებას წარმოადგენს მაშინაც კი, როცა გასართობი ნაწილი საუბარში ძალზედ დიდია.

სატელევიზიო დისკურსის ზეპირ ფორმებში სულ უფრო მეტად ვლინდება სასაუბრო მეტყველების შემდეგი ნიშნები: არაოფიციალურობა, სიტუაციურობა, მოუმზადებლობა, შეუზღუდაობა, ზეპირმეტყველება, უშუალობა, სტერეოტიპულობა, დიალოგურობა, ემოციურობა, „ ყოველდღიური თემატიკა“, საუბრის პერსონალური ადრესაცია, რაც თოქშოუს დისკურსის ჟანრად აქცევს, რომელიც ყოველდღიურ საუბარს უახლოვდება.

კომუნიკაციაში სასაუბრო ელემენტების ჩართვას გააჩნია მნიშვნელოვანი ექსპრესიული პოტენციალი და აუცილებელ კომუნიკაციურ ეფექტს ახდენს, ესენია: კონტაქტის დამყარება, შემეცნებითი ინტერესის გაღვივება, სხვადასხვა საკითხზე დაფიქრება, ტელეკომუნიკატორებსა და აუდიტორიას შორის დიალოგის ხელშეწყობა (ლარინა 2004: 77-78).

საუბრის ანალიტიკური კვლევა დამოკიდებულია ჩაწერასა და რეპროდუქციაზე. სატელევიზიო საუბრის შემთხვევაში ეს საკმაოდ ადვილი გასაკეთებელია უბრალო ვიდეოტექნიკით, რასაც ყოველდღიურ საუბარზე ვერ ვიტყვით. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ ანალიზის მიზნებისათვის არანჭირებული და ჩაწერილი საუბარი უფრო „ბუნებრივი“ არაა „ სპონტანურობის“ თვალსაზრისით, ვიდრე სატელევიზიო საუბარი. მედიალური ასპექტები (კამერა, სტუდია, წამყვანი, თანამოსაუბრეები), მოლოდინის შესაბამისად და საუბრის ტიპიდან გამომდინარე, კონტექსტს ქმნის, რაც რეალობასთან

კონფლიქტში არ მოდის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუბარი ლინგვისტური მიზნებისათვის არ მიმდინარეობს და, აქედან გამომდინარე, დამკვირვებლების პარადოქსი ნაკლებად მოქმედებს (ფრაი-ბორერი 1991:50). ეს ფაქტორები თოქშოუს კვლევისათვის საინტერესოს ხდის.

თოქშოუში საუბარი რეალიზდება ვერბალური და არავერბალური ქმედებებით. ზეპირი ტექსტის ადეკვატური აღქმა-გაგებისა და შინაარსის სწორად დეკოდირებაში გასათვალისწინებელია არა მარტო, ის რას ვამბობთ, არამედ როგორ ვამბობთ. ამგვარად, ვერბალურზე არანაკლებ საინტერესოა ინტერაქტანტთა არავერბალური ქმედება. ხშირ შემთხვევაში თვალთ ნანახი უფრო დამაჯერებელ ეფექტს ტოვებს, ვიდრე მოსმენილი და უფრო მეტ გავლენას ახდენს მყურებელზე. არავერბალური კომუნიკაციის მთავარი საშუალებებია: ჟესტიკულაცია, მიმიკა, ვიზუალური კონტაქტი (თვალებისა და მზერის მოძრაობა), სხეულის მოძრაობა (ლინკე 2004:309). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა არავერბალური ქმედების დაფიქსირება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რეჟისორი წყვეტს, რა მოხვდება კამერის ობიექტივში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიური საუბრის სტილთან მსგავსება თოქშოუს დისკურსის ნაწილად აქცევს. ვერბალური და არავერბალური ქმედებების ერთიანობა კი თოქშოუში საუბრის ანალიზს განსაზღვრავს.

1.3. თოქშოუს ტიპები და მათი აგების ზოგადი პრინციპები


თოქშოუს განვითარების მანძილზე თოქშოუთა სხვადასხვა სახეობა დაფიქსირდა. მეცნიერები მათ კლასიფიკაციას სხვადასხვაგვარად ახდენენ. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ბერნარდ თიმბერგის მიერ ჩატარებული კვლევა. სწორედ, თიმბერგისეულ კლასიფიკაციას ემყარება ჩემი კვლევაც.

ბერნარდ თიმბერგი (თიმბერგი 2002:6-9) თოქშოუთა სამ ძირითად ტიპს გამოყოფს. მისი კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს დრო, როდის გადის გადაცემა ეთერში. თოქშოუში გამოიყოფა სამი ძირითადი ქვეჟანრი:

1. „გვიან-ღამის გასართობი თოქშოუ“ (The Late-Night Entertainment Talk Show) - ჩამოყალიბდა "The Tonight Show of Steve Allen and Jack Paar"-ის შოუს მოდელზე 1954-1961 წლებში. ამ ტიპის თოქშოუსთვის დამახასიათებელია მხიარული შეხვედრები ცნობილ სტუმართან ან სტუმრებთან, რომლებიც წამყვანთან ახლოს სხედან. 1950-იან წლებში სწორედ თოქშოუს ეს ტიპი გახდა დომინანტი საკაბელო ტელევიზიაში. ამ ტიპის შოუში ხდება ახალი ამბების, გართობისა და კომედიური ჟანრის მონოლოგების ერთმანეთში შერწყმა. წამყვანები ცდილობენ გადაცემის დასაწყისში ახალი ამბები კომიკურად წარმოგვიდგინონ და ამისათვის იყენებენ მხოლოდ ვერბალურ ან ვერბალური და ვიზუალური საშუალებების ნაზავს. სტუმრები განეკუთვნებიან სხვადასხვა სფეროს, ხელოვნებიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სტრუქტურულად ამ ქვეჟანრის თოქშოუ ისე, როგორც ზოგადად ეს ჟანრი, შედგება სამი ნაწილისაგან : შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (იხ. სქემა №2)

თოქსოუს ჟანრის განმსაზღვრელი სამი ძირითადი ელემენტი



თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილები გვიანი-დამის შოუში ზოგჯერ სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ბრიტანულ თოქსოუში (The Graham Norton

Show) შესავალს წინ უძღვის შესავალი-ანონსი, სადაც წამყვანი აუდიტორიასთან დგას ან ზის, აკეთებს მოკლე კომიკურ შესავალს და აცხადებს შოუს დაწყებას. თვით შესავალში იკვეთება ორი კომპონენტი: სტუმრის წარდგენა, რომელიც ხდება როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად (სურათების საშუალებით), შემდეგ წამყვანი მონოლოგის ფორმით სტუმრის შესახებ მოკლე ინფორმაციას აწვდის აუდიტორიას. შემდგომი ნაწილია – ინტერვიუ, როდესაც წამყვანი კითხვებს უსვამს თითოეულ სტუმარს. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რაიმე ნომერი ან სიმღერა, რის შემდეგაც წამყვანი კიდევ ერთხელ წარადგენს სტუმარს და ემშვიდობება აუდიტორიას.

ქართული გვიან-დამის თოქშოუს (The ვანო'ს Show) შესავალში წამყვანი იუმორისტული სახით წარმოადგენს უახლეს ამბებს, იყენებს როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ საშუალებებს (სურათებს, ვიდეოებს...) და ამის შემდეგ წარადგენს სტუმარს ან სტუმრებს. შემდგომი ნაწილი არის ინტერვიუ, რომელიც მიმდინარეობს კითხვა-პასუხის რეჟიმში და ბოლოს დასკვნა, რომელიც ბრიტანული თოქშოუს მსგავსად ორად იყოფა – მუსიკალური ნომერი ან სკეტჩი და სტუმრების კიდევ ერთხელ წარდგენა, აუდიტორიასთან დამშვიდობება.

რაც შეეხება დროს, ამ ქვეყანრის გადაცემა ეთერში გადის ღამე, კერძოდ, ბრიტანული (The Graham Norton Show) ღამის 9 საათზე და ქართული (The ვანო'ს Show) – ღამის 10 საათზე.

აქედან ჩანს, რომ ორი განსახვავებული კულტურის მქონე ქვეყნის ამ ქვეყანრის თოქშოუს ჩვენების სიხშირეში განსხვავება არ არის. ორივე მათგანი კვირაში ერთხელ გადის ეთერში. მცირე განსახვავება შეინიშნება გადაცემების ხანგრძლივობაში, კერძოდ, ბრიტანული თოქშოუ გრძელდება საშუალოდ 40-50 წუთი, ხოლო ქართული- 50-60 წუთი. ამრიგად, საკვლევ მასალად აღებული ბრიტანული და ქართული გვიან-დამის თოქშოუთა ანალიზი და შეპირისპირებითი კვლევა გვაჩვენებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მახასიათებლები და ფორმატი მცირე განსხვავებით ორივეგან შენარჩუნებულია.

2. „დღის შოუ აუდიტორიის მონაწილეობით“ (The Daytime Audience Participation Show) – ეს ფორმატი შეიქმნა ფილიპ დონაჰიუს მიერ 1967 წელს ოჰაიოში და ეფუძნებოდა დონაჰიუს ადრეულ რადიოშოუს, სადაც სტუდიის აუდიტორია პირდაპირ ჩართული იყო გადაცემაში ცნობილ ადამიანებთან დიალოგის ფორმით. მან „გააღვიძა“ აუდიტორია და საშუალება მისცა, მათ კითხვები დაესვათ ცნობილი ხალხისათვის.

თოქშოუს ეს ტიპი სათავეს იღებს ამერიკაში. სწორედ იქ ჩამოყალიბდა თოქშოუ, როგორც სატელევიზიო ჟანრი. ამ ტიპის ჟანრებში აუდიტორია პირდაპირ ჩართული იყო შოუში. ისინი საუბრობდნენ წამყვანთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. ამ ტიპის შოუშიც შენარჩუნებულია სტრუქტურის სამი ძირითადი ნაწილი: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ნაწილი ამ ქვეჟანრში განსხვავებულად იგება. ბრიტანულ შოუში (The Alan Titchmarsh Show) შესავალში გვხვდება მონოლოგის წინა შესავალი – ანონსი, სადაც ხდება წამყვანის გამოცხადება. წამყვანის შესავალი მოიცავს მისალმებასა და სტუმრის წარდგენას. ამ ქვეჟანრის სტრუქტურით ხასიათდება „ნანუკას შოუ“. ეს შოუც შედგება სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან. შესავალი იწყება წამყვანის მონოლოგით. გადაცემაში წარმოდგენილია სტუმარი ან სტუმრები, რომელთა წარდგენას წინ უსწრებს ნანუკას მიერ წარმოდგენილი დახასიათება. ინტერვიუს ნაწილში წამყვანი საუბრობს სტუმრებთან და დასკვნით ნაწილში მადლობას უხდის და ემშვიდობება სტუმრებსა და აუდიტორიას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ თიმბერგის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც დროზე იყო ორიენტირებული, აღარ მიესადაგება სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ „ნანუკას შოუ“ ეთერში გადის ღამის 10 საათზე, ვფიქრობ, რომ ის თავისი ფორმატიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე ამ ქვეჟანრს მიეკუთვნება.

დროის ცვლილება ალბათ განპირობებულია ქართული სოციალური რეალობით, რაც ქალების არსებული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარეა და, რადგან ასეთი ტიპის შოუ ძირითადად ქალებზეა გათვლილი, შესაბამისად, დროც მათთვის მისაღები უნდა იყოს. რაც შეეხება ბრიტანულ შოუს ის ეთერში შუადღეს გადის (ნებიერიძე 2013).

მათი ეთერში გასვლის სიხშირე იდენტური აღმოჩნდა, ორივე თოქშოუ ყოველკვირეულია. რაც შეეხება გადაცემის ხანგრძლივობას ბრიტანული თოქშოუ 60 წუთს გრძელდება, ხოლო ნანუკას შოუს ქრონომეტრაჟი 90 წუთია, რომელიც ზოგჯერ 120 წუთსაც აღწევს.

3. „დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის შოუ“ (The Early-Morning News Talk Magazine Show) ნაზავია ახალი ამბებისა და გასართობი შოუსი. ამ ქვეჟანრს განეკუთვნება ბრიტანული "Loose Women" და ქართული „დილის შოუ“ ამ ტიპის თოქშოუსათვის დამახასიათებელია რამდენიმე წამყვანი, რომლებიც ხშირად სხვადასხვა პროფესიისაა და მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავენ რაიმე თემას. ამ ფორმატშიც დაცულია სტრუქტურის სამი ნაწილი, თუმცა ისინი განსხვავდება წინა ორი ტიპისაგან. შესავალი წარმოდგენილია, როგორც დისკუსია, რომელიც იმართება წამყვანებს შორის გადაცემის მთავარი თემის ირგვლივ. ინტერვიუს ნაწილში კითხვების გარდა, წამყვანები ასევე ჰყვებიან თავიანთ ისტორიას. ისინი ყოველდღიური გადაცემებია. ამ ტიპის თოქშოუთა ეთერში გასვლის ხანგრძლივობა 60 წუთია.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეჟანრის თოქშოუ ერთმანეთისგან განსხვავდება ეთერში გასვლის სიხშირისა და ფორმატის მიხედვით. სტრუქტურულად ყველა თოქშოუ შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა, თუმცა გარკვეული განსხვავებები შეინიშნება სხვადასხვა ქვეჟანრისა და ქვეყნის თოქშოუში.

არსებობს თოქშოუს სხვაგვარი კლასიფიკაციაც. ვ. მიუსონი (მიუსონი 1993:7) მიიჩნევს, რომ დღეს არსებული თოქშოუ ძალიან "აწეწილი" გახდა, ანუ არსებობს თოქშოუს უამრავი ჰიბრიდული ვარიანტი. არსებობს თოქშოუს თიმბერგისაგან განსხვავებული კლასიფიკაცია, რომელიც სხვა მახასიათებლებს ემყარება და გამოიყოფა ორი ტიპის თოქშოუ: პიროვნულ მახასიათებლებზე ორიენტირებული და თემაზე ორიენტირებული (ილი 1999:23). პირველი ტიპის თოქშოუში წამყვანი კითხვების საშუალებით აუდიტორიას მოწვეული ცნობილი სტუმრის სახეს წარუდგენს, აწვდის მასზე და მის შემოქმედებაზე ინფორმაციას. განხილული თემები უფრო პირადულია და ნაკლებად საკამათო. თემაზე ორიენტირებული შოუ კი ყურადღებას ამახვილებს

სოციალურ საკითხებზე და გადაცემა მიმდინარეობს აუდიტორიასთან მათი განხილვისა და კომენტარების საშუალებით. თემები უფრო საკამათოა.

მიუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში არსებული თოქშოუსა, მათ შორის მაინც არსებობს საერთო პრინციპები ან წესები, რომლებიც ყველა ტიპის თოქშოუში მოიძებნება და გამოარჩევს მათ სხვა სატელევიზიო გადაცემებისაგან. სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად ბ.თიმბერგის მიხედვით (თიმბერგი 2002:17), გამოვყოფ თოქშოუს შემდეგ მახასიათებლებს:

1. თოქშოუს არ აქვს სცენარი, თუმცა ის დაგეგმილია. მას ჰყავს წამყვანი ან წამყვანები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გადაცემაზე, მართავენ მოწვეული სტუმრების სასაუბრო დროს და განაგრძობენ წარმოდგენილ თემას (თიმბერგი 2002:3). როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ყველა ზემოთქმულ თოქშოუში წამყვანს ან წამყვანებს აქვთ წინასწარ მომზადებული კითხვები, რომლებსაც სტუმარს ან სტუმრებს ეკითხებიან. მაგალითად, გრემ ნორტონს და ნანუკას ხელში უჭირავთ ბლოკნოტი, რომელშიც ჩანიშნული აქვთ კითხვები. ისინი გადაცემას აკონტროლებენ.

2. წამყვანები სარგებლობენ დიდი პოპულარობით, ისინი არიან სახეები, რომლებიც ყიდიან პროდუქტს (თიმბერგი 2001 :3). ემპირიულ მასალაში ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ შოუთა სახელწოდებები ხშირად შეიცავენ წამყვანის სახელს. მაგალითად, "The Graham Norton Show"(TV BBC), "The Alan Titchmarsh Show"(TV ITV) , „The ვანო's Show"(TV რუსთავი 2), „ნანუკას შოუ"(TV „რუსთავი 2"), თუმცა არის ისეთი შოუებიც, რომელთა სახელწოდებაში წამყვანის სახელი არ დომინირებს. მაგალითად, „დღის შოუ"(TV იმედი), "Loose Women"(TV ITV). ჩემი დაკვირვებით, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც თოქშოუს ჰყავს ორზე მეტი წამყვანი. სახელწოდებაში ყველა წამყვანის სახელის გამოყენება საკმაოდ რთულს გახდის მაყურებლისათვის სახელწოდებების დამახსოვრებას. ასევე, გრძელი სახელი ვიზუალურადაც არ იქნება ლამაზი და არც სახელწოდების კომპაქტურობის თვალსაზრისით იქნება გამართლებული.

3. საუბარი ყოველთვის აწმყო დროშია, იქნება პირდაპირი, ჩანაწერი თუ განმეორება, აწმყო დროის ილუზია მაინც ყოველთვის შენარჩუნებულია. ე. გოფმანის აზრით, თოქშოუებში არის „ცოცხალი საუბრის“ ეფექტი. ეს ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ ნარატივი მიმდინარეობს კითხვა-პასუხის სახით, ასევე ხშირად წინა პლანზე გამოდის ემოცია. არის შეცდომები, რაც დამახასიათებელია ცოცხალი საუბრისათვის, გადაფარვები მოსაუბრეთა ჯერებს შორის და ასევე ნაწილობრივ სტუდიის აუდიტორიის მონაწილეობა. თუმცა, ჩემი აზრით, თოქშოუში მაინც ნაკლებად ვხვდებით ე.წ. „ცოცხალ საუბარს“, რადგან დისკურსის მონაწილეები არიან არათანაბარ პირობებში, მათი როლი არის წინასწარ განსაზღვრული (ტოლსონი 2001: 27).

4. თოქშოუში გვხვდება ინსტიტუციური და არაინსტიტუციური მახასიათებლების გაერთიანება, შესაბამისად, ისინი განეკუთვნებიან ნახევრადინსტიტუციურ დისკურსის ჟანრს (ილი 2001:219).

5. თოქშოუში წარმოდგენილია კომუნიკაციური და სოციალური ქცევები, რომლებიც ასოცირდება ერთზე მეტ დისკურსის ტიპთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თოქშოუ შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა. შესავალი და დასკვნა უფრო გასართობი სტილის პროგრამას ჰგავს, რადგან მათი მიზანია მაყურებელს შეუქმნას დადებითი განწყობა. რაც შეეხება ინტერვიუს ნაწილს, სადაც კითხვა-პასუხია მოცემული, ის უფრო ემსგავსება ახალი ამბების ტიპის პროგრამას, რადგან კითხვების საშუალებით წამყვანი ცდილობს, გაიგოს რაიმე ახალი ინფორმაცია სტუმარზე. აქედან გამომდინარე, იგი გაართობისა და ინფორმაციის მიწოდების ნაზავია. ასევე თოქშოუს დიდი ნაწილი ეთმობა სპონტანურ საუბარს, რითაც ის ემსგავსება ყოველდღიურ საუბარს.

6. ყოველ თოქშოუს აქვს თავისი ქული და მუსიკა. ქული შეიცავს ნაწყვეტებს შოუს სხვადასხვა სერიიდან ან სპეციალურ ვიდეოკლიპებს. მათი დასრულების შემდეგ იწყება გადაცემა.

7. თოქშოუში თანმიმდევრობა არის სტრუქტურულად ორგანიზებული და იგი საუბრის, არავერბალური ელემენტების (როგორცაა მუსიკა, ტაში) და სხვადასხვა ვიდეო- მასალის ნაზავს წარმოადგენს.

8. ყველა თოქშოუს აქვს წინასწარ განსაზღვრული საეთერო დრო, რომელსაც არ უნდა გადააჭარბოს. ეს საშუალოდ ერთი საათიდან ორ საათამდე მერყეობს.

ზემოაღნიშნული თვისებები უნივერსალურია და ყველა ქვეყანისა და ყველა ქვეყნის თოქშოუსათვის არის დამახასიათებელი.

ჩემი კვლევა დაფუძნებულია ბ. თიმბერგის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაზე. ნაშრომში განვიხილავ ორი ქვეყნის: ბრიტანეთის და საქართველოს სატელევიზიო სივრცეში არსებულ თოქშოუს. შევისწავლი სამივე ტიპის თოქშოუს ორივე ქვეყნის რეალობაში, რაც გამოავლენს მათ კულტურულ, სოციალურ და ლინგვისტურ მახასიათებლებს, მათ მსგავსებასა და განსხვავებას.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თოქშოუ დამოუკიდებელი სატელევიზიო ჟანრია სხვადასხვა ქვესახეებით, რომელიც ბუნებრივ, არანჭირებულ სულ მცირე ცალმხრივად თავისუფალ, სერიულ საუბარს წარმოადგენს. მონაწილეები რეალურ, ყოველდღიურ და ლოკალურად ერთიან კონტექსტში მოქმედებენ. ის არის ორ პიროვნებას შორის მიმდინარე ან ჯგუფური ეკრანზე ხილვადი ასიმეტრიული ინტერაქცია, რომელშიც მოდერატორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ინტერაქციაში ჩართული პირების მიერ გამოყენებული ენობრივი გამონათქვამები ხშირ შემთხვევაში სპონტანურია, რითაც თოქშოუში მიმდინარე საუბარი ყოველდღიურ საუბარს ემსგავსება. თოქშოუში მიმდინარე დისკურსი გავლენას ახდენს მაცურებელთა ცნობიერებასა და ღირებულებებზე.

1. 4. თოქშოუს ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები

თოქშოუს ზოგადი მახასიათებლების შესწავლის შემდეგ გამოსაკვლევი, როგორია ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები თოქშოუს თითოეული ქვეჟანრისათვის.

ექსტრალინგვისტური მახასიათებლები იყოფა უნივერსალურ და მადიფერენცირებელ ნიშნებად ანთროპოცენტრისტული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორების მეშვეობით.

ექსტრალინგვისტური უნივერსალური ნიშნებია:

1. ანთროპოცენტრისტული ფაქტორი

- ა. მოდერატორი-მოდერატორები
- ბ. სტუმარი-სტუმრები

2. ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი

- ა. სტუდია
- ბ. მუსიკალური გაფორმება
- გ. თოქშოუს ქუდი
- დ. სტუმრების განლაგება
- ე. მოდერატორსა და სტუმარს-სტუმრებს შორის საუბრის სერიული გადაცემა.

სერიულობაში იგულისხმება მკაცრად დაცული ციკლურობა ანუ პროგრამაში რეგულარული გამეორება.

ექსტრალინგვისტური მადიფერენცირებელი ნიშნებია:

1. ანთროპოცენტრისტული ფაქტორი

- ა. მოდერატორების ტიპები
- ბ. სტუდიის მაცურებლები
- გ. თანაწამყვანები/ასისტენტები

2. ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი

- ა. „ყურადღების ეფექტის“ გაძლიერება (სტუდიის გაფორმება, ფოტოები და ა.შ.)

ბ. წერილობითი ტექსტი: გადაცემის სათაური და თემა, სტუმრის წარდგენა და ა. შ.

გ. კულისები

დ. სტუდიის პუბლიკის მონაწილეობა საუბარში

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში ძირითადი ექსტრალინგვისტური ფაქტორები უნივერსალურია, თუმცა, რადგანაც საქმე გვაქვს ორი განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნის თოქშოუსთან, ეს, რა თქმა უნდა, განაპირობებს მცირე განსხვავებებს. გამოვლენილი მსგავსება-განსხვავებანი ექსტრალინგვისტური ფაქტორის მიხედვით უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემებში (იხ. №3, 4 სქემები).

ლინგვისტური მახასიათებლების გათვალისწინებით თოქშოუ ინტერაქციულ არანჟირებულ ინსტიტუციურ ჟანრს მიეკუთვნება (ლივინგსტონი 1994) . აქ როლები განაწილებულია მოდერატორსა და სტუმრებს შორის. ინსტიტუციის წარმომადგენელი უმასპინძლდება სტუმრებს. ეს განაპირობებს გარკვეულ ასიმეტრიულობას და კითხვა-პასუხის სტრუქტურას, რომელშიც განმსაზღვრელ ფუნქციას წამყვანი თამაშობს.

თოქშოუს ყველა ქვეჟანრისათვის ზოგადად დამახასიათებელია დისკურსის სამი მონაწილე: ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია, რომელთა შორის კომუნიკაცია წარიმართება ორ დონეზე:

კომუნიკაციის შიდა წრე – სტუდიაში მყოფი ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია.

კომუნიკაციის გარე წრე – ანუ ტელემყურებელი, ეკრანი და სტუდიაში მყოფი მონაწილეები (იხ №5 სქემა).

შიდა წრისათვის არხი – მეტყველება, ანუ კონტაქტი შენარჩუნებულია უშუალოდ პირისპირ წარმართული საუბრის საშუალებით (ლივინგსტონი 1994:51), ხოლო გარე წრისათვის მეტყველების გარდა საჭიროა სატელევიზიო სიგნალი და ტელევიზორი, ანუ გვაქვს დისტანციური კონტაქტი.


თოქსოუს ექსტრალინგვისტური ნიშნები
ანთროპოცენტრისტული ფაქტორი

გადაცემის სახელწოდება	წამყვანის ტიპი					თანაწამყვანი/ ასისტენტი	სტუმარი/ სტუმრები	მყურებელი სტუდიაში
	სქესი		რაოდენობა					
	მამაკაცი	ქალი	ერთი	ორი	ორზე მეტი			
The Graham Norton Show	+		+				+	+
The Alan Titchmarsh Show	+		+			+	+	+
Loose Women		+			+		+	+
The ვანოს'ს Show	+		+				+	+
ნანუკას შოუ		+	+			+	+	+
დღის შოუ		+			+		+	

თოქშოუს ექსტრალინგვისტური ნიშნები
ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი

გადაცემის სახელწოდება	სტუდია		მუსიკალუ -რი გაფორმება	თოქშო უს ქუდი	სტუმრის წარდგენა	გადაც ემის თემის დასახე ლება	სტუდიის აუდიტო რიის ჩართულ ობა საუბარში
	ყურადღების ეფექტის გაძლიერება						
	სტუდი ის გაფორმ ება	ვიდეო რგოლები					
The Graham Norton Show	+	+	+	+	+		+
The Alan Titchmarch Show	+		+	+	+		+
Loose Women	+	+	+	+	+	+	+
The ვანოს'ს Show	+	+	+	+	+		
ნანუკას შოუ	+		+	+	+		+
დღის შოუ	+	+	+	+	+	+	

თოქშოუს დისკურსის ძირითადი მონაწილეები



თოქშოუს ნახევრადინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე, დისკურსის სამ მონაწილეს შორის როლები ასიმეტრიულად არის გადანაწილებული. ინსტიტუციურად ადრესანტი არის იერარქიული სისტემის სათავეში და ცდილობს ადრესატისა და აუდიტორიის წარდგენას და მათ ჩართვას კომუნიკაციაში. მას აქვს უფლება გააკონტროლოს საუბრის მსვლელობა, ასრულებს დირიჟორის როლს, სვამს კითხვებს, რომლებზეც პასუხი ადრესატმა უნდა გასცეს.

ყველა ქვეყანის თოქშოუში დაცულია თოქშოუს ადრესანტის (წამყვანის) ძირითადი ფუნქცია. ის სვამს კითხვას (ასრულებს თავის ინსტიტუციურ ფუნქციას), რომელზეც პასუხი უნდა გასცეს ადრესატმა (სტუმარმა). ადრესანტის მიზანი არის

აუდიტორიისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი გართობა დასმულ კითხვებზე პასუხის მიღების საშუალებით.

შემდეგ საფეხურზე არიან მთავარი სტუმრები, რომლებსაც შეუძლიათ სტუდიაში გამართულ კომუნიკაციაში თავისუფლად ჩართვა მაშინ, როცა არამთავარი სტუმრები (ექსპერტები), მაყურებლები სტუდიაში წამყვანის ნებართვით თავიანთ აზრს გამოხატავენ. ტელემყურებლების უშუალო სატელევიზიო კომუნიკაციის ჩართვის ფორმები შეზღუდულია, თუმცა თანამედროვე მედიალურ სამყაროში საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უამრავი საშუალებაა (მოკლე შეტყობინება, მაილი, ტელევიზორი...). აქედან გამომდინარე, მოქალაქეები, რომლებიც გადაცემას უყურებენ, პასიურები არ არიან, აქტიურად აკვირდებიან მასმედიას, ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებას და ქმნიან საზოგადოებრივ აზრს.

თოქშოუს ადრესანტისათვის მთავარია შეინარჩუნოს კონტაქტი დისკურსის მონაწილეებს შორის და გაართოს ადრესატებთან ერთად აუდიტორია. ამისათვის ის იყენებს როგორც ვერბალურ (მეტყველება), ისე არავერბალურ საშუალებებს (სურათები, ვიდეოები). ადრესანტები იყენებენ აგრეთვე უკუკავშირის სიგნალებს, როგორც ვერბალურს (მაგარია, კარგია ...), ისე არავერბალურს (თავის დაქნევა, ღიმილი და სხვა). განსხვავებული ადრესანტი გვხვდება დილის ქვეყანრის შოუებში, მათი დისკურსი მხოლოდ კითხვების დასმით და მონოლოგით არ შემოიფარგლება. ისინი ასევე ახალი ამბების მთხრობელნიც არიან, აგრეთვე გვიამბობენ საკუთარ გამოცდილებაზე, რომელიც კავშირშია განსახილველ თემასთან.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხშირად თოქშოუს ადრესანტი საუბრის მსვლელობისას იცვლის თავის როლს ინკლუზიური we / ჩვენ – ის გამოყენებით. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელების გამოყენებით ადრესანტი შეიძლება წამყვანის როლიდან გადავიდეს აუდიტორიის წევრის როლში, ანუ ასეთ შემთხვევაში we/ჩვენ მოიცავს წამყვანსა და აუდიტორიას.

ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითი ერთ-ერთი ბრიტანული თოქშოუდან.

Graham: We have an amazing line-up for you tonight. Hollywood superstar, Denzel Washington!, Nicholas Hoult is here. Bill Bailey is on the show. And we' ll have the music from Conor Maynard (The Graham Norton Show, February 25, 2015).

ქართული თოქშოუ:

ნანუკა: მოკლედ, ძალიან მალე თქვენ შეგეძლებათ ალბომის ყიდვა, მაგრამ თქვენამდე ალბათ ამერიკელებს. მაგრამ არავინ იცის რა მოხდება, ამაზე ნუ ვიკამათებთ. მოკლედ ზვენი ყველას ერთად შეგეძლება ალბომის ყიდვა, სადაც სტივ ვანდერისა და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები ერთად იქნება (ნანუკას შოუ, 6 დეკემბერი, 2011).

საუბარი თოქშოუში შედგება გამონათქვამების გაცვლისაგან, სამეტყველო ერთეულებისაგან, რომელთა შორის საზღვარს კოოპერაციული საუბრის სტილის დროს ერთი კომუნიკაციის მეტყველების დასასრული და შემდეგის დასაწყისი წარმოადგენს, თუმცა ხშირად მოსაუბრეთა მონაცვლეობა პარალელური საუბრის ფონზე მიმდინარეობს (გოფმანი 1979 : 61).

თოქშოუ სიახლოვეს ამჟღავნებს ყოველდღიურ საუბრის სტილთან, რის გამოც იგი განეკუთვნება სამეტყველო ჟანრის სატელევიზიო გადაცემას.

თოქშოუში ადრესანტის შეტყობინების ფორმა არის მონოლოგი, დებატები ან უბრალო საუბარი. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ადრესანტის შეტყობინების ფორმის არჩევა კავშირშია თოქშოუს ქვეჟანრთან და სტრუქტურასთან. ქართული და ბრიტანული გვიან-ლამის და დღის თოქშოუთა შესავალ და დასკვნით ნაწილში ადრესანტების შეტყობინების ფორმა არის მონოლოგი, ხოლო მესამე ქვეჟანრში კი მონოლოგის გარდა ვხვდებით დებატებს და უბრალო საუბარსაც. ინტერვიუს ნაწილში კი ადრესანტები ირჩევენ დებატებისა და საუბრის ფორმას (ბრაუნი 1987 : 57).

რაც შეეხება ადრესატს, მისი წარდგენა ხდება ადრესანტის მიერ ორივე ქვეყნის გვიან-ლამის და დღის თოქშოუში. მას თითქმის ყოველთვის მოსდევს ვიდეორგოლი ან რაიმე ვიზუალური წარდგენა, რომლის შემდეგაც სტუდიაში შემოდის ადრესატი და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.

კომუნიკაციისათვის ადრესანტი და ადრესატი იყენებენ დედა ენას. როცა ვიცით ადრესანტი და ადრესატი, მათი წარმოშობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა კოდს, რომელ ენას გამოიყენებენ ისინი (მიუსონი 1993:65). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრესანტისა და ადრესატის სასაუბრო ენა არის ნახევრად ოფიციალური. ერთი მხრივ, ადრესანტი იყენებს თავაზიან მიმართვის ფორმებს და ფრაზებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ საუბარში არის ცოცხალი საუბრისათვის დამახასიათებელი შეწყვეტინებები, გამეორება, პაუზები.

თოქშოუს ყოველ გადაცემას აქვს ერთი ძირითადი თემა, რომელიც დაყოფილია ქვეთემებად. მთელი კვირის განმავლობაში გასული ანონსის საშუალებით ჩვენ ვიგებთ, ვინ არიან ადრესატები და, რა არის გადაცემის მთავარი თემა. ამით გვექმნება გარკვეული მოლოდინი. ველით, რომ, რასაც ადრესანტი იტყვის, კავშირში იქნება ადრესატთან და განსახილველ თემასთან. თემის წინასწარი ცოდნა გვეხმარება ადრესატების ამოცნობაში.

თოქშოუს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტუალური მახასიათებელია გარემო – სად და როდის ხდება მოქმედება (ილი 2001:27). ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, თოქშოუში მოქმედება ვითარდება კონკრეტულ გარემოში, კერძოდ, სტუდიაში, სადაც გადაცემის ჩაწერა ხდება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბრიტანული და ქართული თოქშოუ მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ჰგავს.

ანალიზმა აჩვენა, რომ ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია კომუნიკაციის დასამყარებლად იყენებს როგორც უშუალო, ისე დისტანციურ კონტაქტს. კომუნიკაციის შესანარჩუნებლად კოდი მათი დედა ენაა. გამოყოფილი ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ნიშნები კი დამახასიათებელია როგორც ბრიტანული, ისე ქართული თოქშოუსათვის.

1. 5. თოქშოუ ბრიტანეთში

ბრიტანული თოქშოუ ხშირად ამერიკულ თოქშოუსთან ერთად განიხილება. სწორედ ამერიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც თოქშოუ განავითარა, როგორც სატელევიზიო ჟანრი და დაამკვიდრა მედიასივრცეში. შესაბამისად, როდესაც საუბარს ვიწყებთ ბრიტანულ თოქშოუზე, გვერდს ვერ ავუვლით ამერიკული თოქშოუს წარმოშობასა და მის განვითარებას.

თოქშოუ ამერიკაში რადიოშოუებიდან წარმოიშვა, რომლებშიც ცნობად სახეებთან თავისუფლად და სკრიპტების გარეშე საუბრობდნენ (ლიოფლერი 2002:23). ამ ჟანრის განვითარება და გავრცელება ტელევიზიის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალების, დამკვირდებასთან ერთად მიმდინარეობდა.

მკვლევარები გამოყოფენ ამერიკული თოქშოუს განვითარების 4 ეტაპს (შაიდტი 2000:17): პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 50-იანი წლების დასწყისიდან 60-იანი წლების პირველ ნახევრამდე. ჟანრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია: პერიოდული გადაცემა, წამყვანისა და სტუმრის ცენტრალური ფიგურები, მედიალურად ინსცენირებული, მეგობრული საუბარი. თოქშოუს მასპინძლები ხდებიან საუბარზე ორიენტირებულნი როგორც ამერიკულ, ისე ბრიტანულ გადაცემებში (ტოლსონი 2001:181).

სილვესტერ, იგივე პეტ ვივერმა "Broadway Open House"-ით 1950 წლის 29 მაისს პირველი ამერიკული სატელევიზიო თოქშოუ შექმნა.

1954 წელს ვივერმა სტივ ალენი მიიწვია გადაცემაში "Tonight!", რომელშიც მან ღამის თოქშოუსათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი შეიტანა, მაგალითად, მასპინძლის მიერ სოლო-გახსნის წრე, მოძრაობა სცენაზე და პუბლიკაში, მსუბუქი საუბარი ორკესტრის ხელმძღვანელთან. ამ ეტაპს მიეკუთვნება ჯონ ქარსონის თოქშოუ "The Tonight Show". გადაცემაში უმეტესწილად შოუბიზნესის წარმომადგენლებს იწვევდნენ.

მეორე პერიოდის თოქშოუს სახეებია დიკ კავეტი და ფილ დონაჰიუ. ეს უკანასკნელი დღის საათებში განიხილავდა საზოგადოებრივ თემებს წარმოუდგენელი

თავისუფლებით. მან ტრადიციული თოქშოუს კონვენციები დაამსხვრია: სტუმრები ხშირად სცენაზე ისხდნენ, თავად კი მიკროფონით მაყურებელთა რიგებში მოძრაობდა. ტელემაყურებლებს შეეძლოთ ტელეფონით უშუალოდ ჩართულიყვნენ დისკუსიაში და ამასთანავე ანონიმურობას ინარჩუნებდნენ. ასე შეიქმნა დონაჰიუს სტილი, რომელსაც მკვახე, კატეგორიული შეკითხვები და სწრაფი იუმორი ახასიათებდა. ეს იყო კლასიკური ყოველდღიური თოქშოუს დასაწყისი.

მესამე ეტაპი იწყება 1972 წლიდან და გრძელდება ოთხმოციან წლებამდე. ეს არის თოქშოუს კრიზისის პერიოდი. უამრავი გადაცემა გაქრა ტელეეკრანიდან, განსაკუთრებით საქმეზე ორიენტირებული. გადარჩნენ ისინი, რომლებიც გართობაზე აკეთებდნენ აქცენტს და ძალზედ პოპულარული იყვნენ, მაგალითად, ფილ დონაჰიუს შოუ და ლეთერმანის შოუ (შაიდტი 2000 :45).

მეოთხე ფაზა 80-იან წლებში იწყება. ამ პერიოდში იქმნება უამრავი დღის ე.წ. აღმსარებლობითი (Confessional) თოქშოუ. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული თოქშოუ გახდა „ოპრა ვინფრეის შოუ" და სხვა.

მეხუთე ფაზის დასაწყისი კვლავ ლეგენდად ქცეულ ქალბატონს ოპრა ვინფრეის უკავშირდება, რომელმაც ამერიკაში საკუთარი სატელევიზიო არხიც კი შექმნა OWN, სადაც თოქშოუს, სამზარეულო გადაცემებსა და რეალით შოუებს გადასცემენ.

ბრიტანეთში თოქშოუს წარმოშობა და განვითარება ამერიკას უკავშირდება. ბრიტანეთში არსებული თოქშოუთა უმრავლესობა ამერიკულის ზეგავლენით შეიქმნა.

1970-იანი წლებიდან ხელისუფლებას დაქვემდებარებული ბრიტანული სატელევიზიო მაუწყებლობა გადადის სახალხო, დემოკრატიულ მაუწყებლობაზე. ბრიტანულ სატელევიზიო სივრცეში ადგილს იმკვიდრებს თოქშოუ, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული, აუდიტორიაზე ორიენტირებული გადაცემა. ამგვარი ეტაპი ბრიტანულ სივრცეში იწყება Terry Wogan-ის შოუთი. 1980-იანი წლებიდან BBC-ის პრაიმ-ტაიმის დრო ეთმობა ვოგანის შოუს, რომელმაც განავითარა საუბარი (chat). ტოლსონი აღნიშნავს, რომ ეს იყო მთავარი მომენტი ბრიტანული თოქშოუს განვითარების ისტორიაში. თოქშოუ მიიჩნევა როგორც ინსტიტუციური ჟანრი,

რომელშიც ერთიანდება სხვადასხვა ჟანრი, სადაც საუბარი ერწყმის გართობას. 1990-იან წლებში თოქშოუ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო ჟანრია როგორც ამერიკულ, ისე ბრიტანულ სატელევიზო სივრცეში (ტოლსონი 2001 :1).

1986 წლიდან ბრიტანულ ტელევიზორებში ადგილს იკავებს ცნობილი ამერიკული თოქშოუს „ვილ დონაჰიუს შოუ“ ბრიტანული ვერსია "Kilroy" (Day to Day) . ასეთი ტიპის თოქშოუ ხასიათდებოდა თავისუფალი სტილის საუბრით საზოგადოებაში აქტუალურ თემებზე.

1997 წელს ამერიკული თოქშოუს „ოპრა ვინფრეის შოუ“ ზეგავლენით იქმნება და ეთერში გადის ბრიტანული დღის შოუ "Vanessa". მსგავსად ამერიკული ანალოგისა ამ გადაცემაში უფრო მეტად ტაბუდადებულ თემებს განიხილავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანულ და ამერიკულ თოქშოუს ხშირად ერთად განიხილავენ, მათ შორის მაინც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. პირველი განსხვავება უკავშირდება პოპულარობას. 90-იან წლებში ბრიტანეთში თოქშოუ არ იყო ისეთი პოპულარული, როგორც ამერიკაში. ამ პერიოდში ბრიტანეთში არსებობდა თოქშოუ როგორც სატელევიზიო ჟანრი, მაგრამ უფრო მეტად აქ პოპულარული იყო სერიალი და დრამა. ამერიკაში კი თოქშოუ გადაიცემოდა სხვადასხვა არხზე. ამასთან, ბრიტანეთში მხოლოდ საზოგადოებრივი არხები აჩვენებდნენ საკუთარ შოუებს, დანარჩენი ყველა ამერიკიდან იყო შემოტანილი. საინტერესოა თოქშოუს მარკირების საკითხიც, ბრიტანეთში ეს ჟანრი ცნობილია როგორც "Talk show", მაშინ როცა ამერიკული თოქშოუ იწოდება როგორც "Chat Show". თუმცა მოცემული ლექსიკური სხვაობა თოქშოუს მარკირებისას ხელს არ უშლის, რომ ბრიტანული და ამერიკული თოქშოუ განვიხილოთ მსგავს გადაცემებად მეტ-ნაკლები სტილისტური, სტრუქტურული და ენობრივი განსხვავებულობით.

1. 6. თოქშოუ საქართველოში

საქართველოში დღითიდღე იზრდება ინტერესი თოქშოუს ჟანრისადმი. ტელევიზორებში თანდათან შემოდის ახალი გადაცემები. თუ გადავხედავთ ბრიტანულ ტელევიზორებში არსებულ თოქშოუს მივხვდებით, რომ მას საქართველოში განვითარების გარკვეული ეტაპები აქვს გასავლელი.

თოქშოუს არსებობის მანძილზე ქართულ სატელევიზიო სივრცეში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

პირველი ეტაპი იწყება 1998 წელს პოლიტიკური თოქშოუ „ღამის კურიერით“, რომელიც ამ ჟანრის ფორმირების ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. პირველი წამყვანი ცნობილი ჟურნალისტი გიორგი სანაია იყო. ასევე აღსანიშნავია საღამოს პოლიტიკური თოქშოუს „ღამის მზერა“ ინგა გრიგოლიასთან ერთად ტელეკომპანია „მზეზე“.

მეორე ეტაპი ახალი ფორმატის დამკვიდრებით გამოირჩევა. 2003 წლის 12 სექტემბერს რუსთავი 2-ის ეთერში პირველად გადის „ღამის შოუ დავით გოგიჩაიშვილთან ერთად“, რომელიც საქართველოში ამ ჟანრის დამფუძნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. 2006 წლის სეზონიდან გადაცემის წამყვანია ვანო ჯავახიშვილი და, შესაბამისად, მისი სახელწოდებაა „ვანოს შოუ“. 2011 წლის 16 სექტემბრიდან ეს იუმორისტული თოქშოუ ცნობილია „The ვანო's Show“-ს სახელწოდებით და ეთერში გადის ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე. გადაცემა შედგება რუბრიკებისაგან: იუმორისტული მონოლოგები აქტუალურ თემებზე, უშუალო და იუმორით გაჯერებული საუბარი გადაცემის პოპულარულ სტუმრებთან, მუსიკალური ნომრები და ა. შ.

მესამე ეტაპი, რომელიც 2004-2009 წლამდე გრძელდება, თოქშოუს ბუმის პერიოდია. ამ პერიოდში სამივე ეროვნულ არხზე გადის როგორც პოლიტიკური, ისე გასართობ-შემეცნებითი და სპორტული თოქშოუები. აღსანიშნავია დილის ყოველდღიური თოქშოუ „სამოთხის ვაშლები“ (TV საზოგადოებრივი მაუწყებელი), რომელშიც 2008 წლის 4 დეკემბრიდან დღემდე ოთხი წამყვანი მოწვეულ სტუმრებთან

ერთად მაყურებელს ხალისიან განწყობას უქმნიან და სასარგებლო ინფორმაციას აწვდიან სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საჭირბოროტო თემაზე.

მეოთხე ეტაპი გამოირჩევა გასართობ თოქშოუთა სიმრავლით. ძველს ახლებიც დაემატა. ასე, მაგალითად, „ნანუკა ჟორჯოლიანის შოუში“ არაფორმალური, ბუნებრივი და გულწრფელი საუბრით ხდება მაყურებლის გართობა. წამყვანი არ ცდილობს ტექსტების გაზეპირებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ჟურნალისტსაც შეიძლება შეეშალოს. ტელეკომპანიები „იმედი“ და „რუსთავი 2“ ყოველდღიური თოქშოუთი „დღის შოუ“ და „სხვა შუადღე“ ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

დღევანდელ სატელევიზიო სივრცეში საინტერესო თემების განხილვა უფრო მეტად გასართობ-შემეცნებით თოქშოუში ხდება, ვიდრე პოლიტიკურში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოში თოქშოუ ჯერ კიდევ დამკვიდრებისა და განვითარების პროცესშია.

აღსანიშნავია, რომ „ნანუკას შოუმდე“ ამ ტიპის შოუ ქართულ ტელევიზიაში ცნობილი გახდა მათა ასათიანის გადაცემით „პროფილი“, რომელშიც წამყვანი საზოგადოებისათვის საინტერესო თემებს განიხილავდა.

ქართულ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ქართულ თოქშოუთა უმრავლესობა ბრიტანულ და ამერიკულ თოქშოუთა ანალოგს წარმოადგენს. მსგავსება შეინიშნება სტუდიის, თოქშოუს ქუდის, მუსიკალური ბენდის და თოქშოუს სტრუქტურის თვალსაზრისით. ინგლისური ენის დიდი გავლენა იგრძნობა თვითონ თოქშოუს სახელწოდებაშიც. მაგალითად, „The ვანო'ს Show-ში“ გვაქვს არა მარტო ექსტრალინგვისტური ფაქტორის მხრივ მსგავსება, არამედ მოცემული თოქშოუს სახელწოდებაში გამოყენებულია ინგლისური ენის გრამატიკული კონსტრუქციები: კუთვნილების გამომხატველი აპოსტროფი "s" ('s') და "the" განსაზღვრული არტიკლი, ასევე ლექსიკური ერთეული "show". ჩემი აზრით, მოცემული შემთხვევა გამოყენებულია ყურადღების ეფექტის გაძლიერების მიზნით, რათა განსხვავებული სტილის შემოტანით მაყურებლისათვის შოუ უფრო მიმზიდველი გახდეს.

1.7. თოქშოუს გავლენა საზოგადოებაზე

თოქშოუ სატელევიზიო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საკამათო ჟანრია. ის უფრო მეტად ორიენტირებულია რეალობასა და ყოველდღიურ თემებზე. გასართობი ტიპის თოქშოუ ყოველდღიურ თემებს იუმორით წარმოგვიდგენს. მაყურებლის თოქშოუსადმი დამოკიდებულება აიხსნება თავად თოქშოუს ფორმატით. აქ გასათვალისწინებელია ორიენტაცია, მაყურებლის მიერ იდენტობის წარმოქმნა ან საკუთარი კონცეპტის აგება. სავარაუდოა, რომ მაყურებლები ამავდროულად საკუთარი იდენტობის სტაბილიზაციას ახდენენ. მომხდარის თანაგანცდა ეხმარება მათ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში. ეს ნიშნავს, რომ გასართობი ფორმატები, ერთი მხრივ, აღიქმება როგორც გართობა, მეორე მხრივ, როგორც ინფორმაციის მიწოდება, რითაც რეციპიენტები სოციალური ორიენტაციის მოთხოვნებს იკმაყოფილებენ (გლაიპი 2001:524).

მედიის ფუნქციებიდან გამომდინარე, თოქშოუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- **ინფორმაციის ფუნქცია.** მედია მომხმარებელს უამრავი ინფორმაციით ამარაგებს და ამავდროულად საშუალებას აძლევს მაყურებელს გაერკვეს კომპლექსურ გარე სამყაროში.
- **რეკრეაციის ფუნქცია.** იგი აკმაყოფილებს მაყურებლის მოთხოვნილებას, განტვირთავს მას. ტელევიზიით შესაძლებელია გაექცე ყოველდღიურ ცხოვრებას და გახდეს სამყაროს მონაწილე.
- **ინტეგრაციის ფუნქცია.** ტელევიზიის საშუალებით მაყურებელი ამყარებს კონტაქტებს გარე სამყაროსთან, ივსებს ინფორმაციის დეფიციტს.
- **ინტერაქციული ფუნქცია.** სხვადასხვა ახალი თემების შემცველ გადაცემებს წვლილი შეაქვს სოციალური კონტაქტების დამყარებასა და საუბრის წარმართვაში (აიმერენი1998 :603).

ბრიტანელი მკვლევარების აზრით, მაყურებელი თოქშოუს მისი აღქმული „ავთენტურობით“ აფასებს. აქ „ჩვეულებრივი“ ადამიანები საუბრობენ ყოველდღიური

თემებისა და პრობლემების შესახებ, ის რაც მათ აღელვებთ. რეციპიენტებს ასევე მოსწონთ ისიც, რომ მათ შეუძლიათ ჩაერთონ დისკუსიაში და საკუთარი აზრი შეადარონ გადაცემაში გაჟღერებულ აზრს.

თოქშოუს მიზანია ფართო მასების მიზიდვა სატელევიზიო საუბრებისაკენ, რათა ერთობლივად გადაწყვიტონ და განსაჯონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. თოქშოუ ემსახურება შემდეგ ფუნქციებს:

1. გართობა და აღზრდა. თოქშოუს მიზანია დაეხმაროს რეციპიენტს შეივსოს თავისუფალი დრო, გათავისუფლდეს დამაბულობისაგან, სტრესისა და სხვა სირთულეებისაგან. აძლევს საშუალებას მაყურებელს კმაყოფილება მიიღოს კომუნიკაციისაგან და ამავდროულად ხელი შეუწყოს მის ინდივიდუალურ განვითარებასა და კულტურის ამაღლებას.

2. პიროვნების სოციალიზაცია. თოქშოუ ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს, იწვევს საზოგადოების გამთლიანებას, ადგენს ნორმას, ღირებულებებს, აძლევს კოლექტიურ გამოცდილებას, ეხმარება მაყურებელს გააკეთოს სწორი არჩევანი.

3. სოციალური ცვლილებების ინიცირება. თოქშოუ ეხმარება მაყურებელს ყურადღება გაამახვილოს საზოგადოებრივ პრობლემებზე, რომლებიც მომავალში შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს (ლარინა 2004:111).

ყოველდღიური თოქშოუსადმი დამოკიდებულება ძალზედ არაერთგვაროვანია. ზოგს ნაშუადღევს თოქშოუ (ნანუკას შოუ, Alan Titchmarsh Show) განსხვავებული ქცევის საჩვენებელ ადგილად მიაჩნია, რომელიც მაყურებელთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ბევრი მასში კარგი გემოვნების დეფიციტსა და პირადი სფეროს დარღვევას ხედავს, თუმცა, მეორე მხრივ, ისინი მედიის დემოკრატიზაციის ნაბიჯად ითვლება, რადგან ეს არის საზოგადოებრივი ფორუმი, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი აზრებისა და პრობლემების გადმოცემა. ზოგიერთი მკვლევარი დადებითად აფასებს იმას, რომ თოქშოუში ყველა თემას განიხილავენ. საზოგადოებაში არსებულ ტაბუდადებულ თემებზე საუბრით შეუძლიათ უმცირესობებს საზოგადოებრივ კომუნიკაციაში მონაწილეობა მიიღოს (ხახუტაშვილი 2012:12).

მიუხედავად თოქშოუსადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ცხადია, რომ იგი დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრისა და დემოკრატიზაციის ჩამოყალიბების საქმეში. ის დღეს ადამიანის სოციოკულტურული ცხოვრების მოთხოვნილებად იქცა, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის მსოფლხედვაზე, აზროვნებაზე, მის ეროვნულ კულტურასა და ენაზე. ამ გზით შესაძლებელია ერის კონცეპტოსფეროში შეღწევა (ალენი 1992:45).

თოქშოუს მიზანია ფართო მასების დაინტერესება სატელევიზიო საუბრებით, რათა ერთდროულად გადაწყვიტონ და განსაჯონ მნიშვნელოვანი საკითხები.

თავი 2. თოქშოუს საუბრის ფაზების სტრუქტურული და ლექსიკო-სტილისტური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში

2. 1. თოქშოუს დასაწყისი- გადაცემის გამხსნელი სიგნალები

ყოველ საკომუნიკაციო აქტში არის სპეციალური მარკერები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ კომუნიკაცია უნდა დაიწყოს და ასევე კომუნიკაცია დასასრულს უნდა მიუახლოვდეს. ცნობილია, რომ გადაცემის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერ დისკურსის ჟანრში. სხვადასხვა ტიპის დისკურსში (სატელევიზიო საუბარი, ინტერვიუ, დიალოგი, წერილი და სხვა) ეს ნიშნები განსხვავებულია არხის, გარემოსა და განსხვავებული ფაქტორის მიხედვით (ჰაჩი 1992:8). სხვადასხვა ენასა და კულტურაში აღნიშნული მარკერები განსხვავებულად არის წარმოდგენილი. კულტურის მახასიათებლები აისახება იმაზე, როგორ იწყება თოქშოუ, რა მოცულობის უნდა იყოს გადაცემის გახსნა, რაზე შეიძლება საუბარი გადაცემის დასაწყისში. განსხვავდება აგრეთვე გადაცემის დამასრულებელი სიგნალები ენებისა და კულტურის მიხედვით. ზოგჯერ გადაცემის დასასრულს ვერბალურად მონაწილეობას იღებს კომუნიკაციაში ჩართული ყველა პირი, ზოგიერთ გადაცემაში კი მხოლოდ არავერბალური სიგნალების გამოყენებით ხდება გადაცემის დასრულება (ibid.:47).

დასაწყისი შედგება ძლიერ რიტუალიზებული ელემენტებისაგან და მარტივი სტრუქტურა აქვს (ბრინკერი 2006:99). ის ემსახურება სოციალურ, ემოციურ, ორგანიზაციულ საკითხებს და საუბარს შესაბამის სიტუაციურ კონტექსტში აყენებს. ამ საკითხის დაძლევაში დისკურსის მონაწილეებს კონკრეტული შინაარსობრივი და ფორმალურ-ენობრივი ნიმუშები, რიტუალიზებული ენობრივი ქმედებები ეხმარება. საერთოდ კი მეტად თუ ნაკლებად რიტუალიზებული ფრაზები მოსაუბრეებს საშუალებას აძლევს, ნაწილობრივ გათავისუფლდნენ შინაარსობრივი და ენობრივი შემოქმედებითი მარწუხებისაგან და უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ორგანიზაციულ და ემოციურ ფაქტორებს (ლინკე 1994: 318-319).

ა. ლინკე თოქშოუს დასაწყისის შემდეგ ზოგად ელემენტებს გამოყოფს:

1. მაყურებელთა მისაღება
2. სტუდიის სტუმრების წარდგენა (ტიტული, სახელი, პროფესია/კარიერა...)
3. საუბრის მთავარ ნაწილზე გადასვლა (ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური სიგნალები)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თოქშოუ დისკურსის ერთ რომელიმე კონკრეტულ ჟანრს კი არ განეკუთვნება, არამედ მასში ხდება სხვადასხვა ტიპის დისკურსის მახასიათებლების შერწყმა. ინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, აქ წინასწარაა განსაზღვრული, ვინ გახსნის გადაცემას და, რამდენ დროს დაუთმობს თოქშოუს მასპინძელი საუბარს, ანუ ხდება დისკურსის მონაწილეთა როლების წინასწარი განსაზღვრა (ილი 2001:222).

თოქშოუ უნდა დაიწყოს და დასრულდეს წინასწარ განსაზღვრულ დროს, სხვა შემთხვევაში მოხდება არხზე გასული სხვა გადაცემების არევა. ჩვეულებრივი საუბრისაგან განსხვავებით, თოქშოუში გადაცემის დაწყებამდე ხდება აუდიტორიის შემზადება იმისათვის, რომ გადაცემა იწყება.

ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასაწყისის ტექსტის კონსტიტუციური ელემენტია ენობრივი ქმედება-მისაღება. რიტუალიზაციის მიუხედავად განსხვავებები გამოვლინდა თითოეულ თოქშოუში. დროის ეკონომიის მიზნით საწყის ფაზაში სტუდიის სტუმრების ჩართულობა ძალზე შეზღუდულია (მაღალურიძე 2013 : 40).

ემპირიულ მასალზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ გადაცემის გამხსნელი სიგნალები განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამივე ქვეჟანრის ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში. ბრიტანულ გვიან-ლამის გასართობ თოქშოუში (The Graham Norton Show) გადაცემის გამხსნელ სიგნალს წინ უსწრებს გადაცემის გახსნის წინასწარი ვიზუალური და ვერბალური სიგნალები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად წამყვანის მიერ არის წარმოდგენილი. ბრიტანული დღისა და დილის ახალი ამბების ფორმატის თოქშოუებში (The Alan Titchmarsh Show და Loose Women), ასევე ყველა ქვეჟანრის

ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალად გამოიყენება ვიზუალური საშუალება, გადაცემის ქუდი და სპეციალური მუსიკა.

გადაცემის გახსნისას სამიზნე აუდიტორია როგორც სახლში ეკრანებთან მსხდომი, ისე სტუდიაში მყოფი ინდივიდებია.

2.1.1. ბრიტანული თოქშოუს დასაწყისი

სამივე ქვეყნის ბრიტანულ თოქშოუს ხსნის გადაცემის გამხსნელი სიგნალები. თოქშოუს ზოგიერთი ქვეყნის შოუში "The Graham Norton Show" გადაცემის გახსნას წინ უსწრებს გადაცემის გამხსნელი წინმსწრები სიგნალები. "The Graham Norton Show"- ში ვერბალურ სიგნალს წარმოადგენს თავად წამყვანი, რომლის დასრულების შემდეგ მოდის გადაცემის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი, გადაცემის ქუდი.

ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის გახსნის წინმსწრები ვერბალური სიგნალები მოკლეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წინადადება ყველა გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალში იდენტურია. დაკვირვების შედეგად, აღნიშნულ ბრიტანულ თოქშოუში გამოვყავით გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) სტუმრის არაპირდაპირი იდენტიფიკაცია
- ბ) კომიკური ელემენტი
- გ) სპეციალური ფრაზა და ვიდეოქუდი.

მაგალითად:

Graham:

ა) Tonight on the show the star of the terminator films; I can not wait to meet him, I am such fan of his roles.

ბ) *The guest: I need your clothes, your boots and your motorcycle, now!* (წამყვანი ზის მოტოციკლზე და სტუმრის კომიკურ მოთხოვნაზე იხსნის სათვალეებს და შემინებულია).

გ) *Let's start the show. ამ ფრაზის დასრულების შემდეგ იწყება გადაცემის ვიდეოქუდი* (The Graham Norton Show, August 21, 2015).

მოცემული ტიპის გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალში წამყვანი შოუს დაწყებამდე წარმოადგენას გვიქმნის, რა სფეროდან იქნება სტუმარი, თუმცა არ ახდენს მისი სახელით იდენტიფიკაციას. ასევე, ხდება კომიკური ელემენტის ჩართვა, რომელიც თემატურად კავშირშია სტუმართან. წამყვანი საუბრისას ორიენტირებულია როგორც სტუდიაში, ისე სახლში ეკრანებთან მსხდომ აუდიტორიაზე. სტუმრის წარდგენისას წამყვანი ექსპლიციტურად გამოყოფს თავის ინსტიტუციურ როლს გადაცემაში, კერძოდ, იმას, რომ ის არის სტუმარი.

მეორე ბრიტანულ თოქშოუს "The Alan Titchmarsh Show" ყველა გადაცემაში სტანდარტულად მეორდება გადაცემის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი. თოქშოუს გახსნის წინმსწრებ სიგნალს წარმოადგენს გადაცემის ვიდეოქუდი, რის შემდეგაც გადაცემა იხსნება გამომცხადებლის ხმით (ვერბალური სიგნალი), იგი ახდენს წამყვანის იდენტიფიკაციას - გამომცხადებელი: *Please welcome your host, Alan Titchmarsh* (The Alan Titchmarsh Show, February 3, 2014).

ამ ფრაზის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის თავად წამყვანი და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.

მიუხედავად იმისა, რომ თოქშოუს საუბარი ყოველდღიურ საუბართან ახლოა, მოცემულ შემთხვევაში შეინიშნება განსხვავება შემდეგი კუთხით: ყოველდღიურ საუბარში არ ხდება მოსაუბრის გამოცხადება. ამ შემთხვევაში კი გამომცხადებელი ცდილობს მიმართოს აუდიტორიას და წარადგინოს წამყვანი.

მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოთქული არა მხოლოდ მსმენელზეა ორიენტირებული, არამედ ფართო აუდიტორიაზე. ზემოაღნიშნული ბრიტანული თოქშოუს გახსნის წინმსწრებ სიგნალში აუდიტორიისადმი მიმართვა

ხდება ოფიციალური რეგისტრის მქონე ლექსიკით. წამყვანი იდენტიფიცირებულია სრული სახელით, თუმცა არ გამოიყენება ოფიციალური მიმართვის ფორმა. მაგალითად: Ladies and Gentlemen, *Alan Titchmarsh*. Please welcome your *host*, Alan Titchmarsh (The Alan Titchmarsh Show, February 3, 2014). გვაქვს ელიფსური წინადადებები. წარმოდგენილ მაგალითში ასევე ექსპლიციტურადაა ხაზი გასმული პიროვნების ინსტიტუციურ როლზე, რომ ის წამყვანია.

ჩემ მიერ განხილულ ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალები მოკლეა, მიმართულია ფართო აუდიტორიისადმი და აუდიტორიისაგან პასუხად მიიღება ოვაციები და ტაში. გადაცემის წინმსწრები ვერბალური და ვიზუალური სიგნალი ასრულებს ინსტიტუციურ ფუნქციას. იგი თანამოსაუბრეზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ სტუდიაში და სახლში მყოფ აუდიტორიაზე. მისი მიზანია შესავლის საშუალებით გახსნას გადაცემა, წარადგინოს გადაცემა და მიიპყროს მაყურებლის ყურადღება, რათა ისინი დარჩნენ მათთან ერთად და უყურონ გადაცემას.

რაც შეეხება ბრიტანულ თოქშოუს "Loose Women", აქ გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალი გადაცემის ვიდეოქუდი, სპეციალურად გადაცემისათვის შერჩეული მუსიკა და ვიდეოკლიპია.

აღნიშნული ტიპის გადაცემის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალები ორიენტირებულია მხოლოდ სახლში მყოფ აუდიტორიაზე. ამ შემთხვევაში არ ხდება გადაცემის სტუმრების და წამყვანის ვერბალურად წინასწარი იდენტიფიკაცია.

გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის ან ეკრანზე ჩნდება წამყვანი ინსტიტუციურად მისთვის განკუთვნილ ადგილას. სანამ მოხდება გადაცემის ვერბალურად გახსნა, მას წინ უსწრებს გადაცემის გახსნის მოსამზადებელი არავერბალური სიგნალი: წამყვანი გამოდის სცენაზე და დგება ცენტრში, ცდილობს დაამყაროს თვალის კონტაქტი, მზერა გადააქვს აუდიტორიაზე, თავს უკრავს მათ, ხელს უქნევს მისალმების ნიშნად, რის შედეგადაც იგი იწყებს საუბარს – იყენებს გადაცემის გახსნის ვერბალურ სიგნალებს.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ყველა ბრიტანულ შოუში გადაცემის გახსნისას ხდება აუდიტორიასთან მისალმება და მათი გადაცემაში მიპატიჟება, რომელსაც თან ახლავს გადაცემის სტუმრების წარდგენა. თუმცა, არსებული საერთო მახასიათებლების გარდა სხვადასხვა ქვეყანებში მაინც შეინიშნება განსხვავებები მათი ფორმატიდან, სოციალური ასპექტებიდან და გარემოდან გამომდინარე.

ზოგადად, გვიან-ლამის გასართობი თოქშოუს ქვეყანრისათვის დამახასიათებელია კომიკური ელემენტები, რაც გამოჩნდა არა მხოლოდ ბრიტანული თოქშოუს "The Graham Norton Show" გადაცემის გახსნის წინმსწრებ, არამედ გადაცემის გამხსნელ სიგნალშიც. სტუმრის წარდგენა ხდება როგორც ვერბალურად, ისე ვიზუალურად ეკრანზე ნაჩვენები სურათის საშუალებით. ასევე გვიან-ლამის ბრიტანულ შოუში გადაცემის გახსნა ხდება აუდიტორიასთან მისალმებითა და მათი შოუზე მიპატიჟებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანრისათვის დამახასიათებელია გადაცემის გახსნის გარკვეული საერთო კომპონენტები, რომლებიც ყველა გადაცემაში მეორდება, მათ შორის მაინც შეინიშნება მცირე განსხვავებანი. მას შემდეგ, რაც წამყვანი თავად აცხადებს შოუს დაწყებას და დასრულდება გადაცემის ქუდი, იგი სცენაზე არბის და იკავებს მისთვის განკუთვნილ ცენტრალურ ადგილს, რის შემდეგაც ხდება გადაცემის ვერბალური გახსნა. მოცემული ქვეყანრის ბრიტანულ თოქშოუში შეინიშნება გადაცემის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანამიმდევრობა:

1. ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა და მისალმება
 - ბ) შოუზე მიპატიჟება
 - გ) კომიკური ელემენტი
 - დ) სტუმრების ვერბალური და ვიზუალური იდენტიფიკაცია
- მაგალითად:

Graham:

ა) *Oh, oh, oh, thank you very much. Hello, hello, hello everybody. Good evening everybody.*

ბ) *Welcome one, welcome all.*

გ) *Are the kids in bed? Good.*

დ) *Because tonight I've got the star of the new Fifty Shades of Grey film Mr. Jamie Dornan (სურათი), yeah; Star of the epic new TV drama Indian Summers Julie Walters is here(სურათი), we love Julie Walters, from Episode Mr. Stephen Morgan is on the show (სურათი). Plus, we've got music from Rita Ora (The Graham Norton Show, May 20, 2015).*

გადაცემის გახსნისას წამყვანი მაძლობას უხდის და ესალმება აუდიტორიას, ეპატიჟება მათ შოუზე. ქვეყანრის მახასიათებლიდან გამომდინარე, ის იყენებს იუმორისტულ ვერბალურ და ვიზუალურ საშუალებებს. გადაცემის გახსნისას გამოყენებული ზემოთ წარმოდგენილი დისკურსის მონაკვეთი განეკუთვნება, ერთი მხრივ, არაოფიციალურ სასაუბრო ჟანრს, მეორე მხრივ, მასში შეინიშნება ინსტიტუციური ჟანრის ელემენტები. წამყვანი ხშირად იყენებს შორისდებულებს: **oh, hey, yeah, oh dear**, იმეორებს ფრაზებს: **hello, hello**; ასევე, არაოფიციალურ რეგისტრზე მიუთითებს ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოიყენება აუდიტორიისადმი მისამართად: **everybody, one, all**. აღნიშნულ დისკურსში ასევე გვხვდება შეკვეცილი ფორმები, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი (ინლკუზიური we = წამყვანი +აუდიტორია), მეორე მხრივ, გვხვდება ინსტიტუციური ხასიათის ელემენტები: **I've got, Mr. Stephen Morgan**.

2. ა) მისალმება

ბ) შოუზე მიპატიჟება

გ) ანონსი

დ) სტუმრების ვერბალური და ვიზუალური იდენტიფიკაცია.

Graham:

ა) *Oh, oh, oh. Good evening, Hello, hello, hello.*

ბ) *Welcome to Norton Show. Oh, hello everybody.*

გ) *What on the show we've got tonight is from the new movie.*

დ) *Man of steel, superman himself Henry Cavill is here (სურათი), the Oscar winning star Amy Adams on the show (სურათი) and Oscar winning Hollywood great Russell Crow is here*

tonight (სურათი), yes, he is and the last we've got music from fantastic Katy B (სურათი) (The Graham Norton Show, June 14, 2013).

წამყვანი გადაცემას იწყებს აუდიტორიასთან მისალმებით. მისი საუბრისათვის დამახასიათებელია შორისდებულები და შეძახილები (oh, yeah), სიტყვების გამეორება (oh, oh, oh), შემოკლებული ფორმები (we've got), თუმცა გვხვდება ცალკეული ფრაზებიც და სიტყვებიც, რომლებიც აღნიშნული დისკურსის ინსტიტუციურ ხასიათზე მიანიშნებს. მაგალითად: *On the show we've got tonight.*

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ბრიტანულ ქვეყანაში ყველგან ხდება გადაცემის გახსნა წამოძახილებით (oh, wow, yeah), სიტყვების გამეორება (hello, hello), სტუმრებთან მისალმება და სტუმრების წარდგენა სრული სახელებით.

თოქშოუს გადაცემის გახსნის სიგნალების დასრულების შემდეგ წამყვანი მოკლე, იუმორისტულ ისტორიებს უყვება მაყურებელს სტუმრების შესახებ, წამყვანის იუმორისტულ მონოლოგს თან ერთვის ეკრანზე ნაჩვენები სტუმრების სურათები. მაგალითი:

Graham: ... Good -I know-good. I am delighted to welcome Nicholas Hoult on to the show. Do you remember him as a star in a boy? Do you? Who was the best boy? "I am". Here he is in his latest film skhral - latest film! Yes, mothers they do grow up. That is him playing a zombie in Warm Bodies. It poses a big question, could a beautiful woman ever fall in love with a brain-dead zombie? Well, I --- I'm so excited to be meeting Denzel ... (The Graham Norton Show, February 24, 2015).

წამყვანის მოკლე მონოლოგის დასრულებისთანავე იგი კიდევ ერთხელ ესალმება თავის სტუმრებს და ეპატიჟება მათ სტუდიაში. ამის შემდეგ წამყვანი კითხვებით გადადის სტუმართან/სტუმრებთან, შესაბამისად, იგი გადადის გადაცემის მთავარ ნაწილზე, რაც წარმოდგენილია ინტერვიუს სახით.

ბრიტანული დღის შოუს "The Alan Titchmarsh Show" გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის წამყვანი, მიემართება სცენის შუაში და იკავებს განკუთვნილ ადგილს. ამის შემდეგ კი იგი იწყებს გადაცემას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ გადაცემის გახსნისას წამყვანი ყოველთვის ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე, ასევე ახდენს სტუმრების წარდგენას. თოქშოუს ამ ქვეყანაში შეინიშნება გადაცემის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობები:

1.ა) გამომცხადებლის ხმა

ბ) მისალმება და შოუზე მიპატიჟება

გ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა.

ა) გამომცხადებელი: *Please welcome your host, Alan Titchmarsh*

Alan: ბ) *Hello and welcome to Friday eighty show.*

გ) *Anything can happen next one hour because I am joined by these very friends. Also, tonight wegonnabrining artistic bands* (The Alan Titchmarsh Show, March 19, 2013).

გადაცემის გახსნისას წამყვანი ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე. იყენებს არაოფიციალურ რეგისტრს, რაც გამოიხატება: მარტივი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის წინადადებებისა და პირველი პირის მხოლოდითი და მრავლობითი ნაცვალსახელების გამოყენებით. ასევე, გვხვდება არაოფიციალური, სასაუბრო ლექსიკური ერთეულები, როგორცაა gonna.

2.ა) გამომცხადებლის ხმა

ბ) მადლობის გადახდა

გ) მისალმება და შოუზე მიპატიჟება

დ) სტუმრების წარდგენა არაპირდაპირ

ე) სტუმრების წარდგენა პირდაპირ.

მაგალითად:

ა) გამომცხადებელი: *Please welcome your host, Alan Titchmarsh*

Alan:ბ) *Thank you very much.*

გ) *Hello, Welcome to Tuesday's eighty show today.*

დ) *with the most successful girl group of all time. Yeah, they had more hits than spice girls, more album sales than other girls and they are still going their 27 year after their hit single Bananarama, chatty performance exclusively for their brand new album.*

ე) *Bananarama* (The Alan Titchmarsh Show, October 19, 2012).

მოცემულ მონაკვეთშიც უფრო არაოფიციალური, სასაუბრო რეგისტრი გამოიყენება, რაც გამოიხატება: შეკვეცილი ფორმების გამოყენებაში (it's), ისეთ ლექსიკურ ერთეულებში, როგორცაა: yeah, მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენებასა და მარტივ წინადადებებში.

გადაცემის გამხსნელ სიგნალზე პასუხად მიიღება ტაში და ოვაციები.

გვიან-ლამის გასართობი თოქშოუს მსგავსად ბრიტანული დღის შოუშიც წამყვანის მიერ სტუმრების წარდგენას თან ახლავს მათი სტუდიაში შემოსვლა და გადაცემის ძირითად ნაწილზე გადასვლა.

მესამე ქვეყანრის ტიპის ბრიტანულ თოქშოუში "Loose Women" გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალად გვევლინება გადაცემის ვიდეოქუდი. გადაცემის გახსნა ხდება გამომცხადებლის მიერ, რომელსაც წინ უსწრებს ვიდეორგოლი გადაცემაში განსახილველი თემის შესახებ. გადაცემა ეთერში გადის კვირაში ხუთ სამუშაო დღეს და მისი წამყვანები იცვლება დღეების მიხედვით. შოუს ჰყავს სამი ძირითადი წამყვანი. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა გადაცემის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა, რომელიც თითქმის ყველა გადაცემაში მეორდება უმნიშვნელო სხვაობით. მაგალითად:

ა) გამომცხადებლის მიერ გადაცემის დროის იდენტიფიკაცია

ბ) ვიდეორგოლი გადაცემის ანონსის შესახებ

გ) გამომცხადებლის მიერ წამყვანების იდენტიფიკაცია

დ) მისალმება და აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა

ე) შოუზე მოპატიჟება

ვ) ახალი ამბის მოყოლა და სტუმრის სრული სახელით იდენტიფიკაცია.

მაგალითად:

ა) *გამომცხადებელი: It's Monday the 12th of January and Loose Women Today.*

ბ) *ვიდეორგოლი*

გ) გამომცხადებელი: *It all starts now with Jane Moore, Gloria Hunniford, Coleen Molan and Ruth Langford (სტუდიაში შემოდიან წამყვანები).*

დ) Ruth: *Thank you, hello, thank you very much, uh. Thank you very much.*

ე) Ruth: *Welcome to your first Loose Women of the week. Hope you can enjoy it.*

ვ) Ruth: *It was Golden Globe Awards last night and all favourite Mr. Clooney was honoured with a lifetime achievement, as in his speech he paid contribution to his new wife ... (Loose Women, January 12, 2015).*

მოცემულ დისკურსის მონაკვეთში გადაცემის გახსნა ხდება გამომცხადებლის მიერ, რაც თოქშოუში მიმდინარე საუბარს განასხვავებს ყოველდღიური არაოფიციალური რეგისტრისაგან. გადაცემის გამხსნელ შემდეგ სიგნალს წარმოადგენს თავად წამყვანი. გადაცემის ხუთი წამყვანიდან გადაცემის გახსნაში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ ერთი დომინანტი წამყვანი. გადაცემის გახსნისას აგრეთვე გამოყენებულია ყოველდღიური საუბრისათვის დამახასიათებელი მარტივი კონსტრუქციები, შორისდებულები (uh). გვხვდება ფრაზები, რომლებიც ხაზს უსვამს დისკურსის ინსტიტუციურ ხასიათს: **Welcome to Loose Women.** ასევე გამოყენებულია სტუმრისადმი ოფიციალური მიმართვა (Mr. Clooney), რაც უფრო ოფიციალური გარემოსათვის არის დამახასიათებელი.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბრიტანული თოქშოუს სამივე ქვეყანისათვის დამახასიათებელია გადაცემის გახსნის ფიქსირებული სიგნალების თანმიმდევრობა მცირე განსხვავებებით. თოქშოუში მიმდინარე საუბარი წარმოდგენილია როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ლექსიკით, ამით კი თოქშოუ სიახლოვეს ამჟღავნებს ყოველდღიურ „თავისუფალ“ სტილთან.

2.1.2. ქართული თოქშოუს დასაწყისი

ბრიტანული თოქშოუსაგან განსხვავებით ყველა ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალი არის გადაცემის ვიდეოქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც წამყვანი, მისი ინსტიტუციური როლიდან გამომდინარე, ხსნის გადაცემას. ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნისას წამყვანები ცდილობენ მიესალმონ აუდიტორიას, წარადგინონ ახალი ამბები და სტუმრები. თუმცა, აქაც განსხვავებები გვხვდება არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანრის თოქშოუს შორის, არამედ ერთი ტიპის გადაცემებს შორისაც კი.

„The ვანო's Show“-ში წამყვანი გამოდის ბენდის მიერ დაკრული მუსიკის ფონზე, სტუდიის ცენტრში ფეხზე მდგომი წამყვანი რიტუალიზებულ მონოლოგს წარმოადგენს და მხოლოდ ამის შემდეგ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რის შედეგადაც იგი ხსნის გადაცემას. ქართული გვიან-დამის გასართობ თოქშოუში შეიძლება გამეყოთ გადაცემის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) აუდიტორიისადმი მადლობის გადახდა
- ბ) მისალმება
- გ) პოლიტიკური ახალი ამბების იუმორისტულად წარდგენა
- დ) ბენდის წარდგენა და მადლობის გადახდა

მაგალითად:

ვანო :

- ა) გმადლობთ, დიდი მადლობა.*
- ბ) მოგესალმებათ ვანო ჯავახიშვილის შოუ.*
- გ) დავიწყებ საინტერესო თემებზე საუბარს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა სამინისტროებში გაცემული პრემიების და დანამატების მონაცემები, სადაც ნათლად ჩანს, რომ მთავრობამ გაითვალისწინა ხალხის აღშფოთება და პრემიები 31 მილიონით შეიმცირა. ძალიან კარგი რაღაც გააკეთეს, მაგრამ ამის მერე გაითვალისწინა საკუთარი აღშფოთება და დანამატები გაიზარდა 45 მილიონით. ესეც ხომ გასათვალისწინებელია. ეხლა მართლაც სერიოზულად რომ ვთქვათ, სიღარიბეში ხომ არ*

უნდა იყვნენ ჩვენი სახელმწიფო მოხელეები. პარლამენტმა დაუყოვნებლივ განიხილა პრემიებზე და დანამატებზე უარის თქმის საკითხი და თქვა უარი, ოღონდ პრემიებზე კი არ თქვა უარი, უარზე თქვა უარი. მიხვდით რაშიცაა საქმე? ამ საკითხებში რეკორდი კულტურის სამინისტრომ მოხსნა, სადაც დანამატები 1500 პროცენტით არის გაზრდილი ანუ კულტურის სამინისტროს ნამდვილად ეკუთვნის, ძვირფასო მეგობრებო, მართლაც ძალიან ეკუთვნის. აუცილებელია, კულტურის სამინისტროს 1500 პროცენტით კი არადა 3000 პროცენტითაც უნდა გაუზარდონ ეს დანამატები, იმიტომ რომ, იმდენად აამაღლეს მოსახლეობის კულტურის დონე, რომ მთავრობა ფულს გვიჭამს, პროდუქტებს გვიძვირებს, დანგრეულ გზებზე დაგვატარებს და ხალხი ისე კულტურულადაა გასუსული, რომ ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ დააცდენინებინებ. აი, ეს არის კულტურის სამინისტროს მართლა ნამუშევარი და ამის დაფასება აუცილებელია

დ) ჩვენს შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი თამუნა ლეკვეიშვილის ხელმძღვანელობით. გმადლობთ (The ვანო's Show, 20 ნოემბერი, 2015).

წამყვანი გადაცემას ხსნის აუდიტორიისათვის მადლობის გადახდით. ამისათვის, წამყვანი იყენებს თავაზიან ფორმას (გმადლობთ!), რაც ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი. მისალმებაც ოფიციალური სტილით ხდება, ინსტიტუციის სახელით (მოგესალმებათ ვანო ჯავახიშვილის შოუ). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ვანო ხშირად იმეორებს სიტყვებს, რაც არაოფიციალური, სასაუბრო დისკურსის თვისებაა.

ვანო ჯავახიშვილი იუმორისტული სტილით ართობს მაყურებელს და მოტივაციას უჩენს ბოლომდე უყუროს გადაცემას. იგი კომიკურობის გასაძლიერებლად ექსპრესიულ-ემოციურ სიტყვებსა და სოციოლექტიზმებს იყენებს. „ვანოს შოუში“ ნათქვამი ორაზროვნებით ხასიათდება, ხშირია გამეორებები, რაც იუმორს უფრო მრავალწახნაგოვანს ხდის.

ბრიტანული გვიანი-ლამის თოქშოუსაგან განსხვავებით ვანოს შოუში გადაცემის გამხსნელი სიგნალების დასრულებას თან არ სდევს სტუმრის/სტუმრების წარდგენა და

მისი სტუდიაში შემოსვლა. მოდერატორი კვლავ აგრძელებს მონოლოგს იუმორისტული ჩანართებით.

რაც შეეხება თოქშოუს შემდეგ ქვეყანას, სადაც განვიხილავთ „ნანუკა ჟორჯოლიანის შოუს“(ნანუკას შოუს), გადაცემის ვიდეოქუდის დასრულების შემდეგ ჩნდება გადაცემის წამყვანი. მისი ინსტიტუციური ფუნქციიდან გამომდინარე, ისიც ვანოს მსგავსად დგას სცენის შუაში და ხსნის გადაცემას. ამ ქვეყანაში ვაწყდებით თოქშოუს გადაცემის გახსნის რამდენიმე ვერსიას:

1. ა) მისალმება

ბ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება მაყურებლისათვის და აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა

გ) გადაცემის სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა

დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა

მაგალითად:

ნანუკა: ა) სადამო მშვიდობისა.

ბ) დღეს არის ოთხშაბათი, სადამოს 10 საათი, რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენ უყურებთ ნანუკა ჟორჯოლიანის შოუს და დიდი მადლობა ამისათვის.

გ) რამდენიმე კვირის წინ ყველა პოლიტიკური, სოციალური ნიუსი, ყველა სკანდალი ერთმა კეთილმა ამბავმა გადაფარა. ბორჯომში სოფელ ახალდაბასთან მანქანამ მართვა დაკარგა და მტკვარში გადავარდა, სამი ადამიანი იჯდა ამ მანქანაში, აქედან ერთ-ერთს გული წაუვიდა. მომხდარის დეტალებს დღეს ნანუკას შოუში სწორედ ის მოგიყვებათ.

დ) ნინო დათაშვილი სტუდიაში ... (ნანუკას შოუ, 8 მარტი, 2015).

წამყვანი მადლობის გადახდისას იყენებს ოფიციალურ ლექსიკას, თავაზიან ფორმებს (დიდი მადლობა!), სტუმრის იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით, რომელსაც წინ უძღვის ამ ადამიანის სტუდიაში მოწვევის მიზეზი. გადაცემაში აგრეთვე გამოყენებულია არაოფიციალური რეგისტრისათვის დამახასიათებელი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები.

უნდა აღინიშნოს, რომ არხის გახსნის ეს სიგნალები რიტუალიზებულია და „ნანუკას შოუს“ თითქმის ყველა გადაცემაში გვხვდება. თუმცა, ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა გადაცემის გახსნის მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვერსიებიც, რაც წამყვანის ორიგინალური სტილით არის გამოწვეული.

2. ა) მისაღმება

ბ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება აუდიტორიისათვის

გ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა

დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

მაგალითად:

ნანუკა: ა) სადამო მშვიდობისა!

ბ) დღეს ოთხშაბათია სადამოს 10 საათი რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენ უყურებთ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს.

გ) კახა ბენდუქიძის შვილი საქართველოს მოქალაქე გახდა, სწავლობს ქართულს, დადის უნივერსიტეტში, აქვს ცოტა პრობლემები და მთელი რიგი სიახლეები ამ ქვეყანასთან დაკავშირებით.

დ) ნასტია კონჩაროვა, დღეს ჩვენ მოგვიყვება ყველაფერს, რაც არის საინტერესო მის ირგვლივ (ნანუკას შოუ, 30 ივლისი, 2015).

გადაცემის დაწყების ამ ვერსიაშიც გადაცემის გახსნა ხდება მისაღმებით, აუდიტორიისათვის მადლობის გადახდის გარეშე. სტუმრის წარდგენა, როგორც წესი, არაპირდაპირ ხდება, რომელსაც მალევე მოჰყვება სტუმრის პირდაპირი წარდგენა, მისი სრული სახელის გამოცხადებით. წამყვანის არაოფიციალურ სტილზე მიუთითებს ის, რომ იგი არღვევს გრამატიკულ ნორმებს. მაგალითად, ცოტა პრობლემები.

3. ა) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა

ბ) სტუმრის პირდაპირი იდენტიფიკაცია.

მაგალითად:

ნანუკა: ა) არ არსებობს ჯარისკაცი გენერლობაზე რომ არ ოცნებობდეს, მაგრამ ჩემი დღევანდელი სტუმარი გენერალი ისე გახდა არათუ გენერლობაზე, ჯარისკაცობაზეც კი

არ უოცნებია. მეტიც ჯარიც არ მოუვლია და პირდაპირ ომში მიიღო საბრძოლო ნათლობა და მოგვიანებით გახდა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი

ბ) დავით თევზაძე ნანუკას შოუში (ნანუკას შოუ, 8 ივლისი, 2015).

4. ა) მისალმება

ბ) ამბის მოყოლა

გ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა

დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა

ნანუკა: ა) სადამო მშვიდობისა!

ბ) მოკლედ, ერთმანეთი უყვარდებათ, ქორწინდებიან, გადის დრო და ეს სიყვარული ქრება, ხან ღალატის გამო ხან რის და ხანაც რის გამო. ერთმანეთს შორდებიან და შემდეგ ვეღარ ახერხებენ ურთიერთობას, ხდება ასეთებიც და თუ ახერხებენ და ყოფილი მეუღლეები ურთიერთობენ ეს ამბავი უჩვეულოდ აღიქმება, უკვირთ არადა წესით გასაკვირი არ არის ცივილიზებული ურთიერთობა ჰქონდეთ მათ, ვისაც ერთმანეთი უყვარდათ, ჰქონდათ ოჯახი, რაც მთავარია ჰყავთ შვილები, მოკლედ, რაც არ უნდა ძირძველი ევროპელები ვიყოთ, როგორც ჩანს მენტალურად მაინც გვიჭირს ევროპელობა.

გ) მე დღეს თქვენთან ერთად გავარკვევ რამდენად ახერხებენ ურთიერთობას ჩემი სტუმრები თავის ყოფილებთან და მოდი დავიწყებ პირველი სტუმრით.

დ) ხატია შამუგია ნანუკას შოუში (ნანუკას შოუ, 1 აპრილი, 2015).

გადაცემის გახსნისას წამყვანი ორიენტირს აკეთებს ორივე ტიპის აუდიტორიაზე თავისი ინსტიტუციური ფუნქციიდან გამომდინარე. სტუმრის წარდგენა ხდება სრული სახელით. წამყვანი იყენებს არაოფიციალურ რეგისტრის სტილს.

ზემოთ დასახელებული გადაცემის გამხსნელი სიგნალების რამდენიმე ვერსიის გარდა, ნანუკას შოუში აგრეთვე დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე გადაცემა, რომლებიც ჩაწერილი იყო სტუდიის გარეთ, ღია ცის ქვეშ, სადაც გადაცემის ყოველგვარი გამხსნელი სიგნალების გარეშე წამყვანი პირდაპირ თოქშოუს ბირთვზე გადადის და იწყებს ინტერვიუს თავის სტუმრებთან (ნანუკას შოუ, 16 სექტემბერი, 2015).

მისაღმების, სტუმრების წარდგენის შემდეგ წამყვანს გადაცემა თოქშოუს ბირთვზე - ინტერვიუზე გადაჰყავს.

რაც შეეხება მესამე ქვეყანრის ქართულ თოქშოუს „დღის შოუ“ , იგი ახლოს დგას ამავე ქვეყანრის ბრიტანულ თოქშოუსთან. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ქვეყანრის თოქშოუში გვხვდება ერთდროულად რამდენიმე წამყვანი და ისინი იღებენ მონაწილეობას გადაცემის გახსნაში. გადაცემა კვირის ხუთ სამუშაო დღეს გადის ეთერში და გადაცემის გახსნის სიგნალების მიხედვით კვირის თითოეული დღის გადაცემა მეტ-ნაკლებად განსხვავდება სხვა დანარჩენისაგან. ემპირიულ მასალზე დაკვირვებამ გამოავლინა გადაცემის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

1) ორშაბათი : ა) ვიდეორგოლი, რომელშიც დაანონსებულია გადაცემაში განსახილველი თემა

ბ) მისაღმება

გ) გადაცემაში გასვლის დროის შეხსენება მაყურებლისათვის და გადაცემის რუბრიკის დასახელება

დ) ახალი ამბის მოყოლა

ე) წამყვანის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია

ვ) სტუმრების პირდაპირი წარდგენა.

მაგალითად:

ა) ვიდეორგოლი.

ბ) სოფო: მოგესალმებით, გამარჯობათ!

გ) დღეს ორშაბათია და მოგეხსენებათ ეთერშია დღის შოუს სალონი, არა სალონი კი არა დღის შოუში ვოისია.

დ) ეს ცოტა იმპროვიზირებული გახლავთ, მაგრამ ეს არის გენერალური რეპეტიცია იმ გრანდიოზული პროექტისა, რომელიც ხვალ იმედის არხზე დაიწყება.

ე) მე მისი წამყვანი სოფიკო ნარჩემაშვილი გახლავართ.

ვ) მინდა, რომ წარმოგიდგინოთ ჩვენი მწვრთნელები, ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მომღერლები: ნოდუკო ტატიშვილი, მობრძანდით, ნუცა შაშიაშვილი და რაღა

თქმა უნდა ანრი ჯოხაძე, მობრძანდით (ტაში); მობრძანდით ქალბატონო ნუცა....(დღის შოუ, 5 ოქტომბერი, 2015).

წარმოდგენილ მაგალითში გადაცემის ხუთი წამყვანიდან (სამი უცვლელი წამყვანი და ორი მხოლოდ ორშაბათი დღის წამყვანი) გადაცემის გახსნაში მხოლოდ ერთი მოდერატორი მონაწილეობს, სხვა დანარჩენი პასიურ მდგომარეობაში არიან, ისინი თოქშოუს ძირითად ნაწილში ერთვებიან. დომინანტი წამყვანი მისალმებისას იყენებს თავაზიან ფორმებს (გამარჯობათ, მოგესალმებით), ასევე სტუმრების წარდგენისას მიმართავს ოფიციალურ სტილს (ბატონო, ქალბატონო) და ახდენს მათი სრული სახელებით იდენტიფიკაციას, რაც ამ შემთხვევაში, თოქშოუს განასხვავებს ყოველდღიური სასაუბრო სტილისაგან.

2. სამშაბათი: ა) ვიდეორგოლი გადაცემის ანონსის შესახებ

ბ) მისალმება

გ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება მაყურებლისათვის და გადაცემის რუბრიკის წარდგენა

დ) წამყვანის მიერ საკუთარი თავის წარდგენა

ე) სხვა წამყვანის მისალმება

ვ) წამყვანების დიალოგი თემის ირგვლივ

ზ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა

მაგალითად:

ა) ვიდეორგოლი

ბ) ლელა: მოგესალმებით.

გ) დღეს სამშაბათია და როგორც ყოველ სამშაბათს დღის შოუში მშობელთა კრება გვაქვს,

დ) რომელსაც მე ლელა მეზურიშვილი წაუძღვები ჩვენს უცვლელ წამყვანებთან ერთად.

ე) გოგოებო როგორ ხართ?

ნანიკო: გამარჯობა ლელა, მოგესალმებით, ლამაზი ხარ. ლელა: მადლობა, ძალიან დიდი, თქვენც.

ვ) ლელა: დღეს ძალიან საინტერესო თემით მინდა დავიწყო. ძალიან ბევრ მშობელს პრობლემა აქვს ბავშვის კვების, თქვენც. ჩვენ ვისაუბრეთ გადაცემის დაწყებამდე. თქვენც დამეთანხმეთ, რომ ხშირია ეს პრობლემა, თქვენც თავად გქონიათ. ბავშვების უჭმელობა მშობლისათვის ძალიან რთული გადასატანია. როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ ბავშვებს სწორად მივაწოდოთ ეს მინერალები და ვიტამინები ისე, რომ არ დავუზიანოთ ფსიქიკა, სწორედ ამაზე ვისაუბრებთ დღეს.

ნანიკო: ძალიან მომეწონა, რომ არ დავუზიანოთ ფსიქიკა.

სოფო: მაგრამ რომ არ ჭამს, რას იზამ.

ეკა: აი ეხლა მე მშობლებს შევახსენებ. პროდუქტების ოთხი ძირითადი ჯგუფია

ზ) ნანიკო: მოდი მოვიწვიოთ სტუმარი სტუდიაში, პედიატრი ქალბატონი მარინა ნასრაშვილი (დღის შოუ, 15 დეკემბერი, 2015).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში თოქშოუს ოთხი ძირითადი წამყვანი ჰყავს (სამი უცვლელი წამყვანი და ერთი სამშაბათი დღის რუბრიკის წამყვანი). აქედან ერთ წამყვანს დომინანტური როლი აქვს, თუმცა წინა მაგალითისაგან განსხვავებით გადაცემის გახსნაში მონაწილეობას სხვა წამყვანიც იღებს. გადაცემაში მიმდინარე საუბარი ერთი შეხედვით ნაცნობებს შორის გამართულ ჩვეულებრივ საუბარს ჰგავს, სადაც ზოგჯერ ხდება ჯერების გადაფარვა, ფრაზების გამეორება. მისაღმებისას დომინანტი წამყვანი მიმართავს თავაზიან ფორმას და სტუმრის წარდგენაც ოფიციალური სტილით, სრული სახელით ხდება. იგი იყენებს გრამატიკულად გაუმართავ წინადადებებს, რაც თოქშოუს კიდევ უფრო აახლოებს არაოფიციალურ, ყოველდღიურ საუბრის სტილთან.

3. ოთხშაბათი: ა) ვიდეორგოლი გადაცემის ანონსის შესახებ

ბ) პირადი საუბრები

გ) სტუმრის წარდგენა

მაგალითი:

ა) ვიდეორგოლი

ბ) ეკო: ძაან რალაცნაირად რო ვინაბები.

ნანიკო: ტრენდული ხრიკებია ეხლა მოდაში ხო?

სოფო: და ვარდისფერი ხო ეკო?

ეკო: შემოდგომაზე მე ვარდისფერი მიყვარს

გ) ეკო: ჩვენთან სტუმრადაა ტოტალ შარმის დალი ხორავა (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

უნდა აღინიშნოს, რომ „დღის შოუში“ სხვა შოუებისაგან განსხვავებით, ნაკლები აქცენტი აუდიტორიაზე კეთდება. ერთი შეხედვით გადაცემის გახსნა ჰგავს ნაცნობებს შორის გამართულ საუბარს, სადაც ხშირად ხდება ჯერების გადაფარვა. ასევე მოცემულ მონაკვეთში წამყვანები კადრს კი არ უყურებენ, არამედ ერთმანეთს და ისე საუბრობენ. ისინი ერთმანეთს მიმართავენ კინობითი სახელებით, რაც ასევე ქმნის არაოფიციალურ გარემოს. თუმცა, მეორე მხრივ, გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ აღნიშნული დისკურსი სატელევიზიო ჟანრს განეკუთვნება.

4. ხუთშაბათი: ა) მისალმება

ბ) გადაცემის რუბრიკის დასახელება

გ) წამყვანებს შორის დიალოგი განსახილველი თემის ირგვლივ

დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

ა) ნანიკო: გამარჯობათ, მოგესალმებით;

სოფო: გამარჯობათ, ნეტარებაში ვარ კეტრინ, რა ოქროს ხელები გაქვს (ერთ-ერთი წამყვანი სოფოს მასაჟს უკეთებს).

ბ) ნანიკო: დღეს ხუთშაბათია და დღის შოუში კლინიკის დროა და გვაკლია ვინ? განუმეორებელი ბიძინა კულუმბეგოვი, მოგესალმებით.

ბიძინა: მოგესალმებით, მე სტუმართან ერთად მოვედი (ხელში უჭირავს ჩონჩხი).

გ) ეს არის ადამიანის ხერხემალი. ჩვენ წინა გადაცემაშიც გვქონდა საუბარი რისგან შედგება ხერხემალი

დ) ნანიკო: ქალბატონი ირმა გორგილაძე მინდა დავპატიჟო სტუდიაში. გამარჯობათ, მოგესალმებით (დღის შოუ, 15 ოქტომბერი, 2015).

მოცემულ მონაკვეთში გადაცემის გახსნისას მხოლოდ სამი წამყვანი ესალმება აუდიტორიას (ერთი წამყვანი პასიურ მდგომარეობაში რჩება თოქშოუს ბირთვამდე). თუმცა, ერთ-ერთ წამყვანს ინსტიტუციურად მაინც უფრო მეტის უფლება აქვს, რაც ვლინდება ჯერების ხანგრძლივობაში და თემებისა და სტუმრების წარდგენაში. აქაც გამოყენებულია კნინობითი ფორმები, რაც არაოფიციალური დისკურსისათვის არის დამახასიათებელი, მეორე მხრივ, სტუმრის წარდგენა სრული სახელით ხდება, რაც უფრო ოფიციალურ გარემოს ქმნის.

5.პარასკევი: ა) მისალმება

ბ) გადაცემის რუბრიკის შეხსენება აუდიტორიისათვის

გ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

ა) ნიკოლოზი: მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო.

ბ) დღეს პარასკევია და ეთერშია გადაცემა დღის შოუ, რუბრიკა პერსონის დრო გახლავთ.

გ) ჩვენი დღევანდელი გადაცემის მთავარი სტუმარი გახლავთ ბატონი კოტე მახარაძე (დღის შოუ, 20 ნოემბერი, 2015).

დღის შოუს კვირის დანარჩენი დღეების გადაცემებისაგან განსხვავებით, პარასკევის ეთერში გადაცემას ხსნის მხოლოდ ერთი წამყვანი, რომელიც მხოლოდ ამ დღეს არის ეთერში. გადაცემის სამი უცვლელი წამყვანი გადაცემას მოგვიანებით შემოუერთდება. წამყვანი თავაზიანი ფორმით ესალმება აუდიტორიას და სტუმარს სრული სახელით წარადგენს, რაც საუბრის ოფიციალურ სტილზე მიუთითებს.

ქართულ თოქშოუშიც გადაცემის გახსნისას უმეტეს შემთხვევაში ხდება, პირველ რიგში, აუდიტორიასთან მისალმება და მათთვის მადლობის გადახდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შოუში ასევე აქცენტი კეთდება ტელემეყურებელზეც. სტუმრებთან მისალმებისას წამყვანი თითქმის ყოველთვის იყენებს თავაზიან ფორმებს.

ქართულ თოქშოუზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სამივე ქვეყანის ქართული თოქშოუს წამყვანების მონოლოგები აღემატება ბრიტანული წამყვანების მონოლოგებს. ბრიტანული თოქშოუ ლაკონურობით გამოირჩევა.

2. 2. თოქშოუს დასასრული –გადაცემის დამასრულებელი სიგნალები

გადაცემის გამხსნელი სიგნალის მსგავსად არსებობს სპეციალური სიგნალი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გადაცემა დასრულების პირასაა და მთავრდება (ჰაჩი 1992 :8).

დასასრულ ფაზაში კომუნიკაციის მონაწილეები ერთობლივად ასრულებენ საუბარს. ის მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე ემოციურ ენობრივ ქმედებებს, როგორცაა: შეფასება, კეთილი სურვილების გაცვლა (ლინკე 2004 :322).

საუბრის დასასრულს ა. ლინკე ზოგადად სამ ნაწილად ყოფს:

1. წამყვანის მიერ გადაცემის დასასრულის გამოცხადება: მაგალითად, ის სთხოვს სტუმრებს საბოლოო სიტყვას
2. სტუდიის სტუმრების ბოლო სიტყვები
3. წამყვანის დასკვნითი მოდერაცია (ibid. :101)

ამ ფაზის აუცილებელი ელემენტი ა. ლინკესათვის მოდერატორის დასკვნითი სიტყვაა. მას შეიძლება წინ უძღოდეს მეტ-ნაკლები ზომის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ინიცირებულია წამყვანის მიერ. დასასრულის მოახლოება შეიძლება გადმოიცეს: საუბრის დროის ამოწურვის მითითებით, დასკვნითი სიტყვისაკენ მოწოდებით ან წამყვანის მიერ კითხვის დასმით, რაც საუბრის დასასრულის მინიშნებას იძლევა. ასევე იშვიათად, მაგრამ მოსალოდნელია სტუმრებმა ყოველგვარი მოთხოვნის გარეშეც წარმოთქვან დასამშვიდობებელი სიტყვა. მოდერატორების დასკვნითი სიტყვა შემდეგი შინაარსობრივი ელემენტებისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა თანმიმდევრობით შეიძლება გამოვიდნენ: მაყურებელზე მიმართვა, საუბრის შინაარსის შეფასება, რჩევები/სურვილები, სტუდიის სტუმრებისადმი მადლობის გადახდა, მაყურებლების გამომშვიდობება. სტუდიის სტუმრებისადმი მადლობის გადახდა და მაყურებლის გამომშვიდობება ა. ლინკესათვის აშკარად დასასრული ფაზის კონსტიტუციური ელემენტებია, ხოლო საუბრის შინაარსის დახასიათება და ა.შ. შეიძლება დროის ნაკლებობის შემთხვევაში გამოტოვებულ იქნეს.

თოქშოუს ინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე და როლების ასიმეტრიულად გადანაწილების გამო, გადაცემის დახურვაც წამყვანის მიერ ხდება.

თუმცა, სანამ გადაცემა დაიხურება, სტუმრებსა და აუდიტორიას ემშვიდობება მასპინძელი. ასევე, არსებობს გადაცემის დასრულების სპეციალური წინმსწრები სიგნალები, რომლებიც ატყობინებენ ხალხს, რომ გადაცემა მთავრდება.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ბრიტანული თოქშოუს სამივე ქვეყანარში თითქმის ერთნაირად ხდება გადაცემის დახურვა, გადაცემის დამთავრების წინმსწრები სიგნალებიც რიტუალიზებულია და თითქმის იდენტურია.

2. 2. 1. ბრიტანული თოქშოუს დასასრული

სამივე ქვეყანარის ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დასრულების წინმსწრები შემდეგი სიგნალები გვხვდება:

1. ა) სტუმრისათვის მადლობის გადახდა
- ბ) სტუმრის/სტუმრების ხელახალი წარდგენა.

მაგალითად:

Graham: ა) Thank you to all my guests tonight.

ბ) Taylor Swift, Kevin Pieterston, John Cleese, Neil Diamond (The Graham Norton Show, October 11, 2014).

Alan: ა) My thanks to Joss Stone, Thank you.

ბ) Joss Stone (The Alan Titchmarsh Show, February 25, 2013).

Host: ა) Thank You Sir.

Guest: Thank you (Loose Women, October 6, 2014).

წამყვანი იყენებს არაოფიციალურ, სასაუბრო რეგისტრს მადლობის გადასახდელად და სტუმრებს მოიხსენიებს სახელებით ან სრული სახელებით. "Loose Women" -ში იყო შემთხვევა, როდესაც დამშვიდობებისას წამყვანი სტუმარს მიმართავს

sir-ით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო იუმორისტულად იყო გამოყენებული და ამ ადამიანისადმი ოფიციალურ მიმართვას არ გამოხატავდა.

გადაცემის წინადამხურავი სიგნალის დასრულების შემდეგ ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დახურვა ხდება შემდეგნაირად:

1. ა) მომავალი გადაცემის სტუმრების დაანონსება

ბ) აუდიტორიასთან გამომშვიდობება.

Graham: ა) Joining next week with Kate Winslet, Michael Fassbender, Julie Walters, 50 Cent and Ellie Goulding.

ბ) See you again, good bye (The Graham Norton Show, October 30, 2015).

Host: ა) Tomorrow Sam Bailey will be here.

ბ) See you soon tomorrow afternoon, Bye-bye (Loose Women, March 24, 2015).

2. ა) მომავალი გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება მაყურებლისათვის

ბ) მომავალი გადაცემის სტუმრების დაანონსება.

Alan: ა) We will be back on Monday, at 3 p.m. on ITV.

ბ) For another week - Jenny Agutter (The Alan Titchmarsh Show, October 17, 2014).

მოდერატორები აუდიტორიისადმი მიმართვისას იყენებენ როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური (გამოიყენება შემოკლებული ფორმები) რეგისტრის ლექსიკას.

გადაცემის დასრულების წინმსწრები სიგნალის შემდეგ ხდება გადაცემის დახურვა წამყვანის მიერ. ის ემშვიდობება მაყურებელს. გვხვდება არაოფიციალური რეგისტრის დამშვიდობების ფორმა და მოკლე წინადადებები: Host: See then, Bye (Loose Women).

2. 2. 2. ქართული თოქშოუს დასასრული

ქართულ თოქშოუშიც გვხვდება გადაცემის დახურვის წინმსწრები სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

1. ა) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა

ბ) სტუმრის/სტუმრების ხელახალი წარდგენა.

გადაცემის დახურვის ეს თანმიმდევრობა დამახასიათებელია „The ვანო's Show-თვის“:
ვანო: ა) უღრმესი მადლობა თქვენ მობრძანებისთვის, ძალიან დიდი მადლობა.

ბ) ჩვენი სტუმრები იყვნენ „ ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობები (The ვანო's Show, 12 დეკემბერი, 2014).

2. სტუმრებისათვის მადლობის გადახდა.

მოცემული თანმიმდევრობა გვხვდება „ნანუკას შოუსა“ და „დღის შოუში“, სადაც გადაცემის ბოლოს სტუმრის განმეორებითი წარდგენა იშვიათად ხდება. მაგალითად:

ნანუკა: ძალიან დიდი მადლობა, რომ იყავი ჩემთან (ნანუკას შოუ, 3 დეკემბერი, 2014).

ნანიკო: დიდი მადლობა ლაშა (დღის შოუ, 10 დეკემბერი, 2014).

გადაცემის დამასრულებელი წინმსწრები სიგნალების პირველ თანმიმდევრობაში გამოიყენება დამშვიდობების თავაზიანი ფორმა, რაც ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი. რაც შეეხება მეორე თანმიმდევრობას აქაც გამოიყენება თავაზიანი ფორმა, თუმცა დამშვიდობების ფრაზები უფრო ყოველდღიური სასაუბრო დისკურსისათვის არის დამახასიათებელი.

3. ა) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა

ბ) წარმატების სურვილი.

ნანუკა: ა) მადლობა.

ბ) მარინე წარმატებებს გისურვებ, მიყვარხარ, ძალიან. მინდა, რომ ბედნიერი იყო და, რაც მთავარია, გაფასებ ძალიან, ეს უფრო მთავარია (ნანუკას შოუ, 10 დეკემბერი, 2014).

ნანიკო: ა) დიდი მადლობა მობრძანებისათვის .

ბ) ეკო: წარმატებებს გისურვებთ კანში, თქვენს სოციალურ საქმიანობაში და რავი ყველგან, სადაც წახვალთ (დღის შოუ, 24 აპრილი, 2015).

ვანო: ა) მოკლედ, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისათვის.

ბ) წარმატებებს გისურვებთ ყველაფერში (The ვანო's Show, 7 ნოემბერი, 2014).

მესამე თანმიმდევრობაშიც გხვდება ოფიციალური და არაოფიციალური საუბრის ფორმები. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, „The ვანო's Show-ს“ წამყვანი თითქმის ყველა გადაცემაში მიმართავს დამშვიდობების ოფიციალურ ფორმას, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ორ თოქშოუზე, სადაც წამყვანებისა და სტუმრების საუბარი ახლობელ ადამიანებთან გულახდილ საუბარს ემსგავსება და დამშვიდობების სცენაც არაოფიციალურ ხასიათს იძენს.

გადაცემის წინა დამხურავი სიგნალის დასრულების შემდეგ ხდება გადაცემის უშუალო დახურვა. ვანოს შოუში წინადამხურავი და დამხურავი სიგნალების გამიჯვნა ხდება ერთმანეთისაგან მოკლე პაუზით, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მუსიკალური პაუზით.

ქართულ თოქშოუში დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გადაცემის დამხურავი შემდეგი სიგნალები:

1. ა) მაყურებლისათვის მადლობის გადახდა
- ბ) დამშვიდობება.

ნანუკა: ა) დიდი მადლობა რომ გვიყურებთ.

ბ) მომავალ ოთხშაბათამდე გემშვიდობებით (ნანუკას შოუ, 27 მაისი, 2015).

2. დამშვიდობება

ნანიკო: ჩვენ ხვალამდე გემშვიდობებით.

ეკო: მე პარასკევამდე (დღის შოუ, 24 სექტემბერი, 2014).

3. ა) აუდიტორიასთან გამომშვიდობება
- ბ) იუმორისტული ჩანართი.

ვანო: ა) ძვირფასო ტელემაყურებლებო, დღეს მე ამით გემშვიდობებით.

ბ) როგორც უკვე იცით, ელექტროენერჯის საფასური ძვირდებაო გავიგეთ. თან ეს მირკოფონიც ძალიან ბევრს წერს დენს, ელექტროენერჯიას. ამიტომ (აგრძელებს საუბარს, თუმცა ხმა აღარ ისმის) (The ვანო'ს Show , 24 აპრილი, 2015).

4. ა) აუდიტორიასთან გამომშვიდობება

ბ) მომავალ შოუზე მოპატიჟება

გ) იუმორისტული ჩანართი

დ) მადლობის გადახდა მაყურებლისათვის.

ვანო: ა) ძვირფასო ტელემაყურებლებო, დღეს მე ამით გემშვიდობებით.

ბ) შევხვდებით ერთმანეთს იქით პარასკევს.

გ) ეხლა უნდა გავიქცე ნარმანიასთან უნდა ავიდე, რძე და მაწონი უნდა ავეუტანო, დამიტოვეს და დავხედავ, რას ჭამს, რას სვამს, მარტო არის სახლში.

დ) მადლობთ (The ვანო'ს Show , 9 ოქტომბერი, 2015).

ზემოთ მოცემულ გადაცემის დამხურავ სიგნალების მოცემულ თანმიმდევრობებში თოქშოუს სამივე ქვეჟანრში გამოყენებულია თავაზიანი ფორმები, რაც გარემოს ოფიციალურობაზე მიუთითებს.

გადაცემის ვერბალურ დახურვას თან ახლავს მისი არავერბალური დახურვაც, წამყვანი ხელს უქნევს აუდიტორიას.

გადაცემის დახურვაზე ასევე მიუთითებს სპეციალური მუსიკალური ქუდი, რომელიც ისმის გადაცემის ბოლოს და შემდეგ გამოდის ტიტრები.

2.3. ჯერის სიგნალები ბრიტანულ თოქშოუში

დიალოგური ხასიათის დისკურსში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯერის პრინციპი.


ცნობილია, რომ პირისპირ წარმართულ საუბარში არსებობს კონკრეტული სიგნალები, რომლებიც ჯერის გაცვლა-გამოცვლას არეგულირებენ, მიუთითებენ დისკურსის თითოეული მონაწილის ჯერის დასრულებაზე. ჯერის სიგნალები საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ კომუნიკაციაში ჩართულ პირთა თანადროული ლაპარაკი და მოსაუბრისათვის ხელის შეშლა სათქმელის დამთავრებაში (ჰაჩი 1992 :16).

სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჯერის სიგნალები თოქშოუს ჟანრის განუყოფელი ნაწილია და სხვადასხვაგვარად არის გადანაწილებული (იხ. სქემა №6).

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება იმასთან დაკავშირებით, რა არის მიჩნეული ჯერად. ე. გოფმანის აზრით, ჯერი არის გარკვეული ხანგრძლივობის საუბარი ერთი ადამიანის მიერ, რომელსაც წინ უძღვის და მოჰყვება პაუზა. ჯერი არის სიტყვის გადაცემა-მიღების პროცესი და არა თავად სიტყვა (გოფმანი 1976 :23).

ჯერის სიგნალები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმისა და ზომის მიხედვით. ის შეიძლება იყოს მტკიცებითი წინადადება, კითხვა, ბრძანება ან წამომახილი. რაც შეეხება ზომას, ის შეიძლება გამოხატული იქნეს ერთი სიტყვით, ფრაზით, მთელი წინადადებით ან რამდენიმე წინადადებითაც კი.

ჯერის სიგნალების განაწილება თოქშოუში



განასხვავებენ ჯერობის შემდეგ სახეებს: ჯერის მიღება თვითარჩევანით (საკუთარი ინიციატივით საუბარში ჩართვა) და ჯერის გადაცემა მოთხოვნით ან თხოვნით: სხვისი არჩევანი, როცა სიტყვას გადასცემს მოუბარი პირი ან საუბრის

წამყვანი (ზექალაშვილი 2012:88). უნდა აღინიშნოს, რომ თოქშოუს ინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე ჯერის გადაცემა უმეტეს შემთხვევაში წამყვანის მიერ ხდება.

კონკრეტული ჯერის დასრულების აღმნიშვნელი სიგნალები შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური.

ემპირიულ მასალზე დაკვირვების შედეგად, ბრიტანულ თოქშოუში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახის ჯერის სიგნალები:

ვერბალური სიგნალები

1. ცალკეული სიტყვები: ა) **სრული სახელები** – წარმოთქმული ძირითადად წამყვანის ან გამომცხადებლის მიერ, როდესაც იგი წარმოადგენს სტუმარს ან წამყვანს და აძლევს სიგნალს, რომ მან მიიღოს ჯერი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სრული სახელები ძირითადად გამოყენებულია გადაცემის დასაწყისში, გადაცემის თითოეული ნაწილის დასაწყისში ან იშვიათ შემთხვევაში გადაცემის ბოლოს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბრიტანულ კულტურაში არ ხდება სრული სახელების გამოყენება, როდესაც ერთმანეთს მიმართავენ – იქნება ეს ოფიციალური თუ ყოველდღიური გარემო. ეს მოსაზრება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში დასტურდება.

Graham: John Bishop on the show. Hello Sir.

Guest: Hello (The Graham Norton Show, August 19, 2015).

Alan: He had a chart-topping music career spanning four decades after which he became a doctor of astro-physics. Now, just to keep busy he is leading a campaign to alter government policy on countryside. Ladies and gentlemen, the passionate Brian May.

Brian: Hello, thank you. (The Alan Titchmarsh Show, June 27, 2012).

როგორც მაგალითიდან ჩანს, სრული სახელების გამოყენება ხდება ძირითადად, როდესაც წამყვანი წარადგენს სტუმარს და ამით ასრულებს თავის ჯერს.

ბ) **კნინობითი სახელები** - Ad;

Graham: Ad Byrne is very at the moment. Aren't you Ad?

Guest: Yeah, yeah, I just took speeding points, didn't I?

(The Graham Norton Show, May 17, 2013).

გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები:

მაგალითად: *Mr. Jude Law, Miss Melissa.*

2. მეტყველების სტრუქტურული ნაწილები:

ა) ნაწილაკი - yeah;

Guest: Yeah, she bought some tickets, my mom, yeah, yeah.

Host: And you dance in a play, is it comic? (Loose Women, April 24, 2013).

ბ) კავშირები - so, or, and.

Host 1: All you need is a good foundation, so-o-o

Host 2: This is for you (Loose Women, April 24, 2013).

უნდა აღინიშნოს, როდესაც ჯერის სიგნალად გამოყენებულია კავშირი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაუზას, რომელიც სიგნალს აძლევს მსმენელს, რომ მოსაუბრეს სურს ჯერი მან აიღოს.

გ) შორისდებული - oops, wow (უნდა აღინიშნოს, რომ oops და wow გვხვდება ქართულ მეტყველებაშიც).

Guest: I switched high schools four times throughout my high school years, they thought I was a narc, I didn't have a lot of friends, no play with the ladies ...

Host: Wow

Guest: I know, you don't believe it, you must have, come on (The Graham Norton Show, February 24, 2015).

3. ფრაზები : ა) თავაზიანი ფორმულები: thank you, thank you very much.

Graham: Kate Winslet, ladies and gentlemen. Thank you very much.

Guest: Thank you (The Graham Norton Show, October 30, 2015).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ თავაზიანი ფორმულები ძირითადად გვხვდება შესავალ ან დასკვნით ნაწილში, როდესაც წამყვანი მადლობას უხდის სტუმარს სტუდიაში მობრძანებისათვის.

ბ) სასაუბრო ფორმულები - you know, all right.

1. *Graham: But you know, you have been honoured.*

Guest: I have few honours (The Graham Norton Show, August 19, 2015).

2. *Host: All right, I have high hopes, Charlie, you have travelled from Huddersfield to tell this story. I am a huge Kesha fan.*

Guest: In Birmingham she chose me to go on stage with her ... (The Alan Titchmarsh Show, October 17, 2014).

გ) ბოლო ფრაზის ან სიტყვის გამეორება - next month, next month; very nice, very nice.

მაგალითად:

Host: When are you going to have a concert?

Guest: Next month, next month (Loose Women, April 24, 2013).

ჩემი აზრით, გამეორება გამოწვეულია იმით, რომ მსმენელმა წინა ჯერის სიგნალი ვერ გაიგო და კომუნიკანტი ბოლო ფრაზის გამეორებით ცდილობს მსმენელს დაანახოს, რომ მას მეტი სათქმელი აღარ აქვს და შეუძლია ჯერი თავად აიღოს.

გამეორების ერთ-ერთი ფუნქციაა, რთული მდგომარეობა გაადვილოს და დასამახსოვრებელი გახადოს. გამეორებული ინფორმაცია როგორც სქემა, შაბლონი უნდა ჩაჯდეს.

4. წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები:

ა) კითხვები, რომლებშიც ერთიანდება ზოგადი ტიპის კითხვები, მაცალკავებელი კითხვები.

Host 1: What is he talking about?

Host 2: I don't know (Loose Women April 24, 2013).

Alan: It's amazing, isn't it? (The Alan Titchmarsh Show).

ბ) მტკიცებითი წინადადებები - უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ენაში ჯერის დასრულების სიგნალად გამოყენებულია მტკიცებითი წინადადებები, რომლებიც გამოითქმის დაღმავალი ინტონაციითა და შენელებული ტემპით.

Guest: Sometimes I don't know when you're kidding and I have to know when you're kidding.

Graham: I'm not kidding.

Guest: Very good (The Graham Norton Show, October 30, 2015).

ვერბალურ სიგნალებთან ერთად გამოიყენება პარალინგვისტური საშუალებანი:
ა) ტემპის შენელება; ბ) ხმოვნების დაგრძელება; გ) დაღმავალი ინტონაცია; დ) პაუზა.

რაც შეეხება არავერბალურ ჯერის სიგნალებს, ესენია: ა) მზერის გადასვლა იმ ადამიანზე, ვისაც ვაძლევთ ჯერს.

ჯერის გადაცემისას კომუნიკანტს მზერა გადააქვს იმ ინდივიდზე, ვისაც აძლევს ჯერს.

ბ) ჯერის დასრულების მაჩვენებელი თვალების დახრა ან, პირიქით, თავის აწევა და სხვაგან გახედვაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ კულტურაში თვალის კონტაქტი მნიშვნელოვანია და შესაბამისად მზერა ხშირად აღნიშნავს ჯერის დასრულებას ან მისი სხვისთვის გადაცემას.

ჟესტიკულაცია – დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჟესტიკულაცია, როგორც ჯერის სიგნალი, ხშირად გამოიყენება ბრიტანულ თოქშოუში.

გამოყოფილ იქნა ჟესტიკულაციით გამოხატული ჯერის გადაცემის სიგნალის ორი ტიპი:

ჯერის გადაცემის სიგნალი – თითის გაშვება იმ ადამიანისკენ, ვისაც ჯერს ვთავაზობთ ან ხელით მინიშნება.

ჯერის დამასრულებელი სიგნალი – ხელების ჩამოწევა საუბრის დასრულებისას.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები რეალიზდება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებებით და მათ თან ახლავს კამერის ფოკუსის შეცვლა და მიკროფონის გადაცემა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება თოქშოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში. გამონაკლისია დილის ახალი ამბების ფორმატის შოუები "Loose Women", სადაც მონოლოგშივე ჩართულია რამდენიმე წამყვანი, რომლებიც ცვლიან ერთმანეთში ჯერს.

რაც შეეხება აუდიტორიის მიერ გამოყენებულ ჯერის სიგნალებს, მათ ძირითადად ვხვდებით მტკიცებით წინადადებებში სხვადასხვა პარალინგვისტურ სიგნალებთან ერთად. არის შემთხვევები, როდესაც აუდიტორიაში მჯდომი პირი ხელის აწევით ითხოვს ჯერს.

თოქშოუს კითხვა-პასუხის ნაწილში ხშირად გამოიყენება ჯერის სიგნალები როგორც წამყვანის, ისე სტუმრების მხრიდან. ამ ნაწილის ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ წამყვანის ჯერის სიგნალების უმეტესობა კითხვითი წინადადებებია.

2.4. ჯერის სიგნალები ქართულ თოქშოუში

ბრიტანული თოქშოუს მსგავსად ქართულ თოქშოუშიც გადაცემის მიმდინარეობისას ჯერის სიგნალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ თოქშოუში გამოიყენება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ჯერის სიგნალები. ჯერის გადაცემა კი ძირითადად წამყვანის მოთხოვნით ან თხოვნით ხდება.

ქართულ თოქშოუში გამოიყო ჯერის შემდეგი ვერბალური სიგნალები:

1. ცალკეული სიტყვები

ა) **სრული სახელები**, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში წამყვანი წარმოთქვამს. ამით იგი სტუმარს აძლევს სიგნალს, რომ აიღოს ჯერი. მაგალითად:

ნანუკა: დავიწყეთ პირველი სტუმრით, გადაცემის პირველი სტუმარი ბიზნესლედია.....

მოკლედ, თუ ფერადე საკუთარი ისტორიით ნანუკას შოუში. სტუმარს მივესალმეთ.

სტუმარი: მოგესალმებით (ნანუკას შოუ, 1 ივლისი, 2015).

როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, წამყვანი სტუმარს ჯერს სრული სახელის გამოყენებით გადასცემს. ამ შემთხვევაში წამყვანის სასაუბრო სტილი ოფიციალურია და

იყენებს მიმართვის თავაზიან ფორმას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სრული სახელით მიმართვა ქართულ თოქშოუს ბირთვში-ინტერვიუს ნაწილში ნაკლებად ფიგურირებს, წამყვანი სტუმარს შენობით მიმართავს. მოცემული შემთხვევა ადასტურებს წინა ქვეთავში წარმოდგენილ ფაქტს, რომ სრული სახელებით მიმართვა ძირითადად გადაცემის დასაწყისშია დამახასიათებელი.

ბ) კნინობითი სახელები - ეკო, ნანიკო.

ნანუკა: ამას გარდა, სოფიკომ ახსენა პრომო (ნანუკას შოუ, 22 სექტემბერი, 2014).

გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები.

ბატონო ზურაბ, ქალბატონო ლალი.

2) მეტყველების სტრუქტურული ელემენტები.

ა) ნაწილაკი - ხომ (ხო). მაგალითად:

ნანიკო: ტრენდული ხრიკებია ეხლა მოდაში, ხომ?

სოფო: და ვარდისფერი ხლ ეკო? (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

ბ) კავშირი - დააა, რომ (წარმოთქმული ხმოვნის დაგრძელებით).

სტუმარი: მე გადავდგი ეს ნაბიჯი იმისათვის რომ

წამყვანი: რომ ამ დიდი წარმატებისთვის მიგელწია (დღის შოუ, 15 დეკემბერი, 2015).

გ) შორისდებული - ინგლისური შორისდებულების გამოყენება ქართულ გადაცემებში (wow, oops).

ნანუკა: ჯერ კიდევ 70-იან წლებში გინესის წიგნში მოხვდა ბონი ემი, თუმცა, ამ დროს შავ აბას გიწოდებდნენ, oops (ნანუკას შოუ) .

3) ფრაზები

ა) თავაზიანი ფორმულები - უკაცრავად, უღრმესი მადლობა.

წამყვანი თავაზიან ფორმებს უფრო მეტად შესავალ (სტუმრის წარდგენისას) და დასკვნით ნაწილში (სტუმართან დამშვიდობებისას) მიმართავს.

ბ) სასაუბრო ფორმულები - მართლა?

ვანო: პრიზების შესახებ იცით რამე, მართლა? (The ვანო'ს Show, 28 ივნისი, 2013).

გ) ბოლო ფრაზისა და სიტყვის გამეორება - კი, კი.

წამყვანი 1: ყველას ემართება. ჭკვიანსაც, შეძლებულსაც და შეძლებულებს უფრო ემართებათ, კი.კი.

წამყვანი 2: ყველას ემართება (დღის შოუ, 27 მარტი, 2012).

4) წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები:

ა) კითხვები, რომლებშიც გვხვდება ზოგადი ტიპის კითხვები.

მაგალითად:

წამყვანი: რატომ არ გამოგდიოდა ცეკვა?

სტუმარი: არა (დღის შოუ).

ბ) მტკიცებითი წინადადებები.

წამყვანი 1: როგორც ვიცი, თქვენ იყენებთ ლაით პუდრებს...

სტუმარი: კი, მე ვიყენებ (დღის შოუ, 26 მარტი, 2013).

ვერბალურ სიგნალებთან ერთად ქართულ თოქშოუში გამოიყენება პარალინგვისტური საშუალებანი: ტემპის შენელება, პაუზა და ა.შ.

ასევე ვხვდებით არავერბალურ ჯერის სიგნალებს. მზერის გადასვლა მოსაუბრეზე ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ მან უნდა აიღოს ჯერი.

ქართულ თოქშოუში ვხვდებით ჟესტიკულაციის გამოყენებასაც - მსმენელისაკენ თითის გაშვრა.

2.5. შეწყვეტინების სიგნალები ბრიტანულ თოქშოუში

თოქშოუს სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელი გადაცემა იგება დისკუსიაში ჩართულ პირთა - წამყვანისა და სტუმრების ჯერის ცვლაზე. ჩვენ განვიხილეთ ცალკეული სიგნალები, რომლებიც მიაწოდებდა მსმენელს, რომ კომუნიკანტმა საუბარი დაასრულა და ახლა მისი ჯერია.

თოქშოუს სპეციფიკა აგრეთვე განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ ზოგჯერ საუბრის შეწყვეტინების საჭიროებაც არის. კომუნიკანტები ერთმანეთს აწყვეტინებენ საუბარს. საჭიროა არსებობდეს ისეთი საშუალებები, რომლებითაც კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილე შეაწყვეტინებს მოუბარ პირს მიმდინარე საუბარს და თავად აიღებს ჯერს (ჰაჩი 1992: 29-30). ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ შეიძლება არსებობდეს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური შეწყვეტინების სიგნალები.

როდესაც დისკუსიის ერთი მონაწილე აწყვეტინებს მეორეს და იყენებს შესაბამის სიგნალებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რამდენად აქვს მას ამის უფლება, სხვა შემთხვევაში კომუნიკანტი შეიძლება უტაქტო ადამიანად იქნეს მიჩნეული. ამ მიმართებით განსხვავება შეინიშნება კულტურებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის იმასთან დაკავშირებით, რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ შეწყვეტინებად (უაითი 1997:60).

კომუნიკაციის წარმატებულად ფუნქციონისათვის საჭიროა, კომუნიკაციაში ჩართულმა პირებმა პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და სტატუსს. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიკაცია იერარქიულია და მნიშვნელოვანია სწორი სახის სისტემის გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა.

ჯერის სიგნალების არსებობის მიუხედავად თოქშოუს ნახევრადინსტიტუციური ხასიათისა და კონტროლის გარკვეული დოზისა ისე, როგორც ყოველდღიურ საუბარში, თოქშოუშიც გვხვდება შეწყვეტინება და გადაფარვები. დ.ციმერმანი შეწყვეტინებას მიიჩნევს ერთდროული მეტყველების ფორმად, რომლის დროსაც ირდევს მოსაუბრის ჯერი, ანუ მეორე მოსაუბრე იწყებს საუბარს მაშინ, როდესაც პირველ მოსაუბრეს ჯერ კიდევ არ აქვს თავისი ჯერი დასრულებული(ციმერმანი 1975:51). შეწყვეტინება ხდება იმ

დროს, როდესაც ინდივიდი საუბარს იწყებს მაშინ, როცა მეორე ინდივიდი ჯერ კიდევ საუბრობს (ჰარისი 1996 :18). ე.შეგლოფი განასხვავებს ერთმანეთისაგან შეწყვეტინებასა და გადაფარვას. მისი აზრით, გადაფარვის შემთხვევაში მეორე მოსაუბრე მაშინ იწყებს საუბარს, როდესაც ფიქრობს, რომ პირველი მოსაუბრე შეიძლება ასრულებდეს საუბარს. ხოლო როდესაც კომუნიკანტი არ ელოდება მოსაუბრის ჯერის დასასრულს, მაშინ ადგილი აქვს შეწყვეტინებას. განმარტებიდან გამომდინარე, გადაფარვა არის არაგამიზნული, ხოლო შეწყვეტინება – გამიზნული(შეგლოფი 1973 :49).

გადაფარვის შემთხვევაში ახალი მოსაუბრე თავისი აზრების ფორმულირებით წინა მოსაუბრის გამონათქვამის ბოლო ნაწილს ფარავს, რომელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას, მაქსიმუმ ერთ წინადადებას შეადგენს. გადაფარვა შეწყვეტინება კი არ არის, არამედ წარმოადგენს ინტერაქციის მონაწილეების კომპლექსურ შესაძლებლობას, მოახდინონ თავიანთი რეპლიკების ზუსტი კოორდინაცია. გადაფარული ინფორმაცია მსმენელისათვის არ არის მნიშვნელოვანი. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს:

- თანხმობის ან ყურადღების დამადასტურებელი სიტყვები პოსტპოზიციაში
- დასრულების სიგნალები ანუ დამამთავრებელი ნაწილაკები ან ცარიელი ფრაზები: yes, დიახ, კი
- წინადადების გამეორება

ა. ლინკე შეწყვეტინებად მიიჩნევს ისეთ პარალელურ საუბარს, როცა:

- მოსაუბრე, რომელიც იწყებს საუბარს, აქტუალური მოსაუბრის დაუმთავრებელ სინტაქსურ კონსტრუქციაში იჭრება
- მოსაუბრე, რომელსაც შეაწყვეტინეს, არ ნებდება, აგრძელებს საუბარს და არავერბალურ, ვერბალურ ან პარავერბალურ საშუალებებს იყენებს, რათა შეწყვეტინებისაგან დაიცვას თავი (მაგალითად: აზრების გამეორება, ხმამაღალი საუბარი)
- მოსაუბრეთა მონაცვლეობას წინ უძღვის შემდგომი მოსაუბრის მხრიდან შეწყვეტინების რამდენიმე მცდელობა (ლინკე 2004 :145).

უნდა აღინიშნოს, რომ შეწყვეტინების შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს ან არ შეგვხვდეს თანადროული საუბარი. ამგვარ შეწყვეტინებას „ჩუმი შეწყვეტინება“ ეწოდება(ფერკლო 2003:102).

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ, მიუხედავად ჯერის სიგნალების არსებობისა, ორივე კულტურაში კომუნიკანტის შეწყვეტინებას მაინც აქვს ადგილი. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებები. უნდა აღინიშნოს, რომ შეწყვეტინებას ორივე ქვეყნის თოქშოლში მხოლოდ წამყვანისა და სტუმრების მხრიდან აქვს ადგილი; აუდიტორიას ამის შესაძლებლობა არ ეძლევა, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელსაც მომდევნო ქვეთავებში განვიხილავ.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოვყო შეწყვეტინების შემდეგი ვერბალური და არავერბალური სიგნალები. ბრიტანულ შოლში ძირითადად შეინიშნება ვერბალური სიგნალები:

1. სპეციალური ფრაზები

ა) თხოვნის შემცველი ფრაზები

Graham: And Sir.Patrick, I feel we ought to

Guest: Can I, can I ask you, Patrick just Patrick.

Graham: Oh, just Patrick (The Graham Norton Show, February 3, 2012).

მოცემულ მაგალითში სტუმარი აწყვეტინებს მოდერატორს და გარკვეული თხოვნით მიმართავს მას.

ბ) კავშირები -but, and, or

Host 1: So now you've got people who are famous simply because how they look and the other

Host 2: But there are young kids as well.

Host 1: Yes ... (Loose Women, April 24, 2013).

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ თოქშოლში საკმაოდ ხშირად გამოიყენება კავშირი but, როგორც ჯერის შეწყვეტინების ვერბალური სიგნალი. იგი გამოხატავს იმ

პირის განსხვავებულ აზრს, რომელიც აწვევტინებს კომუნიკანტს და მოაქვს კონტრასტული ინფორმაცია.

შეწყვეტინების ვერბალური სიგნალები ზოგჯერ არავერბალურ სიგნალებთან ერთად გვხვდება.

ბრიტანულ თოქშოუში გამოვლინდა შემდეგი არავერბალური სიგნალი – შესტიკულაცია – ერთი ან ორივე ხელის მაღლა აწევა, რომლითაც კომუნიკანტს სიგნალი ეძლევა, რომ მოსაუბრე აპირებს საუბრის დაწყებას.

2.6. შეწყვეტინების სიგნალები ქართულ თოქშოუში

რაც შეეხება ქართულ თოქშოუებს, აქ ვხვდებით ჯერის შეწყვეტინების შემდეგ ვერბალურ სიგნალებს:

სპეციალური ფრაზები:

ა) ნებართვის მომპოვებელი ფრაზები

სტუმარი 1: კარგი პროექტი ოყო ძაან ჭიათურაში....

სტუმარი 2: თუ ნებას დამრთავთ ერთ რამეს ვიკითხავ (დღის შოუ, 2013)

ბ) ბოდიშის მომხდელი სიტყვები ან ფრაზები- ბოდიში, დიდი ბოდიში

სტუმარი : დარგვის საკითხზე დაიწყო ეს პრობლემა

წამყვანი: ბოდიში, იცით რა მითხარით (ნანუკას შოუ, 2014).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ თუმცა ქართულ კულტურაში შეწყვეტინება საკმაოდ ხშირია, კომუნიკანტები ცდილობენ გამოიყენონ თავაზიანობის მარკერები (ბოდიში, უკაცრავად).

გ) შეჩერების მომთხოვნის ფრაზები – ერთი წამით, ერთი წუთით

სტუმარი: ფაქტიურად, დიაგნოზის დასმიდან დღენახევარში ვიყავი სტამბოლში

წამყვანი: ერთი წამით, ბატონო ვია, მე მინდა მაყურებელს წავუკითხო თქვენი პოსტი. მოდი აბზაც-აბზაც მივყვეთ (ნანუკას შოუ, 24 ივნისი, 2015).

წამყვანი შეწყვეტინებისას სთხოვს სტუმარს ერთი წამი მისცეს მას, რადგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს სათქმელი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად წამყვანების ინსტიტუციური როლისა, ისინი მაინც სთხოვენ სტუმრებს დრო მისცენ.

დ) ნაწილაკი -ანუ

სტუმარი: ტრამვირებულ ძაღლს გადმოვიყვანთ ჩვენთან თავშესაფარში

წამყვანი: ანუ თქვენ ინსპექტირებას ატარებთ ქალაქში (დღის შოუ, 12 ნოემბერი, 2014).

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გვხვდება წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინების შემთხვევები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც სასაუბრო, ისე ინსტიტუციური ფუნქციაც.

სასაუბრო ფუნქციებია:

1. აზრის გამოთქმა
2. ინფორმაციის შევსება
3. თემის შეცვლა

წამყვანები, ინსტიტუციური ფუნქციიდან გამომდინარე, პასუხისმგებელნი არიან თოქშოუში განსახილველი თემების გაშლასა და წამოჭრაზე. შესაბამისად, ისინი ცდილობენ ახალი თემის შემოტანას.

4. შეწყვეტინება გამოწვეული დროითი შეზღუდვით. ყოველ გადაცემას აქვს მისთვის განკუთვნილი დრო და წამყვანები ცდილობენ თითოეული მონაწილის ჯერი გააკონტროლონ, რათა მოასწრონ ყველა დაგეგმილი თემის გაშლა და შოუს დროულად დასრულება.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა სტუმრის მიერ წამყვანის ან მეორე სტუმრის შეწყვეტინებაც, რომელსაც სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს:

1. ინფორმაციის შევსება

2. დათანხმება

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შეწყვეტინების სიგნალების არსებობა ბრიტანულ და ქართულ თოქშოუებში გადაცემის ნახევრადინსტიტუციური ჟანრის სპეციფიკით არის განპირობებული.

2.7. დისკურსის არამონაწილე პირთა შეზღუდვები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოქშოუ არის გადაცემა, სადაც კომუნიკაცია გადაცემაში ჩართულ პირთა ჯერების მონაცვლეობის გამოყენებით წარიმართება. მას გააჩნია სცენარი, წინასწარ განსაზღვრული საუბრის თემა და წინასწარ შერჩეული სტუმრები. გარდა დისკურსის მონაწილე პირებისა, თოქშოუს ესწრება აუდიტორია. მას ჰყავს ორი ტიპის აუდიტორია: ადამიანები, რომლებიც სტუდიაში ესწრებიან გადაცემის ჩაწერას და ტელეეკრანებთან სხედან.

თოქშოუს ნახევრადინსტიტუციური ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, საუბარში ჩართულ მონაწილეთა როლები მეტნაკლებად წინასწარ არის გადანაწილებული და იერარქიულია. წინასწარ არის განსაზღვრული, ვინ იქნება ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია, როგორი იქნება მათი ჩართულობა დისკუსიაში.

„სტუდიის რეალური პუბლიკა“, რომელიც ტელემაცურებლის წარმომადგენელია, თოქშოუს ერთ-ერთ პირობადაა მიჩნეული (ბარლოუენი, ბრანდენბერგი 1975:98). თუმცა ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. ჰ.ფოლტინი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ საუბრის გადაცემა მაცურებლის გარეშე თოქშოუ არაა (ფოლტინი 1990 :71), რადგან ხშირია თოქშოუ სტუდიის პუბლიკის გარეშე და მაცურებელთა გარე წრის არსებობას სტუმარი მედიალური გადაცემის პირობებში ისედაც ვერ დაივიწყებს.

ბ.აიმერენის აზრით, „მოქმედების სპონტანური სივრცე“ ნიშნავს სტუდიის ან ეკრანთან მყოფი მაყურებლის უშუალო ან პარასოციალურ მონაწილეობას დისკუსიაში, საუბრის მონაწილეების ან რომელიმე აზრის მხარდაჭერას (აიმერენი, 1998:601). ეს მონაწილეობა ყოველთვის მინიმალური იყო. ხშირად აპლოდისმენტებით, სიცილით, სტვენით, შეძახილებითა და უკმაყოფილო გადაჩურჩულებით გამოიხატებოდა სტუმრების მიმართ სიმპათია ან ანტიპათია, თუმცა არსებობს ზოგიერთი ფორმატის თოქშოუ, რომელშიც პუბლიკას საუბარშიც შეუძლია მონაწილეობა და ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი აზრი გამოხატოს. იშვიათად, მაგრამ მაინც ტელემაყურებელსაც აქვს ამის საშუალება (სატელეფონო ზარი პირდაპირ ეთერში, ტექსტური შეტყობინება, გამოკითხვა და ა.შ).

განასხვავებენ პუბლიკის საუბარში ჩართვის ორ ფორმას განასხვავებენ: გამოკითხვითსა და ინიციატივურს. პირველ შემთხვევაში პუბლიკა დროში ძალზედ შეზღუდულია და ყოველთვის წამყვანის კითხვას ელოდება, რათა დააფიქსიროს საკუთარი აზრი. მეორე შემთხვევაში მაყურებელს თავად შეუძლია საუბარში ჩართვა. ამისათვის მიკროფონებია მომზადებული ან წამყვანი სიტყვის მოთხოვნისას თავად აწვდის მიკროფონს (ფლაი 1997: 80-85). ჩემ მიერ განხილულ ემპირიულ მასალაში დაფიქსირდა პუბლიკის გადაცემაში ჩართულობის პირველი ტიპის შემთხვევა – გამოკითხვა, როდესაც აუდიტორია მხოლოდ მაშინ აფიქსირებს საკუთარ აზრს, როდესაც ამას წამყვანი გადაწყვეტს. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ბრიტანულ თოქშოუში ფიქსირდება. ქართულ თოქშოუში არ გვხვდება მსგავსი შემთხვევები, თუ არ ჩავთვლით განსხვავებული ფორმატის მქონე თოქშოუს, რომელიც ჩვენი კვლევის სფეროს არ წარმოადგენს.

კომუნიკაციის წარმატებულად ფუნქციონებისათვის ე. გოფმანი გვთავაზობს კიდევ ერთ შეზღუდვას, რომლის თანახმად ყველა ენაში უნდა მოიძებნებოდეს გარკვეული საშუალებები, რომელთა მეშვეობით მოხდება არამონაწილე წევრთა ხმაურის ბლოკირება. არსებობს ვერბალური და არავერბალური სიგნალები, რომლებიც ნებას დართავს ან ხელს შეუშლის და შეაჩერებს არამონაწილე პირთა შემოსვლას

კომუნიკაციის პროცესში. მეორე მხრივ, არამონაწილე წევრებიც იყენებენ გარკვეულ სტრატეგიებს, რათა შეცვალონ როლი და გახდნენ კომუნიკაციაში ჩართული წევრები (გოფმანი 196 :54).

ჩემ მიერ განხილულ თოქშოუებში ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია წარმოადგენს არაჩართულ მონაწილეებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამივე ქვეყანის ქართულ თოქშოუში დამსწრე აუდიტორია არ ჩანს, ისმის მხოლოდ აპლოდისმენტები და შემახილები, შესაბამისად გამორიცხულია მათი ჩართულობა კომუნიკაციაში. რაც შეეხება ბრიტანულ თოქშოუს აქ სამივე ტიპის თოქშოუში კადრში წარმოდგენილია დამსწრე საზოგადოება, თუმცა მათი ჩართულობა დისკუსიაში აქაც შეზღუდულია.

თოქშოუს ჟანრის სცენარის მიხედვით ადრესანტი (წამყვანი) და ადრესატი (სტუმარი) კომუნიკაციაში ჩართული ინდივიდებია.

თოქშოუში აუდიტორია კომუნიკაციის არამონაწილე წევრია. აუდიტორიის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ უკუკავშირის გამოხატვით. თუმცა, როდესაც აუდიტორიის მიერ გამოხატული უკუკავშირის სიგნალები ხელს უშლის აკუსტიკურ ადეკვატურობას, წამყვანი თუ სტუმრები ცდილობენ ამ ხმაურის სხვადასხვა სტრატეგიებით ჩახშობას.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი და სტუმრები, მათი ინსტიტუციური როლიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოდგენილია სატელევიზიო საუბარში ჩართულ ინდივიდებად, ხოლო აუდიტორია წარმოადგენს კომუნიკაციაში არაჩართულ ინდივიდებს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ თოქშოუში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, კომუნიკაციის არამონაწილე წევრებისათვის (აუდიტორიისათვის) არსებობს რამდენიმე შეზღუდვა, რომელიც ართულებს არამონაწილე აუდიტორიის საუბარში ჩართვას. ერთ-ერთი ასეთი შეზღუდვა არის დისტანცია.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ორი ქვეყნის თოქშოუში სტუდია ისეა მოწყობილი, რომ აუდიტორია დაშორებულია ჩართული პირებისაგან, ანუ მასზე მოქმედებს მანძილი.

არამონაწილის მეორე შემზღუდავი ფაქტორი, რომელიც აუდიტორიას არ აძლევს საშუალებას კომუნიკაციაში ჩაერთოს, არის ხმის გამაძლიერებელი მიკროფონი. შორი მანძილის გამო, იმისათვის, რომ აუდიტორია გადაერთოს არამონაწილიდან მონაწილის პოზიციაზე საჭიროა სპეციალური ხმის გამაძლიერებელი საშუალება.

მესამე ტიპის არამონაწილის შემზღუდავი ფაქტორია კამერა. როდესაც საუბარი წარიმართება სტუმარსა და წამყვანს შორის აუდიტორია არ ჩანს კადრში, ყურადღება გადატნილია მთლიანად ადრესანტსა და ადრესატზე.

თოქშოუს ჟანრში იერარქიის სათავეში დგას წამყვანი. ის აკონტროლებს სტუდიაში მიმდინარე მოვლენებს. სწორედ, ის იღებს გადაწყვეტილებას, როდის უნდა ჩართოს არამონაწილე წევრები კომუნიკაციაში. ამისათვის წამყვანი მიმართავს სხვადასხვა ვერბალურ თუ არავერბალურ სტრატეგიას, რომელსაც ყოველთვის თან ერთვის კამერის ფოკუსის გადასვლა აუდიტორიის კონკრეტულ წევრზე, რასაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს მიკროფონის გადაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის სტრატეგიები ძირითადად დამახასიათებელია ბრიტანული თოქშოუსათვის.

ბრიტანულ თოქშოუებში იმისათვის, რომ გადაცემის არამონაწილე პირი ჩაერთოს საუბარში, წამყვანი იყენებს ისეთ ვერბალურ სიგნალს, როგორცაა სრული სახელით მიმართვა. მაგალითად:

Graham: Where is Naifen? What annoys you Naifen?

Aud. Member: People with really wet palm shake (The Graham Norton Show, December 1, 2012).

მსგავსი შემთხვევები არცთუ ისე ხშირია ბრიტანულ თოქშოუში.

რაც შეეხება არავერბალურ საშუალებებს, კომუნიკაციის არამონაწილე პოზიციიდან მონაწილის პოზიციაზე გადასვლისათვის გამოიყენება კონკრეტული წევრისკენ ხელის გაშვერა ან მასზე მზერის გადატანა.

თოქშოუში შეიძლება მოხდეს აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა, რაც ორივე ქვეყნის თოქშოუში დაფიქსირდა. ამისათვის წამყვანი იყენებს ზოგადი ტიპის კითხვით

წინადადებებს აუდიტორიის მიმართ. ამ შემთხვევაში მთელი აუდიტორია გადადის არამონაწილის როლიდან მონაწილეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტიპის კითხვებს თან სდევს კამერის ფოკუსის გადასვლა და აუდიტორიის კადრში მოხვედრა. მსგავს შემთხვევებს წარმოვადგენთ ბრიტანული და ქართული გვიანი დამის გასართობი თოქშოუდან:

Graham: Did anyone see the Oscars?

Audience: Yes (The Graham Norton Show, March 2, 2013).

ვანო: პენსიები გაზარდეს?

აუდიტორია: არა (The ვანო's Show, 18 ივნისი, 2013).

ორივე მაგალითში წამყვანები აუდიტორიის კოლექტიურ ჩართვას კომუნიკაციაში ზოგადი კითხვის დასმით ცდილობენ.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ აუდიტორია თავად ვერ გადაერთვება ჩართული მონაწილის როლზე, თუ მას ამის საშუალებას წამყვანი არ მისცემს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თოქშოუში წარმოდგენილი სამი მონაწილიდან აუდიტორიას უჭირავს არაჩართულის პოზიცია; მისი კომუნიკაციაში ჩართვა ყოველთვის ინიცირებულია წამყვანის მიერ.

2.8. გრაისის მაქსიმუმის რეალიზაცია თოქშოუში

როგორც ცნობილია, დისკურსის წარმატებული ფუნქციობისათვის საჭიროა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინება.

როდესაც საუბარია კომუნიკაციის პრინციპებსა და სტრატეგიებზე, აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ჰ. გრაისის (გრაისი 1975) მიერ შემოთავაზებული კოოპერაციის პრინციპი (Cooperative Principle -CP) და მასთან დაკავშირებული ოთხი მაქსიმა. კოოპერაციის პრინციპი მიუთითებს, რომ საუბარში ჩართულმა პირებმა საყოველთაოდ

მიღებული მიზნებისა და მიმართულებების დაცვით სათანადო წვლილი უნდა შეიტანონ საუბრის გაცვლა-გამოცვლის პროცესში.

3. გრაისის მიერ შემოთავაზებული თეორია ეფუძნება კომუნიკაციის მიზნობრივ ხასიათსა და მისი წარმატებით წარმართვის გარემოებებს. ამრიგად, მან შემოგვთავაზა კომუნიკაციის ოთხი კატეგორია, ანუ მაქსიმა, ესენია:

1. **ოდენობითი (რაოდენობის) მაქსიმა**, რომლის მიხედვითაც საუბარში მონაწილეობა არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად ან ნაკლებად ინფორმაციული და უნდა შეიცავდეს იმდენ ინფორმაციას, რამდენიც საჭიროა.

2. **თვისობრივი (ხარისხის) მაქსიმა**, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე არ ამბობს იმას, რაც, მისი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება და ამბობს მხოლოდ იმას, რისი დასაბუთებაც შეუძლია.

3. **რელევანტურობის (ღირებულების) მაქსიმა**, რის მიხედვითაც მოსაუბრემ უნდა თქვას სიტუაციის შესაფერისი.

4. **მანერის (მოდალობის) მაქსიმა**, რომლის მიხედვითაც მოსაუბრის საუბარი არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი (გრაისი 1975:218).

ე. გოფმანი მიიჩნევს, რომ კომუნიკაცია ვერ იქნება წარმატებული, თუ მისი მონაწილეები არ იცავენ 3. გრაისის კოოპერაციის პრინციპებს - ოთხ ძირითად მაქსიმას: ოდენობითს, თვისობრივს, რელევანტურობისა და მანერისას.

როგორც ცნობილია, მაქსიმები უნივერსალურია, თუმცა მათი ლინგვისტური რეალიზაცია კულტურის სპეციფიკითაა განპირობებული.

განვიხილოთ, როგორ ხდება 3. გრაისის მიერ შემოთავაზებული ოთხი მაქსიმის რეალიზაცია ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში.

ოდენობითი მაქსიმა (Quantity Maxim)

3. გრაისის განმარტების მიხედვით, კომუნიკაციის თითოეული მონაწილე უნდა შეეცადოს საუბარში შეტანილი წვლილი გახადოს იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა. საუბარი არ უნდა იყოს იმაზე ინფორმაციული ვიდრე ამას ჩვენგან მოითხოვენ ან პირიქით ნაკლებად ინფორმაციული (გრაისი 1968 :82).

ე. გოფმანი თვლის, რომ ოდენობითი მაქსიმა ბევრი ადამიანისათვის საკმაოდ რთული დასაცავია. აუცილებელია, რომ კომუნიკაციის ყველა მონაწილეს მეტნაკლებად თანაბარი დრო ჰქონდეს გამოყოფილი საუბრისათვის. სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელიმე კომუნიკანტმა ჯერი დიდი ხნით არ უნდა აილოს. თუმცა, ოდენობითი მაქსიმა განსხვავებულია ენებისა და სოციალური როლების მიხედვით. საუბრის ნებადართული ოდენობა უკავშირდება ჯერის აღებას.

ზოგიერთი ადამიანი, საკუთარი სოციალური როლიდან გამომდინარე, უფრო მეტ ჯერს იღებს და უფრო დიდი ხნის განმავლობაში საუბრობს.

ე. ჰაჩის აზრით, ოდენობითი მაქსიმა უკავშირდება ინფორმაციის რაოდენობას. ჭარბსიტყვაობა მიუღებელია, თუმცა აღნიშნულის განსაზღვრა დამოკიდებულია ცალკეული ინდივიდისა და კულტურის დისკურსის სპეციფიკასთან (ჰაჩი 1992:62).

ემპირიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თოქშოუს ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე და როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო სატელევიზიო დისკურსში ჩართულ პირებს არ ეძლევათ თანაბარი ოდენობის ჯერი, თუმცა ეს არ იწვევს ოდენობითი მაქსიმის დარღვევას.

ორივე ქვეყნის თოქშოუს შესავალი ნაწილი წარმოადგენს წამყვანის ან წამყვანების მონოლოგს. შესაბამისად, ისინი საუბრობენ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ოდენობითი მაქსიმა არ ირღვევა, რადგან ეს არის ამ გადაცემის ფორმატის შემადგენელი ნაწილი და ასევე ის ინფორმაცია, რომელსაც წამყვანი აწვდის აუდიტორიას არის მნიშვნელოვანი, ამ ფორმატის ნაწილია და არ გვხვდება ზედმეტი დეტალები.

იმისათვის, რომ მეჩვენებინა წამყვანების ჯერის ხანგრძლივობა ორივე ქვეყნის ყველა ტიპის თოქშოუმში, დავაკვირდი წამყვანის მონოლოგის ხანგრძლივობას. ბრიტანული თოქშოუს წამყვანების მონოლოგის ხანგრძლივობა შემდეგნაირად გადანაწილდა: გრემ ნორტონის (თოქშოუ Graham Norton Show) მონოლოგი მერყეობს 2,40 წუთიდან 3 წუთამდე, ალანის (Alan Titchmarsh Show) მონოლოგი -2 წუთამდე. რაც შეეხება Loose Women-ის წამყვანების მონოლოგს, აქ როგორც ვიცით, შოუს რამდენიმე

წამყვანი ჰყავს. ერთი შეხედვით, ისინი თანაბრად არიან ჩართულნი, თუმცა ერთ-ერთი წამყვანი დომინანტ პოზიციას იკავებს და გადაცემის მსვლელობისას ის წარადგენს მთავარ თემებსა და სტუმრებს.

ქართულ თოქშოუში კი წამყვანების მონოლოგის ხანგრძლივობა შემდეგნაირია: ვანო თავის მონოლოგში (The ვანო's Show) საუბრობს 10-15 წუთამდე. ნანუკას მონოლოგი გრძელდება 1-დან 7 წუთამდე, ხოლო დღის შოუში ბრიტანული თოქშოუს მსგავსად რამდენიმე წამყვანი ცვლის ჯერს. თუმცა, აქაც ერთი წამყვანის დომინირება შეინიშნება, მისი ინსტიტუციური როლიდან გამომდინარე.

ამრიგად, ოდენობითი მაქსიმა მკაცრად არის დაცული თოქშოუს მონოლოგის შემთხვევაში. განსხვავებული მონოლოგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს რეაქციას ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ის არის თოქშოუს ერთგვარი გეგმა.

ორივე კულტურის თოქშოუს შემდეგ ნაწილში- ინტერვიუ ოდენობითი მაქსიმა კომუნიკანტთა ჯერების სიხშირისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით უფრო თანაბრადაა დაცული, რადგან ეს ნაწილი აიგება წამყვანსა და სტუმარს შორის კითხვა-პასუხზე. შესაბამისად, წამყვანი სვამს კითხვას და მასზე იღებს ამომწურავ პასუხს სტუმრისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ვსაუბრობთ ოდენობით მაქსიმაზე, აქ საგულისხმოა არა სიტყვებისა და წინადადებების რაოდენობა, არამედ იმ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც კომუნიკანტი ითხოვს. მაგალითად, ორივე ქვეყნის თოქშოუში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პასუხი იყო მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა, მაგრამ რაოდენობის მაქსიმა არ ირღვეოდა, რადგან ძირითადი ინფორმაცია იყო მიწოდებული.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული და ქართული თოქშოუდან.

Host: Alan: So, When are you starting filming the next season?

Guest: Next spring (The Alan Titchmarsh Show, March 5, 2012).

წამყვანი:ნანუკა: ლიკა, როდის არის ჩვენება?

სტუმარი: რამდენიმე კვირაში (დღის შოუ, 2014).

მოცემულ მაგალითებში არ ირღვევა ოდენობითი მაქსიმა, რადგან მიუხედავად რამდენიმე სიტყვისა, პასუხი მაინც გვაწვდის ამომწურავ ინფორმაციას დასმულ კითხვაზე.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ოდენობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდერატორებისათვის. სწორედ, ისინი არიან გადაცემაზე პასუხისმგებელი და მათი მიზანია, ერთი მხრივ, აუდიტორიას მიაწოდონ ყველა საჭირო ინფორმაცია და, მეორე მხრივ, თავიდან აიცილონ ინფორმაციის სიჭარბე.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ოდენობითი მაქსიმის დაცვას თოქშოუში არეგულირებენ წამყვანები. ისინი ხშირად აწყვეტინებენ სტუმრებს ან ერთმანეთს, როდესაც თვლიან, რომ ოდენობითი მაქსიმა დაირღვა. კერძოდ, მსმენელი ა) აწყვეტინებს მოსაუბრეს, რათა მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ან ბ) ჩაკითხვის საშუალებით ცდილობს მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

მაგალითად:

წამყვანი 1: ამ შემთხვევაში არ არის რეკომენდირებული სქელი პუდრების წასმა.

აი ლაით პუდრები, ანუ ლაით პუდრები იმიტომ, რომ

წამყვანი 2: ლაით პუდრები რას ნიშნავს?

წამყვანი 1: ლაით პუდრები, ყველამ იცის ეს სიტყვა, ლაით ნიშნავს მსუბუქი (დღის შოუ, 26 მარტი, 2013).

მოცემულ მაგალითში შეწყვეტინება გამოწვეულია ოდენობითი მაქსიმის დარღვევით, თუმცა წამყვანი თავად არ აწვდის მსმენელს ინფორმაციას, არამედ ჩაკითხვის საშუალებით ცდილობს კომუნიკანტისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

აღნიშნულ შემთხვევაში წამყვანის მიერ შეწყვეტინება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ, მისი აზრით, კომუნიკანტმა აუდიტორიას და მსმენელებს არ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია, ანუ დაირღვა ოდენობითი მაქსიმა.

შეწყვეტინება შეიძლება მოხდეს ასევე იმ შემთხვევაში, თუ წამყვანი იგრძნობს, რომ ოდენობითი მაქსიმა ირღვევა გადაჭარბებული ინფორმაციის გამო.

ზედმეტმა ინფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს:

1. გაუგებრობა მსმენელში. იგი ვერ შეძლებს ერთმანეთისაგან განასხვავოს მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია.

2. ფორმატის დარღვევა. უნდა აღინიშნოს, რომ თოქშოუს ფორმატი და სასაუბრო თემატიკა მეტ-ნალებად წინასწარ არის დაგეგმილი წამყვანების მიერ.

წამყვანი 1: მსუბუქი გამჭირვალე პუდრები იმიტომ რომ სახის კანი უნდა გამოჩნდეს, ამიტომ ყველა ქალს მივმართავ

წამყვანი 2: იმ შემთხვევაშიც თუ არ გივარგა?

წამყვანი 1: ხოდა, აი მაგას ვამბობდი, სწორედ რომ თუ არ გივარგათ სახის კანი მაინც კოსმეტოლოგთან უნდა გაიწმინდოთ... (დღის შოუ , 2013).

მოცემულ მაგალითში კომუნიკანტი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ იგი აპირებდა იმ ინფორმაციის ჩართვას.

თვისობრივი მაქსიმა (Quality Maxim)

გრაისის თვისობრივი მაქსიმა ჭეშმარიტებაზეა ორიენტირებული. არ შეიძლება მსმენელს მივაწოდოთ ის ინფორმაცია, რომლის სიზუსტეშიც არ ვართ დარწმუნებული, რითაც აუდიტორიას შეცდომაში შევიყვანთ (ბურკე 1993 :32).

ჩემი აზრით, გრაისის მაქსიმებიდან თვისობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თოქშოუში, რადგან მაყურებელმა და სტუდიის აუდიტორიამ უნდა იგრძნოს, რომ, რასაც წამყვანი და სტუმრები ამბობენ, ჭეშმარიტებაა. სხვა შემთხვევაში წამყვანი ან სტუმარი ყალბი ინფორმაციის მიწოდებით დაკარგავს ნდობას აუდიტორიისადმი, ასევე გამოიწვევს უარყოფით ემოციებს, რაც, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედებს მათ იმიჯსა და რეიტინგზე. სწორედ, ამიტომ, წამყვანი თუ სტუმრები ცდილობენ აუდიტორია დაარწმუნონ, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ. ზოგჯერ მსმენელის რეაქციიდან ნათელია, რომ ნათქვამისა არ სჯერათ და ამიტომ წამყვანი ან სტუმრები ცდილობენ ნათქვამის სისწორეში დაგვარწმუნონ.

ქვემოთ წარმოდგენილია ზემოთმოცემული ინფორმაციის დამადასტურებელი მაგალითები ბრიტანული და ქართული თოქშოუდან.

ექსპლიციტურად მითითება, რასაც ვამბობთ, სიმართლეა:

Guest: I had a hernia. I (აუდიტორია იცინის) Oh, it's true.

Guest 2: They all laughed, it's so odd (Graham Norton Show, May 17, 2013).

მოცემულ მაგალითში გრემ ნორტონის შოუდან აუდიტორიის სიცილი მიანიშნებს კომუნიკანტს, რომ მსმენელებს ეჭვი ეპარებათ მისი ნათქვამის სიმართლეში და, აქედან გამომდინარე, საფრთხის ქვეშ დგას ჰ. გრაისის თვისობრივი მაქსიმა. კომუნიკანტი ექსპლიციტურად დასძენს, რომ მის მიერ ნათქვამი შეესაბამება სიმართლეს.

ბრიტანულ თოქშოუში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთ-ერთი კომუნიკანტი (წამყვანი) ფიცის საშუალებით ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. მაგალითად:

Graham: It will really go on.

Guest: Really?

Graham: I swear I will (Graham Norton Show, June 21, 2013).

ქართულ თოქშოუში გვხვდება გამონათქვამის ჭეშმარიტების დამადასტურებელი ფრაზები, როგორცაა: სიმართლე გითხრათ, მართლა, ნამდვილად:

ნანუკა: თქვენ გამოგიყენებიათ ლაით პუდრა?

სტუმარი: სიმართლე გითხრათ არა ... (დღის შოუ, 2013).

მოცემულ მაგალითში სტუმარი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ის სიმართლეს ამბობს.

თუმცა ზოგჯერ კომუნიკანტები არ არიან დარწმუნებულნი თავიანთი ნათქვამის სიმართლეში და იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა იყენებენ ე.წ. ზღუდეებს, ანუ სპეციალურ ვერბალურ საშუალებებს, რომლებიც არბილებენ გამონათქვამში წარმოდგენილ პროპოზიციას.

მსგავს ზღუდეებს ვხვდებით ორივე კულტურის თოქშოუში.

მაგალითი ბრიტანული თოქშოუდან:

Graham: This is you, you taking a photograph of a great waterfall?

Guest: Yes, probably so (Graham Norton Show, June 23, 2013).

აღნიშნულ მაგალითში ბრიტანული თოქშოუდან ერთ-ერთი კომუნიკანტი იყენებს ზღუდედ სიტყვას *probably* (შესაძლებელია), რათა თავიდან აიცილოს არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება.

ქართულ თოქშოუშიც ვხვდებით თვისობრივი მაქსიმის დარღვევის თავიდან აცილების მცდელობას:

ნანუკა: ვის გავს ცელქი?

სტუმარი: მე მგონი მამას.

ნანუკა: დარწმუნებული ხარ?

სტუმარი: რა ვიცი, ცირა ბებო ეგრე გვეუბნება (ნანუკას შოუ, 1 მაისი, 2013).

წარმოდგენილ მაგალითში სტუმარი ცდილობს გამოიყენოს ზღუდე – „რა ვიცი“ , რათა თავი დაიზღვიოს.

რელევანტურობის მაქსიმა (Maxim of Relevance)

თითოეული მოსაუბრის მიერ საუბარში შეტანილი წვლილი უნდა იყოს რელევანტური, ანუ არცერთი მონაწილის ნათქვამი არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ უნდა იყოს დაკავშირებული იმასთან, რაც მანამდე იყო ნათქვამი (ბლექმორი 1992:31).

რელევანტურობა მნიშვნელოვანია თოქშოუს ჟანრში: გადაცემა სწორედ სტუმარსა და წამყვანს შორის ჯერის გაცვლაზეა აგებული და ამ კითხვა-პასუხის საშუალებით აუდიტორია იგებს ახალ ან უკვე ნაცნობ ინფორმაციას სტუმრის შესახებ.

როგორც ცნობილია, რელევანტურობის მაქსიმა (ბრაუნი 1983:22) მიჩნეულია ერთ-ერთ ბაზისურ მაქსიმად. იგი თავის თავში მოიცავს სამივე მაქსიმას. შეიძლება სხვა მაქსიმები დაირღვეს, მაგრამ ნათქვამი იყოს მაინც რელევანტური. მაგალითად:

სტუმარი: ეს იცით რა არის, ეს თემატიკა.

წამყვანი: რა უჭირს ამ გოგოს, ისეთ პოზაშია (დღის შოუ , 2014)

ამ შემთხვევაში გადაცემას ჰყავს რამდენიმე წამყვანი. სტუმარი საუბრობს და ერთ-ერთი წამყვანი ათვალთვლებს ჟურნალს, სადაც ის გოგონები არიან წარმოდგენილი,

რომლებზეც სტუმარი საუბრობს. შესაბამისად, წამყვანის კომენტარი რელევანტურია იმ სურათისადმი, რომელსაც ის უყურებს. არ ხდება თემიდან გადახვევა.

მანერის მაქსიმა (Maxim of Manner)

3.გრაისის განმარტებით, დისკურსის თითოეულმა მონაწილემ სათქმელი უნდა თქვას ნათლად, უნდა აირიდოს თავიდან გამონათქვამის ორაზროვნება. უნდა იყოს თანმიმდევრული და ლაკონური (გრაისი1975:36).

მანერის მაქსიმა განსხვავებულია სხვადასხვა კულტურასა და სოციალურ კონტექსტში.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ არსებობს რამდენიმე სტრატეგია იმისათვის, რომ უფრო ნათელი გაგზადოთ ჩვენი ნათქვამი და თავიდან ავიცილოთ არასწორი ინტერპრეტაცია მსმენელის მიერ.

აღნიშნულის რეალიზაცია ხდება სპეციალური ვერბალური საშუალებებით – სპეციალური ფრაზების საშუალებით, როგორცაა, ინგლისური: **I mean, by the way, in fact.** ქართული: **ანუ, რაც იმას ნიშნავს, იმიტომ რომ.**

აღნიშნული ფრაზების გამოყენებით კომუნიკანტები ექსპლიციტურად განმარტავენ, რას გულისხმობენ ნათქვამ ფრაზასა და წინადადებაში.

Alan: It's an adult comedy, it's not for children. I **mean** language (Alan Titchmarch Show, March 15, 2012).

ნანუკა: დღეს ოთხშაბათია, 10 საათი, **რაც იმას ნიშნავს**, რომ თქვენ უყურებთ ნანუკას შოუს (ნანუკას შოუ, 2014).

ამრიგად, ბრიტანულ და ქართულ თოქშოუთა განხილვამ გრაისის კოოპერაციის პრინციპებისა და მაქსიმების თვალსაზრისით აჩვენა, რომ:

1. გრაისის მაქსიმების დაცვას ცდილობენ თოქშოუს მონაწილეები. თოქშოუში როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო მონაწილეებს არ ეძლევათ თანაბარი რაოდენობისა და ხანგრძლივობის ჯერი, თუმცა ამით მაინც არ ირღვევა ოდენობითი მაქსიმა. ორივე კულტურის სამივე ქვეყანარს თოქშოუში გვხვდება განსხვავებული ხანგრძლივობის მონოლოგი. მასში დაცულია ოდენობითი მაქსიმა, რომლის დასაცავად

წამყვანები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას, რათა ამ მაქსიმას დარღვევა თავიდან აიცილონ.

2. თვისობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თოქშოუს ჟანრში, რადგან მაცურებლის დარწმუნება დადებითად მოქმედებს თოქშოუს იმიჯზე. პასუხიმგებლობის თავიდან აცილების მიზნით კომუნიკანტები ხშირად მიმართავენ ე.წ. ზღუდეებს.

3. დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხვა მაქსიმების დარღვევის შემთხვევაშიც კი რელევანტურობის მაქსიმა მაინც ნარჩუნდება.

თავი 3. ბრიტანული და ქართული თოქშოუს თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი

3.1. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა – თანამედროვე ენათმეცნიერების „ახალი“ დარგი და მისი თეორიული წინაპირობა

ბოლო დროს ენათმეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათა შეპირისპირებით შესწავლას, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს მსგავსება-განსხვავება მონათესავე თუ არამონათესავე ორ ენას შორის.

შეპირისპირებითი ლინგვისტიკა თანამედროვე ენათმეცნიერების ახალი დარგია. მან, როგორც მეცნიერების დარგმა, ჩამოყალიბება დაიწყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დარგის ერთ-ერთი საფუძველი იყო მოთხოვნა, კონტრასტულ ჩარჩოებში თავი მოეყარა, თეორიულად განეზოგადებინა შესაბამისი მონაცემები და უცხოური ენების სწავლების მეთოდის გასაუმჯობესებლად მისთვის თეორიული საფუძველი მოემზადებინა.

თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ინტერესს იჩენს ენების შეპირისპირებითი ანალიზისადმი. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა არამონათესავე ენების შეპირისპირებით შესწავლას. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია თვალნათლივ გამოვავლინოთ შესაპირისპირებელი ენების თავისებურებანი. დიდია მისი მნიშვნელობა ენათა შორის მსგავსება-განსხვავების დადგენის, ენობრივი უნივერსალების გამოვლენის საქმეში.

დღეისათვის შეპირისპირებითი ლინგვისტიკა ენის შემსწავლელი დამოუკიდებელი დისციპლინაა. იგი მიზნად ისახავს ორი როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენის ყველა ენობრივ დონეზე შეპირისპირებით შესწავლას სინქრონულ ასპექტში მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მიზნით (ლადო 1957:72). ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულია მისი საერთაშორისო სახელწოდება – კონტრასტული ლინგვისტიკა.

კონტრასტულ ლინგვისტიკას ხშირად უცხოური ენის სწავლებისა და თარგმნის საკითხებს უკავშირებენ. მას საფუძველი ჩაეყარა რ. ლადოს შრომით "Linguistics Across Cultures" (1957) და შ. ბალის შრომებით, რომლებსაც საფუძვლად დაედო ფრანგულენოვანი აუდიტორიისათვის გერმანული ენის შესწავლის აუცილებლობა (ბალი 1955). ამრიგად, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიზნები და ამოცანები გამოყენებითი ლინგვისტიკის ამოცანებიდან გამომდინარეობს, რომელიც ენათა შორის არსებული კონტრასტების ლინგვოდიდაქტიკურ ასპექტს შეისწავლის (კაშკინი 2007:6).

გამოყენებითი ლინგვისტიკის დაინტერესება შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიღწევებით განპირობებულია იმით, რომ კონტრასტული გამოკვლევები გვეხმარება შევიჭრათ ენობრივი პროცესების არსში და უფრო ღრმად გავიაზროთ კანონები, რომლებსაც ეს პრინციპები მართავენ. შედეგად კონტრასტული ლინგვისტიკა ის ზონაა, სადაც თეორიისა და პრაქტიკის გზები ერთმანეთს კვეთს (იარცევა 1981:4). როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირებითი ანალიზი შესასწავლი ენების თავისებურებებს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვლენის საშუალებას იძლევა (მეგრელიშვილი et al 2012:11), რადგან დედა ენაში არაფერია შესამჩნევი, მასში ყველაფერი მარტივი და თავისთავად ცხადია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხოური ენა კი, რომელიც შეპირისპირებით პლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა გადმოვცეთ იგივე აზრები სხვა საშუალებებით. გარდა ამისა, იგი გვეხმარება გამოვავლინოთ გამოხატვის განსხვავებული ელფერი, რომელიც აქამდე ვერ შევნიშნეთ დედა ენაში (შჩერბა 1947:44). რ. დი პიეტროც თავის ნაშრომში "Language structures in Contrast" (1971) აღნიშნავს, რომ ენობრივი პროცესების მიერ მართავადი კანონების აღქმისადმი სწრაფვაში იკვეთება ენის თეორიისა და მისი სწავლების პრაქტიკის გზები (კაშკინი 2007:7). ბევრი სხვა ლინგვისტიკ მიუთითებს კონტრასტული კვლევების აუცილებლობას, რადგან მხოლოდ სტრუქტურული ლინგვისტიკა ენის სწავლებისას სწორ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში მასალის გადაცემის საშუალებას არ იძლეოდა.

ენათა კონტრასტული შესწავლა ღირებულია ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. იგი ფასეულია განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიების

ფორმირებისა და განვითარების ზოგადი საკითხების შესასწავლად, ზოგადი პროცესებისა და კანონზომიერებათა შესათვისებლად (ჩიქობავა 2008:3).

კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საკვლევ ენათა შესაპირისპირებელი ობიექტების დადგენა.

კონტრასტული შესწავლის ობიექტი შეიძლება იყოს ორი ენის სისტემა თავისი ქვესისტემებითა და კატეგორიებით, ამიტომ თანამედროვე კონტრასტულ გამოკვლევებს თამამად შეიძლება ეწოდოს ქვესისტემათა, ცალკეულ დონეთა და კატეგორიათა ტიპოლოგია. ენა, როგორც „სისტემათა სისტემა“ (უიტმანი 1970:58) ელემენტთა განსაზღვრული ჯგუფებისაგან შედგება. ისინი ურთიერთქმედებენ და ქმნიან უფრო რთულ მთლიანობას (სოლნცევი 1977:20). სხვადასხვა ენის შესაბამისი სისტემები და ქვესისტემები შეპირისპირებას მრავალნაირი პარამეტრით ექვემდებარება.

კონტრასტული ანალიზის მეთოდი ერთ-ერთია იმ სამი ლინგვისტური კონფრონტაციის მეთოდიდან, რომელთაც მიზნებისა და ობიექტების მიხედვით ენათმეცნიერებაში გამოყოფენ, ესენია: ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური და კონტრასტული. თუმცა, მათ შორის ზღვარი ჯერ კიდევ საკმაოდ მერყევია (მეგრელიშვილი et al 2012). ამიტომ, ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენ ამ სამ მეთოდს შორის არსებული კავშირების ხასიათს.

შედარება ის საერთოა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს აერთიანებს. იგი კვლევის ძირითადი საშუალებაა როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში.

შეხედულება კონტრასტულ და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას შორის არსებული განსხვავებების შესახებ პირველად გამოითქვა შ. ბალის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ ორი ენა ისტორიული და სტატიკური თვალსაზრისით შეიძლება შეუპირისპირდეს (ბალი 1955:77). ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიზანია დაადგინოს ენათა საერთო წარმომავლობა, სტატიკური კი ცდილობს გამოავლინოს ენის ორიგინალობა და ზოგადი ტიპი.

გარდა ამისა, მათ შორის არსებობს გარკვეული თანხვედრა-სხვაობები, რომლებიც ქვემოთ წარმოვადგინეთ ცხრილის სახით (სქემა №7).

რაც შეეხება ტიპოლოგიას, ბუნებრივია, ტიპოლოგიასა და შეპირისპირებით ლინგვისტიკას შორის განსხვავებები ნაკლებადაა გამოკვეთილი, ვიდრე შეპირისპირებით და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას შორის. ტიპოლოგიური და კონტრასტული კვლევები წარმოებს სინქრონულ ასპექტში და ორივე იკვლევს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს (ლებანიძე 2004:22). რაც შეეხება განსხვავებებს, ის ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ტიპოლოგია მოიცავს მრავალ ენას, კონტრასტიკა კი – ორს (სქემა №8).

ტიპოლოგია ამა თუ იმ პარამეტრის საფუძველზე განსაზღვრავს ენის ტიპს და ადგენს, რომელ ენობრივ სისტემას განეკუთვნება ესა თუ ის ენა (ლაიონსი 1977 : 156). არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლა კი ადგენს ფუნქციურ მსგავსება-განსხვავებას ორ ენას შორის და განსაზღვრავს იმ კატეგორიათა ფუნქციობის თავისებურებებს, რომლებსაც მატერიალური გამოხატულება მსგავსი არა აქვს.

ტიპოლოგია, რომელიც ენათა ოჯახების დაჯგუფებას სწავლობს, ვერ ახდენს ენობრივი ფორმისა და მნიშვნელობის დეტალურ აღწერას, შესაბამისად, იგი ვერ იძლევა ენობრივ მოვლენათა სათანადო დონეზე განზოგადებას, შეპირისპირებითი ლინგვისტიკა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოყენებითი ლინგვისტიკის წიაღში წარმოიშვა და თავისი შედეგებით მის მიზნებს ემსახურება.

ისტორიულ-შედარებითი და შეპირისპირებითი ენათმეცნიერების შედარებითი
დახასიათება

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება	შეპირისპირებითი ენათმეცნიერება
ენების დიაქრონულ ასპექტში შესწავლა	ენების სინქრონულ ასპექტში შესწავლა
მსგავსების დადგენა ენებს შორის	მსგავსება-განსხვავების დადგენა ენებს შორის
მონათესავე ენების შესწავლა	როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შესწავლა
მრავალი ენის კვლევა	ორი ენის კვლევა
ამოსავალია – ფორმა	ამოსავალია – მნიშვნელობა

ტიპოლოგიური და შეპირისპირებითი ენათმეცნიერების შედარებითი დახასიათება

ტიპოლოგიური ენათმეცნიერება	შეპირისპირებითი ენათმეცნიერება
ენების სინქრონულ ასპექტში შესწავლა	ენების სინქრონულ ასპექტში შესწავლა
მსგავსება-განსხვავების დადგენა ენებს შორის	მსგავსება-განსხვავების დადგენა ენებს შორის
როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შესწავლა	როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შესწავლა
მრავალი ენის კვლევა	ორი ენის კვლევა
ამოსავალია – მნიშვნელობა	ამოსავალია – მნიშვნელობა

ცნობილია, რომ ყოველი ენის სტრუქტურა განუმეორებელი, უაღრესად თავისებური და სპეციფიკური სისტემაა, რომელიც არ ემთხვევა არც ერთი სხვა ენის სისტემას (ბარხუდაროვი 1975:67).

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ენებს შორის სულ არაფერია საერთო. მიუხედავად განსხვავებულობისა, ყოველ ენას აქვს რაღაც ისეთი, რაც ანათესავენ მას სხვა დანარჩენ ენებთან. ეს ის საერთო თვისებებია, რომლებიც არა მხოლოდ ამა თუ იმ ენის, არამედ ამავე დროს ყველა ენის მახასიათებელია. მაშასადამე, ორი არამონათესავე

ენის კვლევის ობიექტის განსაზღვრისათვის საჭიროა, აღმოვაჩინოთ მათ შორის რაღაც ისეთი, რომელიც შემდგომში შეპირისპირების საფუძველი გახდება. კონტრასტული შეპირისპირებისას კვლევა მიემართება ზოგადიდან განსხვავებულისაკენ.

კონტრასტული მეთოდი არ იკვლევს შესაპირისპირებელ ენებს შორის რეალურ, მენტალურ და ისტორიულ კავშირებს, რაც მას განასხვავებს ისტორიულ-შედარებითი ანალიზისაგან. კვლევის ამოსავლად ფორმას ვერ მივიჩნევთ. კონტრასტული ანალიზი განსხვავებულ მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს, რადგან შეპირისპირების საფუძველი ცნებათა კატეგორიებია, ანუ განყენებული ზოგადი მნიშვნელობები, რომლებიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობს. ენათმეცნიერული გამოკვლევის საფუძვლად ცნებათა კატეგორიები მხოლოდ იმიტომ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ მათ ენობრივი კატეგორიები შეუძლიათ განასახიერონ. მიუხედავად იმისა, რომ ცნებათა კატეგორიები არა მხოლოდ გრამატიკული ფორმებით, არამედ მთელი რიგი სხვა საშუალებებით (მაგ., ლექსიკური, სინტაქსური, კონტექსტური და ა.შ.) გადმოიცემა, მაინც ყველაზე თანმიმდევრულად ენა გრამატიკულ კატეგორიებს იყენებს, რომლებშიც გამოხატულებისა და შინაარსის პლანები, ლექსიკური და ლექსიკურ-სინტაქსური კატეგორიებისაგან განსხვავებით მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან (ლებანიძე 1998:18).

დღესდღეობით შეპირისპირებითი ლინგვისტიკა გამოდის ტრადიციული ჩარჩოდან, რომელშიც შეპირისპირებითი კვლევის ობიექტად მოიაზრება ენის ფონოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური დონეები. ენის შეპირისპირებითი კვლევა გადადის უფრო მაღალ დონეზე – ტექსტობრივ დონეზე (სერლი 1969:40). მონოლინგვური და მონოკულტურული კვლევები ადგილს უთმობს მულტილინგვურ და მულტიკულტურულ კვლევებს. მკვლევართა ფოკუსში დგება სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რასის წარმომადგენელთა ინტერაქცია, რის მკაფიო მაგალითსაც წარმოადგენს ორი სხვადასხვა კულტურის თოქშოუ და მასში განხორციელებული დისკურსი, რომელიც მოიცავს როგორც სინტაქსურ, სემანტიკურ, ისე ტექსტობრივ დონეებს. პრაგმატული დონის წინაპლანზე წამოწევის მიზეზი არის ის

ფაქტი, რომ გლობალიზაციის ერაში შეიმჩნევა კულტურათაშორის კომუნიკაციის ზრდა და შედეგად, ენა განიხილება, როგორც კომუნიკაციის მრავალფუნქციური, პრაგმატიკულად მარკირებული საშუალება.

კულტურათაშორის პერსპექტივაში, შეპირისპირებით ჩარჩოში ხდება პრაგმატიკული კონცეპტებისა და თავისებურებების კვლევა, ანუ საკითხებისა, როგორცაა, სამეტყველო აქტები, დისკურსის სტრატეგიები როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში და ა.შ.

3.2. ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასაწყისის შეპირისპირებითი ანალიზი

ბრიტანულ და ქართულ კულტურაში თოქშოუს გადაცემის გამხსნელი და დამასრულებელი მარკერები სხვადასხვაგვარად გამოვლინდა. ორივე ქვეყნის სამივე ტიპის თოქშოუში გამოვლინდა გადაცემის დასაწყისისა და დასასრულის მიმანიშნებელი სიგნალები. კულტურულმა მახასიათებლებმა განაპირობა, როგორ ხდება თოქშოუს დაწყება და დასრულება თითოეული ქვეყნის თოქშოუს ქვეყანარებში.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თოქშოუს დასაწყისის ვერბალური და არავერბალური მარკერები ორივე ენაში მოიპოვება. ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შესაპირისპირებელ ენებში თოქშოუს დაწყებისას გამოყენებული ენობრივი ფორმების სემანტიკური პოტენციალი. ერთი მოდელის მეორის დადების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგადი და სპეციფიკური თვისებების განსაზღვრა, რომლებიც ამ ორი ენისთვისაა დამახასიათებელი.

თოქშოუს დასაწყისის რიტუალიზებული ელემენტები ორივე ენაში ერთი და იმავე მიზანს ემსახურება – მიაწოდოს მაყურებელს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გადაცემა დაიწყო.

თოქშოუს დასაწყისი სხვადასხვა ენაში, ჩვენს შემთხვევაში –ინგლისურსა და ქართულში, სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, რაც რა თქმა უნდა განსხვავებული ენობრივი სისტემით და კულტურული მახასიათებლებითაა განპირობებული.

როგორც შეპირისპირებითაა ანალიზმა აჩვენა, საანალიზო კორპუსის ბრიტანული თოქშოუს დასაწყისის სეგმენტში გადაცემის გახსნის წინმსწრები ვერბალური სიგნალები დაიძებნა, რასაც ვერ ვიტყვით ქართულენოვან სეგმენტზე.

ბრიტანული გვიან-ლამის გასართობ თოქშოუში "The Graham Norton Show" გადაცემის გამხსნელ წინმსწრებ ვერბალურ სიგნალს თავად წამყვანი წარმოადგენს, რომელსაც მალევე მოჰყვება გადაცემის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი და გადაცემის ქუდი. მაგალითად:

Graham: It's Oscar Season. On the show tonight, I have a two-time Academy Award winner. And he's been nominated for another one. Who is going to chat to him? And the winner is ... (წამყვანი ზის დამსწრე საზოგადოებას შორის როგორც გამარჯვების ერთ-ერთი კანდიდატი და მოუთმენლად ელოდება თავისი სახელის გამოცხადებას როგორც გამარჯვებულისა. ეს, რა თქმა უნდა, წამყვანის მიერ წარმოდგენილი იუმორისტული ჩანართია, რომელიც ყველა გადაცემის გახსნის ერთ-ერთ წინმსწრებ ელემენტს წარმოადგენს). Excited! Intense! Excited! ისმის გამომცხადებლის ხმა -Graham Norton! He didn't win (წამყვანი აღელვებულია და უკრავს ტაშს). Let's start the ... (The Graham Norton Show, February 24, 2015).

რაც შეეხება ქართულ გვიან-ლამის გასართობ თოქშოუს „The ვანო'ს Show“, გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალი წარმოდგენილია მხოლოდ ვიდეოქუდითა და ვიზუალური სიგნალით, რომლის დასრულების შემდეგაც გადაცემას ხსნის თავად წამყვანი.

ამგვარად, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბრიტანული და ქართული გვიან-დამის გასართობი თოქშოუს გახსნა სხვადასხვაგვარად ხდება. ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დაწყებას ვერბალურად გვამცნობს წამყვანი, ხოლო ქართულში – გადაცემის ვიდეოქუდი. შეპირისპირებითმა ანალიზმა ამ კუთხით გამოავლინა როგორც განსხვავება, ისე მსგავსება.

ორმხრივ შეპირისპირებაზე დაყრდნობით, შევეცადე გამომევლინა ის, რაც სპეციფიკურია თოქშოუს გადაცემის დასაწყისისას მოცემულ საანალიზო ენებში. მაგალითების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუმრის არაპირდაპირი იდენტიფიცირება და კომიკური ელემენტის გამოყენება გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალებად სპეციფიკურია ბრიტანული თოქშოუსათვის, ხოლო თოქშოუს ვიდეოქუდი და ვიზუალური სიგნალი უნივერსალურია ორივე ქვეყნის თოქშოუსათვის.

წარმოდგენილი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ თოქშოუს მომდევნო ქვეყანრის ბრიტანულ თოქშოუში "The Alan Titchmarsh Show" მისი გახსნის წინმსწრებ სიგნალად გვევლინება გადაცემის ვიდეოქუდი და ვიზუალური სიგნალი. მოცემული ქვეყანრის ქართულ თოქშოუში „ნანუკას შოუ“ გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალი თოქშოუს ვიდეოქუდია.

გადაცემის დაწყების წინმსწრები სიგნალი ორივე ენაში გამოხატულია თოქშოუს ვიდეოქუდით. ერთადერთი სიგნალი, რაც ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასაწყისს განასხვავებს ერთმანეთისაგან, არის ბრიტანულ თოქშოუში გამომცხადებლის მიერ წამყვანის ვერბალური იდენტიფიცირება, რასაც ქართულ თოქშოუში ვერ ვხვდებით.

მესამე ქვეყანრის ბრიტანულ თოქშოუში "Loose Women" გადაცემის გახსნის წინმსწრებ სიგნალს წარმოადგენს გადაცემის ვიდეოქუდი. გადაცემის დაწყების მსგავსი წინმსწრები სიგნალია გამოყენებული ქართულ თოქშოუშიც „დღის შოუ“. ამდენად, მესამე ქვეყანრის ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გამოყენებული გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალი უნივერსალურია ორივე ქვეყნის თოქშოუსათვის.

ემპირიული მასალის კვლევისას და შეპირისპირებისას გამოვლინდა, რომ ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნისას შეინიშნება მსგავსება-განსხვავება. მაგალითად:

Graham: ა) Thank you! Thank you! So many people to thank!

ბ) Welcome to all!

გ) It means so much to be nominated (წამყვანი გულისხმობს საკუთარ თავს, როგორც ოსკარის ნომინაციაზე დასახელებულს).

დ) We have an amazing line-up for you tonight. Hollywood superstar, Denzel Washington! (ეკრანზე ჩნდება სტუმრის სურათი), Nicholas Hoult is here (სურათი), Bill Bailey is on the show (სურათი). And we'll have the music from Conor Maynard (The Graham Norton Show, February 25, 2015).

როგორც ვხედავთ, გვიან-დამის ბრიტანულ თოქშოუში " The Graham Norton Show" გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალების შემდეგ გადაცემის გახსნა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) აუდიტორიისადმი მადლობის გადახდა და მისალმება

ბ) შოუზე მიპატიჟება

გ) კომიკური ელემენტი

დ) სტუმრების ვერბალური და არავერბალური იდენტიფიკაცია

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზოგჯერ წამყვანი მეტნაკლებად განსხვავებულად ხსნის გადაცემას – რომელიმე ელემენტის გამოკლებით ან გადაადგილებით. მსგავსი შემთხვევებს ხელი არ შეუშლია გადაცემის გახსნის ვერბალური და არავერბალური სიგნალების თანმიმდევრობის დადგენაში, რაც რიტუალიზებულია თითქმის ყველა გადაცემაში.

არც თუ ისე დიდი განსხვავებით ხსნის თავის თოქშოუს „ The ვანო 'ს Show" ვანო ჯავახიშვილი. მაგალითად:

ვანო: ა) მოგესალმებათ ვანო ჯავახიშვილის შოუ.

ბ) დიდი მადლობა.

გ) დღევანდელ მონოლოგში ვისაუბრებ მხოლოდ ერთ თემაზე. ეს არის ქვეყნაში კლიმატური ცვლილებები ანუ ამ სიცივეების შემდეგ უცებ რომ ჩამოცხა ანუ ალასანიაზე გვექნება საუბარი დღევანდელ მონოლოგში ...

დ) ჩვენს შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი თამუნა ლეკვეიშვილის ხელმძღვანელობით (The ვანო'ს Show , 7 ნოემბერი, 2014).

საანალიზო კორპუსზე დაკვირვებამ გამოავლინა გადაცემის გახსნის შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) აუდიტორიისადმი მისალმება
- ბ) მადლობის გადახდა
- გ) პოლიტიკური ახალი ამბების იუმორისტულად წარდგენა
- დ) ბენდის წარდგენა და მადლობის გადახდა

კონტრასტული ანალიზის მიზანია, ინგლისური და ქართული ენებში არსებული თავისებურებების გამოვლენა. ბრიტანულ და ქართულ საანალიზო კორპუსში მოცემულ სემენტში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის გადაცემის გახსნის სიგნალები გამოვლინდა, მცირე განსხვავებით. ორივე ქვეყნის თოქშოუში რიტუალიზირებულია შემდეგი ელემენტები:

- ა) აუდიტორიისადმი მისალმება
- ბ) მადლობის გადახდა
- გ) ახალი ამბების კომიკურად წარმოდგენა

მოცემული ელემენტები უნივერსალურია როგორც ბრიტანულ, ისე ქართულ გვიან-ლამის გასართობ თოქშოუში. ასევე, შეინიშნება სპეციფიკური ელემენტებიც. ბრიტანულ თოქშოუში წამყვანი დასაწყისშივე ახდენს სტუმრის ვერბალურ და ვიზუალურ იდენტიფიკაციას, რომელსაც წამყვანის მოკლე მონოლოგის შემდეგ თან სდევს სტუმრის სტუდიაში შემოსვლა, რასაც ვერ ვხვდებით ქართულ თოქშოუში. „ The ვანო 'ს Show" -ში წამყვანი გადაცემის დასაწყისში ახალ ამბებს წარმოადგენს კომიკურად, მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს სტუმრების იდენტიფიკაციას.

მსგავსება შეინიშნება სასაუბრო რეგისტრის კუთხითაც. ორივე წამყვანი ცდილობს გამოიყენოს ნახევრადინსტიტუციური სასაუბრო რეგისტრი. ისინი ხშირად მიმართავენ შორისდებულებისა და შეძახილების გამოყენებას, სიტყვების გამეორებას და ყოველდღიური საუბრისათვის დამახასიათებელი მეგობრული გარემოს შექმნას.

ახლა კი ვნახოთ მეორე ქვეყანრის ბრიტანულ დღის შოუში " The Alan Titchmarsh Show" გადაცემის გახსნის წინმსწრები სიგნალების დასრულების შემდეგ როგორ ხსნის წამყვანი გადაცემას. მაგალითად:

ა) *გამომცხადებელი: Please welcome your host, Alan Titchmarsh*

წამყვანი ბ) Hello, thank you. Welcome to the show.

გ) *Now my guest is a man of many talents. He has a PhD in Astrophysics and he's ranked among Rollingstone Mahazine's greatest guitarists of all time. Not long ago Guinness World Records announced that his band, Queen, had overtaken The Beatles, to become the most successful music act in UK album chart history. Please welcome Brian May....* (The Alan Titchmarsh Show, March 23, 2013).

მოცემული ქვეყანრის თოქშოუში გადაცემა იხსნება შემდეგი ვერბალური ელემენტების გამოყენებით:

ა) *გამომცხადებლის ხმა*

ბ) *მისალმება (მადლობის გადახდა) და შოუზე მიპატიჟება*

გ) *სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა, ზოგჯერ მოცემულ თანმიმდევრობას ემატება სტუმრების პირდაპირი წარდგენაც.*

რაც შეეხება ქართულ თოქშოუს, წამყვანი გადაცემას შემდეგნაირად ხსნის:

ნანუკა: ა) სალამო მშვიდობისა.

ბ) *დღეს არის ოთხშაბათი. დამთავრდა ყველაზე რეიტინგული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უყურებთ ნანუკა ჟორჯოლიანის შოუს და დიდი მადლობა ამისთვის.*

გ) მე ვფიქრობ დღეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მაგარი გადაცემა იმიტომ, რომ პრაქტიკულად მე თქვენ გაგაცნობთ ყველაზე რეიტინგული, საშინელი, თავხედი რეიტინგის მქონე პროექტის „ნიჭიერის“ მონაწილეების რეალურ ცხოვრებას.

დ) იოსებ ტლაშაძე ნანუკას შოუში (ნანუკას შოუ, 3 დეკემბერი, 2014).

იგივე ქვეყანრის ქართული თოქშოუს „ნანუკას შოუ“ გადაცემის გახსნა წარმოდგენილია შემდეგი სიგნალებით:

ა) მისალმება

ბ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება

გ) გადაცემის სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა

დ) გადაცემის სტუმრის პირდაპირი წარდგენა

ფაქტიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოცემული ქვეყანრის ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნისას გამოყენებული ელემენტების დიდი ნაწილი უნივერსალურია ორივე ქვეყნის თოქშოუსათვის. ასევე, გამოვლინდა სპეციფიკური მარკერები. მაგალითად, ქართულ თოქშოუში წამყვანი მაყურებელს ახსენებს გადაცემის ეთერში გასვლის დროს, რაც თითქმის არ ვლინდება ბრიტანულ თოქშოუში. ორივე ქვეყნის თოქშოუში დაფიქსირდა გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობის გადაადგილება ან გამოტოვება, რაც ხელს არ უშლის რიტუალიზებული ელემენტების თანმიმდევრობის დადგენას მოცემულ თოქშოუებში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც სტრუქტურული ისე სტილისტური თვალსაზრისით ბრიტანული და ქართული დღის თოქშოუები უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს, ვიდრე განსხვავებას. ორივე ქვეყნის თოქშოუს წამყვანი სტუმრის წარდგენისას მიმართავს ოფიციალურ ლექსიკას და თავაზიან ფორმებს, ახდენს სტუმრის სრული სახელით იდენტიფიკაციას.

ახლა კი განვიხილოთ მესამე ტიპის ბრიტანული თოქშოუ "Loose Women" და შევაპირისპიროთ იგი ქართულ თოქშოუსთან „დღის შოუ“. მაგალითად:

ა) *It's Tuesday, the 5th of March and Loose Women Today.*

ბ) *ვიდეორგოლი*

გ) *It all starts now with Jane Moore, Gloria Hunniford, Coleen Molan and Ruth Langford.*

Host 1: დ) Thank you very much. Hello.

ე) *Today our guest is a brilliant comedian, one of the stars of the new Disney film, Sarah Silverman .*

ვ) *Welcome to Loose Women (Loose Woman, March 5, 2013).*

ა) ვიდეორგოლი (გადაცემაში განსახილველი თემების მოკლე ანონსი)

ბ) ლელა: მოგესალმებით

გ) ლელა: დღეს სამშაბათია და დღის შოუში მშობელთა კრების დროა.

ე) ლელა: გოგოებთან ერთად დღეს წავიყვან ამ გადაცემას მე ლელა მეზურიშვილი.

ვ) ლელა: დღეს უსაყვარლესი, ულამაზესი სტუმარი გვყავს და რაც მთავარია უნიჭიერესი, რადგან ის წერს კიდევაც პროზას, მუსიკას და ხატავს

ნანიკო: ცოტა ხანში მე დიდი ეჭვი მაქვს გეკვას დაიწყებს იმიტომ, რომ მისი ნიჭი ამოუწურავია. მოდი, შემოდი

ლელა: ლიზი ბუდალაშვილია ჩვენი სტუმარი (დღის შოუ, 23 მარტი, 2016).

როგორც ვხედავთ, მოცემული ტიპის ბრიტანულ თოქშოუში ვიდეოქუდის დასრულების შემდეგ გადაცემის გახსნა ხდება შემდეგი სიგნალებით:

ა) გამომცხადებლის მიერ გადაცემის დროის იდენტიფიკაცია

ბ) ვიდეორგოლი გადაცემის ანონსის შესახებ

გ) გამომცხადებლის მიერ წამყვანების იდენტიფიკაცია

დ) მისალმება და აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა

ე) ახალი ამბის მოყოლა და სტუმრის სრული სახელით იდენტიფიკაცია.

ვ) შოუზე მიპატიჟება

მაგალითებმა აჩვენა, რომ მოცემული თოქშოუს სხვადასხვა გადაცემაში ხდება მოცემული სიგნალების გადაადგილება ან რომელიმე ელემენტის გამოტოვება, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს რიტუალიზებული ელემენტების განსაზღვრაში.

იმავე ქვეყანრის ქართულ თოქშოუში „დღის შოუ“ გადაცემას ხსნის შემდეგი ელემენტები:

- ა) ვიდეორგოლი
- ბ) მისალმება
- გ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება
- დ) ახალი ამბის მოყოლა
- ე) წამყვანის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია
- ვ) სტუმრის იდენტიფიკაცია

მოცემულ ქართულ მაგალითში გამოტოვებულია გადაცემის გამხსნელი ერთ-ერთი სიგნალი - ახალი ამბის მოყოლა, რაც გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე ხდება.

მსგავსად ბრიტანული თოქშოუსა ქართული თოქშოუს სხვადასხვა გადაცემაში ხდება გადაცემის გამხსნელი სიგნალების გადაადგილება ან გამოტოვება, რაც თოქშოუში სხვადასხვა წამყვანის შემოსვლით არის განპირობებული, თუმცა ეს ყოველივე ხელს არ უშლის რიტუალიზებული ელემენტების დადგენას.

შეპირისპირებითა ანალიზმა გამოავლინა მოცემული ქვეყანრის ბრიტანული და ქართული თოქშოუსათვის დამახასიათებელი უნივერსალური მარკერები. ესენია:

- ა) ვიდეორგოლი
- ბ) სტუმრის წარდგენა
- გ) მისალმება
- დ) გადაცემის ეთერში გასვლის დროის შეხსენება მაყურებლისათვის
- ე) ახალი ამბის მოყოლა

ბრიტანული თოქშოუსათვის დამახასიათებელია გამომცხადებლის ხმა სტუდიაში, რაც უცხოა ქართული თოქშოუსათვის. ქართულ თოქშოუში გვხვდება პირადი ამბების მოყოლა აუდიტორიისათვის, რაც არც თუ ისე ხშირად ხდება ბრიტანულ თოქშოუში.

ენობრივი თვალსაზრისით ქართულ თოქშოუებს ახასიათებს წამყვანების გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები და გრძელი მონოლოგები. ორივე ქვეყნის თოქშოუსათვის დამახასიათებელია შორისდებულებისა (yeah, oh, wow) და მარტივი კონსტრუქციების გამოყენება.

ფუნქციური მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადაცემის გახსნის რიტუალიზებულ ელემენტებს.

3.3. ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასასრულის შეპირისპირებითი ანალიზი

ბრიტანულ და ქართულ კულტურებში თოქშოუს დამასრულებელი მარკერები სხვადასხვაგვარად ვლინდება. თითოეული ქვეყნის თოქშოუს ქვეყანრებში კულტურული მახასიათებლები განაპირობებს, როგორ ხდება გადაცემის დასრულება.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თოქშოუს დასაწყისის წინმსწრები სიგნალებისა და დასაწყისის სიგნალების მსგავსად არსებობს გადაცემის დამასრულებელი რიტუალიზირებული ელემენტები.

თოქშოუს დასასრულ ფაზაში კომუნიკაციის მონაწილეები ერთობლივად ასრულებენ საუბარს. დასასრულ ნაწილში ხდება მადლობის გადახდა, შეფასება, კეთილი სურვილების გაცვლა და ა.შ.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ გადაცემის დასრულებას წინ უსწრებს გადაცემის დამასრულებელი სიგნალები, რომელთა გაჟღერებაც თოქშოუს მაყურებელს მიანიშნებს, რომ გადაცემა დასასრულს უახლოვდება.

ორივე ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადაცემის დამასრულებელ წინმსწრებს სიგნალებს, რომლებიც სამივე ქვეყანარის ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გვხვდება.

მაგალითად:

1. *Graham*: ა) *Very nice to meet you. Thank you very much. Thank you.*

ბ) *Mark Ruffalo, Elizabeth Olsen, Jeremy Renner on the show (The Graham Norton Show, May 20, 2015).*

2. *Host 1*: ა) *We do want wish you all the very best.*

ბ) *Thank you for coming.*

გ) *Ladies and gentlemen Andrea Faustini (Loose Women, November 26, 2014).*

3. *Alan*: ა) *My thanks to* ბ) *Barbara Taylor (The Alan Titchmarsh Show, February 3, 2014).*

4. *ვანო*: ა) *მოკლედ ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის, არაჩვეულებრივი საღამო გამოგვივიდა. იმედი მაქვს კიდევ მოხვალთ.*

ბ) *ბატონი ლევან წულაძე იყო ჩვენი სტუმარი (The ვანო'ს Show, 23 იანვარი, 2015)*

5. *ეკო*: ა) *ძალიან დიდი მადლობა ეკა.*

ბ) *ეკა ჩხეიძე იყო ჩვენი სტუმარი.*

გ) *წარმატებები ეკა (დღის შოუ, 5 ივნისი, 2015).*

6. *ნანუკა*: ა) *დიდი მადლობა რომ იყავი ჩემთან ერთად*

ბ) *თემო არაბიძე (ნანუკას შოუ, 3 დეკემბერი, 2014).*

როგორც ვხედავთ, სამივე ქვეყანარის ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დასრულებას წინ უსწრებს გადაცემის დასრულების შემდეგი წინმსწრები სიგნალები:

ა) წარმატების სურვილი

ბ) სტუმრისათვის მადლობის გადახდა

გ) სტუმრის ხელახლა წარდგენა

როგორც მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, სამივე ბრიტანული თოქშოუს წამყვანი მიმართვისას ნახევრად ოფიციალურ სასაუბრო სტილსა და თავაზიან ფორმებს იყენებს.

მსგავსს საანალიზო კორპუსის ქართულ სეგმენტშიც გვხვდება გადაცემის დასრულების წინმსწრები შემდეგი სიგნალები:

ა) სტუმრისათვის მადლობის გადახდა

ბ) სტუმრის ხელახალი წარდგენა

გ) წარმატების სურვილი

შეპირისპირებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გამოყენებული გადაცემის დასრულების წინმსწრები სიგნალები თითქმის იდენტურია. ორივე ქვეყნის სამივე ტიპის თოქშოუში კონსტიტუციურ ელემენტებს წარმოადგენს მადლობის გადახდა და სტუმრის ხელახალი წარდგენა.

გადაცემის დასრულების წინმსწრებ სიგნალებს თან სდევს გადაცემის დამასრულებელი სიგნალები. მაგალითად:

1. *Graham: ა) Joining next week with Matt Leblanc, Emilia Clarke, Kate Beckinsale, Dominic Cooper.*

ბ) *Good bye everybody* (The Graham Norton Show, May 20, 2015).

2. *Host 1: ა) Tomorrow we have another brilliant guest "Queen".*

ბ) *See you tomorrow, have a lovely afternoon, bye, bye* (Loose Women, November 26, 2014).

3. *Alan: ა) We will be back on Monday on ITV.*

ბ) *For another week - Steve Hewlett* (The Alan Titchmarsh Show, February 3, 2014).

4. *ვანო: ა) დიდი მადლობა.*

ბ) *ძვირფასო ტელემყურებლებო ამით ჩვენი გადაცემა დასასრულს მიუახლოვდა.*

გ) *ერთმანეთს შევხვდებით იქით პარასკევს.*

დ) მე დღეს დაგემშვიდოებებით, აი მთავარია ლარი არ დაგემშვიდობოს სამუდამოდ (The ვანო'ს Show, 23 იანვარი, 2015).

5. ნანიკო: ა) დიდი მადლობა

ბ) გემშვიდოებებით გ) პარასკევამდე (დღის შოუ, 5 ივნისი, 2015).

6. ნანუკა : ა) უღრმესი მადლობა, რომ უყურებთ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს და მე მინდა რომ თქვენთან ყოველთვის ყველაფერი კარგად იყოს.

ბ) მომავალ ოთხშაბათამდე (ნანუკას შოუ, 3 დეკემბერი, 2014).

ფაქტიური მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დახურვა შემდეგი ელემენტებით ხდება:

ა) მომავალი გადაცემის სტუმრის დაანონსება

ბ) აუდიტორიასთან გამომშვიდობება და მადლობის გადახდა

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, სამივე ბრიტანულ თოქშოუში გადაცემის დახურვა მსგავსი რიტუალიზებული ელემენტებით ხდება, რაც, რა თქმა უნდა, კულტურული თავისებურებებით არის განპირობებული.

ქართულ საანალიზო კორპუსზე დაკვირვებამ კი გადაცემის დასრულების შემდეგი მარკერები გამოავლინა:

ა) მაყურებლისათვის მადლობის გადახდა

ბ) დამშვიდობება

გ) მომავალ შოუზე მიპატიჟება

დ) იუმორისტული ჩანართი, რაც მხოლოდ „The ვანო 'ს Show"-ში გვხვდება.

გადაცემის ვერბალურ დახურვას როგორც ბრიტანულ, ისე ქართულ თოქშოუში გადაცემის არავერბალური დახურვა თან ახლავს, რაც ხშირად ხელის დაქნევით არის გამოხატული. საბოლოოდ, გადაცემას ორივე ქვეყნის თოქშოუში გადაცემის ვიდეოქუდი ასრულებს.

შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამივე ტიპის ბრიტანულ და ქართულ თოქშოუს დასკვნითი სიტყვის კონსტიტუციურ ელემენტს

წარმოადგენს სტუდიის სტუმრების, პუბლიკისა და ტელემაყურებლებისათვის მადლობის გადახდა.

შემდეგი კონსტიტუციური ელემენტია გამომშვიდობება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს მომავალ შოუზე მიპატიჟება, რომელიც უფრო მეტად ქართულ თოქშოუებში დაფიქსირდა. მაგალითად:

წამყვანი: მოკლედ ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. მართლაც არაჩვეულებრივი საღამო გამოგვივიდა. მე იმედი მაქვს, რომ კიდევ მოხვალთ.

სტუმარი: დიდი სიხარულით. დამიძახეთ და მოვალ ... (The ვანო's Show, 23 იანვარი, 2015).

როგორც კვლევამ აჩვენა, ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გადაცემის დახურვა მსგავსი რიტუალიზებული ელემენტებით ხდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მართალია, დასასრული ტექსტი ძლიერ რიტუალიზებულია, მაგრამ მოდერატორზეა დამოკიდებული, როგორ გააფორმებს მას. მას აქვს უფლება შეცვალოს მოცემული ელემენტების თანმიმდევრობა.

ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასასრულის ტექსტების შეპირისპირებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი სტრუქტურული თვალსაზრისით თითქმის იდენტურია და მათ შორის კულტურით განპირობებული განსხვავებანი ნაკლებად შეიმჩნევა. ენობრივი კუთხით ორივე ქვეყნის თოქშოუების წამყვანები მიმართავენ ნახევრად ოფიციალურ სტილს და იყენებენ თავაზიან ფორმებს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანულ და ქართულ საანალიზო კორპუსზე დაკვირვებამ გამოავლინა ბრიტანული და ქართული დასასრული ტექსტების უნივერსალური რიტუალიზირებული ელემენტები. ისინი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ, ვიდრე განსხვავებას.

ბრიტანული და ქართული თოქშოუების დასასრულის მარკერების დახასიათებამ და მათი ფუნქციობის შესწავლამ ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში, საშუალება

მომცა დამედგინა საკვლევი ობიექტის ფუნქციობის შესაბამისობა ორ არა მონათესავე ენაში – ინგლისურსა და ქართულში.

3.4. ბრიტანული და ქართული თოქშოუს ჯერის სიგნალების შეპირისპირებითი ანალიზი

ჯერის სიგნალების კონტრასტული ანალიზის მიზანია ინგლისური და ქართული ენის თავისებურებების გამოვლენა. ბინარული შეპირისპირების საფუძველზე ვახდენთ თოქშოუში მსგავსი და განსხვავებული თვისებების დადგენას ინგლისურ და ქართულ ენებში, რათა გამოვავლინოთ იზომორფიზმი და ალომორფიზმი.

როგორც უკვე წინა თავებში განვიხილეთ, ჯერის სიგნალების საშუალებით რეგულირდება დისკურსის ერთ-ერთი მოსაუბრის სათქმელის დამთავრება და მეორე მოსაუბრის მიერ სათქმელის დაწყება. ჯერის სიგნალების არსებობით კომუნიკაციაში ჩართული პირები თავიდან იცილებენ თანადროულ ლაპარაკს და მოსაუბრისათვის ხელის შეშლას სათქმელის დამთავრებაში.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ორივე ენაში მოიპოვება. როგორც ბრიტანულ, ისე ქართულ თოქშოუში გადაცემის ინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე ჯერის გადაცემა უმეტეს შემთხვევაში წამყვანის მიერ ხდება.

ჯერის სიგნალები გვხვდება გადაცემის სამივე ნაწილში: დასაწყისში, ინტერვიუსა და დასასრულში. ბრიტანულ თოქშოუს დასაწყისში ჯერის გადაცემა ხდება წამყვანის მიერ სტუმრის სრული სახელის გამოყენებით, რაც საუბრის ოფიციალურ სტილზე მიუთითებს. მაგალითად: *Graham: We've got some great guests for you and Tonight's Show is brought to you by the letter J, yes, Hollywood star - Jake Gyllenheal is here! I know! Top Gear stars - Jeremy Clarkson and James May are on the show* (The Graham Norton Show, February 24, 2015).

ამ კუთხით მსგავსება შეინიშნება ქართულ თოქშოუშიც, სადაც ასევე სტუმრის წარდგენა ხდება სრული სახელით და ჯერი გადაეცემა სტუმარს:

წამყვანი 1: დღეს ჩვენთან არის ძალიან საინტერესო, წარმატებული, ლამაზი ქალბატონი.

წამყვანი 2: მაშ ასე ანუკი ქორქია ჩვენი გადაცემის სტუმარი (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

შეპირსიპირებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანულ თოქშოუში ასევე გამოიყენება კნინობითი სახელები ჯერის გადაცემისას, როგორც წამყვანის ისე სტუმრის მიერ.

Graham: The picture turned out nice, didn't it? Of course, Arnie (Arnold) started off as a body builder. That's him winning the title of Mr. Universe (The Graham Norton Show, February 24, 2015).

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ასევე მსგავსება გამოავლინა ქართულ თოქშოუში კნინობითი სახელების გამოყენების კუთხით.

წამყვანი: შენ სხვის სახის კანზე სალაპარაკო მაინც არ გაქვს ანუკი.

სტუმარი: მე ვიტყვი რომელ პროდუქტს მოვიხმარ... (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

როგორც ბინარულმა შეპირსიპირებამ აჩვენა, საანალიზო კორპუსის ქართული ინტერვიუებისაგან შემდგარ სეგმენტში მეტი კნინობითი სახელები დაიძებნა ჯერის სიგნალებად გამოყენებით, ვიდრე ინგლისურენოვანში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი მეტყველი სუბიექტი საუბრის დროს უფრო ხშირად მიმართავს ჯერის სიგნალებს, ვიდრე ინგლისურენოვანი.

ბრიტანულ თოქშოუებში ჯერის სიგნალებად გვხვდება ასევე მეტყველების სტრუქტურული ნაწილები, როგორიცაა: ნაწილაკი yeah, კავშირები so, or, and, შორისდებულები oops, wow.

მაგალითად:

1. Host: I'm getting that DVD right now. I'll go straight to extras. Yeah, it is terrible, yeah.

Guest: Yes, it is terrible (The Alan Titchmarsh Show, March 23, 2013)

2. Guest: In this movie you feel like you are with us in a car

Host: And?

Guest: and that was our goal (The Alan Titchmarsh Show, March 23, 2013).

3. Host: That sounds like a wee situation.

Guest: Are you talking about a video game or...

Host: Not for me. You're young, yeah (The Graham Norton Show, February 24, 2015).

4. Graham: Your part, was it written for you?

Guest: Dan said. That he wrote the of a sort of socially autistic nerd who always says wrong things...

Graham: The inappropriate things you say sometimes.

Guest: In the movie? Oops... Well, no in life (The Graham Norton Show, May 17, 2013).

რაც შეეხება ქართულ თოქშოუებს, აქაც გვხვდება ნაწილაკების ხომ, კავშირების და, გამოყენება. მაგალითად:

1. წამყვანი 1: ეს თმები ვინ გაგიკეთა? დღეს დილით გაიკეთე ხომ ?

წამყვანი2: კი, ეკომ გამიკეთა (დღის შოუ, 18 ნოემბერი, 2015).

2. წამყვანი 1: ... 29 და ზემოთ უკვე ესე მუხლამდე კაბები უნდა ატარონ დაა ...

წამყვანი 2: და 40 და ზემოთ შარვლით უნდა იარონ თუ ჩადრით? ... (დღის შოუ, 18 ნოემბერი, 2015).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერის სიგნალების გამოყენების კუთხით ინგლისური და ქართული ენები თოქშოუს მიმდინარეობისას უფრო მეტ მსგავსებას ავლენენ, ვიდრე განსხვავებას.

ბრიტანული თოქშოუს ინტერვიუს ნაწილში ჯერის სიგნალებად ხშირად გამოიყენება თავაზიანი ფორმულები, მტკიცებითი წინადადებები, სასაუბრო

ფორმულები, ბოლო ფრაზის გამეორება, ზოგადი ტიპის კითხვები და მაცალკავებელი კითხვები.

თავაზიანი ფორმულა - *Graham: Thank you darling. It is so nice to meet you.*

Guest: Thank you very much (The Graham Norton Show, February 24, 2015).

მტკიცებითი წინადადება - *Host: The reality show is you living with her, working together, that seems crazy.*

Guest: Working together is very hard. We shop together and we work together and we decorate together (Loose Women, October 6, 2014).

სასაუბრო ფორმულა - *Host: But you know a couple of people usually under the influence have pronounced it not in the right way.*

Guest: Yes, a drunk woman came up to me and thought my name was Jake Googenballs (The Graham Norton Show, February 24, 2015).

გამეორება - *Host: Is that going to be on the DVD extras? Guest: It may. It may. I'm getting that DVD right now* (Loose Women, October 6, 2014).

ზოგადი ტიპის კითხვა - *Host: Do you have to brush it out? Does stuff get caught in it?*

Guest: Sometimes I brush it, yes (Loose Women, October 6, 2014).

მაცალკავებელი კითხვა - *Host: It is hard to know if a cowboy is gay. I would guess probably straight. This one, it is impossible to tell, isn't it ?*

Guest: It must have been difficult for Brokeback Mountain ... (The Graham Norton Show, February 24, 2015).

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართველი მეტყველი სუბიექტებიც მიმართავენ მოცემულ საშუალებებს გადაცემის მსვლელობისას, მაგრამ როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა ბრიტანული თოქშოუების წამყვანები უფრო ხშირად მიმართავენ მოცემულ ჯერის სიგნალებს.

თავაზიანი ფორმულა - *წამყვანი: უღრმესი მადლობა, რომ იყავით ჩემი სტუმარი.*

სტუმარი: დიდი მადლობა (ნანუკას შოუ, 30 ივლისი, 2015).

ზოგადი ტიპის კითხვა - *წამყვანი 1: შენ რის მიმართ ხარ ნანიკო დამოკიდებული?*

წამყვანი 2: ყველაზე მეტად? ყველაზე დებილური საჭმელების მიმართ, ანუ რაზეც ჩვენ ერთ-ერთ გადაცემაში ვისაუბრეთ, ცუდ საჭმელებზე ვარ დამოკიდებული (დღის შოუ, 18 ნოემბერი, 2015).

მტკიცებითი წინადადება - სტუმარი : ეხლა ხო შემოვიდა ახალი ტექნოლოგიები, ესოვილზე ბეჭვდა, რაც აქამდე არ იყოდა ეს ავიტაცე ისტერიულად. ოღონდ მე ვხატავ ამ ყველაფერს, ფოტოშოპში ვამუშავებ, ყველაფერს მე ვაკეთებ, არავის ვაცლი რომ დამეხმაროს, ვარ აი ყველაფერში ჩართული.

წამყვანი: საბოლოოდ ვინ ხატავს, ვინ ქარგავს გავიგეთ. ფაქტია, რომ ძალიან ლამაზია ეს ყველაფერი (დღის შოუ, 18 ნოემბერი, 2015).

გამეორება - წამყვანი: შენ რა შემოგთავაზა ესე იგი?

სტუმარი: შენ კომპანიას არ მოვაგებინეო, არანაირი კომპანია არ მაქვს, არანაირი კომპანია არ მაქვს (The ვანო'ს Show, 13 მარტი, 2015).

გარდა ვერბალური ჯერის სიგნალებისა, მსგავსება გამოვლინდა არავერბალური ჯერის სიგნალების გამოყენებისას. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ბრიტანელი და ქართველი წამყვანები ჯერის გადასაცემად იყენებენ მზერის გადასვლას, თავის აწევას და თვალების დახრას.

შესაბამისად, არავერბალური ჯერის სიგნალების გამოყენების კუთხითაც ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში მსგავსება შეინიშნება.

ჯერის სიგნალების გამოყენება ძირითადად ხდება თოქშოუს ძირითად ნაწილში - ინტერვიუს ნაწილში.

საერთო ჯამში, საანალიზო კორპუსის ორივე სეგმენტში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ჯერის სიგნალები დაიძებნა.

3.5. ბრიტანული და ქართული თოქშოუს შეწყვეტინების სიგნალების შეპირისპირებითი ანალიზი

თოქშოუს ჟანრის ყოველდღიურ საუბრის სტილთან სიახლოვე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ კომუნიკაციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ჯერის სიგნალებს, ისე შეწყვეტინების სიგნალებსაც. როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, ერთი მონაწილე აწყვეტინებს მეორეს და ამატებს, ასრულებს ან განაგრძობს თავის სათქმელს ჯერის ალების გარეშე.

დაკვირვებამ გამოავლინა, რომ არსებობს ვერბალური და არავერბალური შეწყვეტინების სიგნალები. შეწყვეტინების შედეგად ირღვევა მოსაუბრის ჯერი, ანუ მეორე მოსაუბრე იწყებს მაშინ, როცა პირველ მოსაუბრეს არ აქვს დამთავრებული თავისი სათქმელი. შეწყვეტინებასთან ერთად განვიხილავთ გადაფარვის შემთხვევებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის თოქშოუში მოსაუბრეები ცდილობენ არ შეაწყვეტინონ ერთმანეთს, მაინც დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსაუბრეები ერთმანეთს აწყვეტინებენ. ვფიქრობ, ეს თოქშოუს ნახევრადინსტიტუციური ჟანრიდან გამომდინარეა. მაგალითად:

1. Guest: I work for a fashion designer. One time I pretend to be Charlize's sister ...

Host: Can, can I ask... which Charlize, this one?

Guest: Yes, sorry (Loose Women, March 5, 2013).

2. Guest: It is very hard for a woman to get older. It is hard getting older ...

Host: But you work, you have got two shows on the network now? ... (The Graham Norton Show, October 11, 2013).

3. Guest: So, it was a great challenge and we rolled the dice ...

Host: and it wound up being fantastic...

Guest: No, it really is, it is properly funny (The Graham Norton Show, October 11, 2013).

4. წამყვანი 1: ... მეც ერთიანად ვისმევ სახის კრემს ...

წამყვანი 2: ერთი წუთით მაცალეთ, ეხლა გიყურებ, გიყურებ და ძალიან მომწონს როგორი სისუფთავით გაქვს დატანილი ეგ შუქრდილები, ჩემზე გააკეთებ ესპერიმენტს?

სტუმარი: რატომაც არა ... (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

5. წამყვანი: ... ანუკი ბოდიში გაწყვეტინებ, ეკრანზე ჩანს ფოტო შენი ბავშვების და შენი პატარაობის, ძალიან გეცხართ.

სტუმარი: თავიდან იყო ზედგამოჭრილი მამა, ეხლა უკვე ჩემკენ წამოვიდა (დღის შოუ, 7 ოქტომბერი, 2015).

6. წამყვანი 1: შუადამეზე ვჭამ როცა მინდა და რასაც მინდა, პურსაც, ტკბილეულსაც

წამყვანი 2: ანუ შენ ფიქრობ რომ საკვებზე დამოკიდებული არ ხარ სოფიკო?

წამყვანი 1: არ ვიცი ვარ თუ არა ... (დღის შოუ 7 ოქტომბერი, 2015).

ჩატარებულმა კვლევამგამოავლინა შემდეგი შეწყვეტინების ვერბალური სიგნალები: ა) თხოვნის შემცველი ფრაზები

ბ) კავშირები - but, and, or.

როგორც მაგალითებზე დაკვირვებამ აჩვენა, ბრიტანული თოქშოუს სამივე ქვეყანარში ხშირია კავშირის "but" გამოყენება. შეწყვეტინების ეს ვერბალური სიგნალი გამოხატავს მსმენელი სუბიექტის განსხვავებულ აზრს, რომელიც აწყვეტინებს მოსაუბრეს და მოაქვს საწინააღმდეგო შეხედულება.

ბრიტანულ და ქართულ ენებში შეწყვეტინების სიგნალების შეპირისპირებისას ქართულ ენაში გამოვლინდა შეწყვეტინების შემდეგი ვერბალური სიგნალები:

ა) ნებართვის მომპოვებელი ფრაზები

ბ) ბოდიშის მომხდელი

გ) ნაწილაკი - ანუ

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ენაში მოიპოვება შეწყვეტინების ვერბალური სიგნალები, მაგრამ მათ შორის შეინიშნება გარკვეული მსგავსება-განსხვავება. თუ ბრიტანულ თოქშოუში შეწყვეტინების სიგნალებად გვხვდება

კავშირები, რომლებიც მოსაუბრეს შეაჩერებს, ქართულში მის ნაცვლად წამყვანები იყენებენ შეჩერების მომთხოვნ ფრაზებს, მაგრამ არა კავშირებს. ამ მხრივ, მათ შორის განსხვავება შეინიშნება, რაც კულტურული ღირებულებებით არის განპირობებული.

გარდა განსხვავებისა, მათ შორის გვხვდება მსგავსებაც. როგორც ბრიტანულ, ისე ქართულ თოქშოუში წამყვანები ან სტუმრები მოსაუბრის შესაჩერებლად მიმართავენ ნებართვის მომპოვებელ ფრაზებს.

კიდევ ერთი სხვაობა შეინიშნება იმ კუთხითაც, რომ ქართულ თოქშოუში შეწყვეტინების სიგნალებად ხშირად გამოიყენება ბოდიშის მომთხოვნი ფრაზები, რაც ბრიტანული თოქშოუსათვის არც თუ ისე ხშირად ახასიათებთ.

შეწყვეტინების არავერბალური სიგნალების გამოყენების მაგალითები ორივე ქვეყნის თოქშოუში შემხვდა. ამ დროს შეწყვეტინება ხდება ქესტიკულაციით: ხელის აწევით, რომლითაც კომუნიკანტი ხვდება, რომ მოსაუბრე აპირებს საუბრის დაწყებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენის საანალიზო კორპუსის შეპირისპირებითა ანალიზმა გამოავლინა როგორც განსხვავებული, ისე მსგავსი შეწყვეტინების სიგნალები ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში. ეს მსგავსება-განსხვავებანი, რა თქმა უნდა, განსხვავებული კულტურული და ენობრივი მახასიათებლებითაა განპირობებული.

3.6. თოქმოუს ჟანრი როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენი ინგლისურ და ქართულ ენებში

ენის თანამედროვე და უახლეს თეორიებში საკითხის ლინგვისტური შესწავლა ხდება ინტერდისციპლინარული მონაცემთა ბაზისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით. ენა ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელი რგოლია (ლიჩი 1983:123). აქედან გამომდინარე, ლინგვისტური კვლევა აღარ წარმოადგენს ენის კვლევას „თავის თავში“, არამედ გულისხმობს ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირებისა და მექანიზმების შესწავლას ტრიადაში „ენა – კულტურა – ადამიანი“.

ენისა და კულტურის კავშირები, როგორც კვლევის ძირითადი ობიექტი, შეისწავლება ლინგვოკულტუროლოგიაში. ლინგვისტიკის ეს მიმართულება მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა როგორც ეთნოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის განვითარების ახალი ეტაპი. ის შეისწავლის, როგორ აისახება კულტურა ენაში, იყენებს ენობრივ მასალას და, შესაბამისად, იკვლევს ერის კულტურის იმ გამოვლინებებს, რომლებიც აისახა და გამყარდა ენაში (სადოკი 1974:20). ის ადგენს გარკვეულ ტრადიციასთან დაკავშირებული ქცევის ელემენტების გამოვლინებებს სამეტყველო ქმედებაში; ანალიზებს სხვადასხვა ენის მატარებელთა ვერბალური და არავერბალური ქცევის თავისებურებებს. ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტია – კულტურათაშორისი ურთიერთობებისას წარმოქმნილი კონოტაციები, სიმბოლოები და „ქვეაზრები“, რაც ამ კულტურაში დაკავშირებულია ამა თუ იმ კულტურულად ათვისებულ რეფერენტთან. ლინგვისტიკის ეს მიმართულება აგრეთვე შეისწავლის ორ ენას, როგორც სხვადასხვა ხალხის სამეტყველო ქმედების და, ამავდროულად, სამყაროს ხედვის თავისებურებებს (ოსტმანი 2006:220).

ჩემს ნაშრომში ძირითადი აქცენტი ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტზეა გადატანილი, რადგანაც ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია ერთმანეთის ენის, ლიტერატურის, ყოფისა და კულტურის ცოდნაზე, რომელიც მთლიანობაში ლინგვოკულტურულ კოდს წარმოადგენს. იგი მთავარ როლს

თამაშობს ხატის, მენტალიტეტისა და ღირებულებებითი ორიენტაციის ფორმირებაში (ლეონტოვიჩი 2002 :14).

თოქშოუ, როგორც დისკურსი, რთული ინტერაქციული პროცესია, რომელსაც განსაზღვრული კულტურული თავისებურებები ახასიათებს. ისინი მასობრივი ინსტიტუციური კომუნიკაციის პირობებში ინტერსუბიექტურ ურთიერთობებში ვლინდება. თოქშოუ, როგორც რთული დისკურსიული წარმონაქმნი, შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა კუთხით: ფსიქოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვისტიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკის და ა.შ. (პანკრატოვა 2001:17-20).

ასევე, საინტერესოა ნ. ვენედიქტოვას შეხედულება ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტთან მიმართებაში, რომ უცხო ქვეყნის ცხოვრებისეულ სამყაროში ჩართულობა გარკვეული ტიპის ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელსაც თანამონაწილე კომუნიკაციურს უწოდებენ, რამდენადაც ის აუცილებლად მოიცავს რეფლექსიას საკუთარ საფუძველებზე, კულტურულ წინაპირობებზე (ვენედიქტოვა 1997:203).

ამგვარი ცოდნის დაგროვებისა და ბრიტანულ და ქართულ დისკურსში ჩართულობის ერთ-ერთი საშუალებაა თოქშოუ. ინტერაქტანტების ურთიერთობა მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ საუბართან, რაც საშუალებას იძლევა გამოავლინოს ცხოვრებისეული დეტალები (რიჩარდსონი 1999:24). სატელევიზიო დისკურსში შეიძლება მოიპოვებოდეს შესაბამისი კულტურის ყველა შესაძლებელი ღირებულებებით დომინანტი, რაც ეხმარება რეციპიენტს მოახდინოს საკუთარი ცოდნის აქტუალიზაცია, შესწორება ან განვრცობა.

ასევე, საინტერესოა სტუდიის პუბლიკის როგორც კულტურის ინდიკატორისა და განწყობის ბარომეტრის როლი, რომელიც როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად (სიცილი, შეძახილები, აპლოდისმენტები და ა.შ.) გამოხატავს თავის დამოკიდებულებას (სიმპათიას, ანთიპათიას) მისაღები ან მიუღებელი აზრისა და შეხედულებების მიმართ.

თოქშოუს ჟანრში კომუნიკანტებს შორის სოციალურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კვლევის საფუძველზე გამოიყო წამყვანსა და სტუმრებს შორის დადებითი სოციალური ურთიერთობები, რაც შენარჩუნებულია სახელების ან

კნინობითი სახელების, შენობითი ან თქვენობითი ფორმების, წამყვანისა და სტუმრის მიერ ერთი ენის ან დიალექტის გამოყენებით.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა გადაცემაში განსახილველი თემები, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რეალობის რომელი სფეროა მეტად საინტერესო მაყურებლისათვის.

ბრიტანული მედიადისკურსისათვის ყველაზე გავრცელებული თემებია: შოუბიზნესი, ეკონომიკა, პოლიტიკა, წყვილებს შორის ურთიერთობა და სამუშაო.

რაც შეეხება ქართულ მედიადისკურსს, აქ წინა პლანზეა შემდეგი თემები: პოლიტიკა, ცნობილი ადამიანები, შოუბიზნესი, ურთიერთობები/სიყვარული და ოჯახი. როგორც ვხედავთ, ორი განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში აუდიტორიისათვის საინტერესო თემები გარკვეულწილად მსგავს სფეროს განეკუთვნება, შესაბამისად, ეს თემები ორივე ქვეყნის სატელევიზიო დისკურსის ხშირი თემაა.

კვლევისას გამოვლენილი განსხვავებები ორი ენის მედიის კულტურის სხვადასხვაობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, ინგლისური ენის დომინანტური ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე და, შესაბამისად, მას დომინანტის სტატუსი აქვს მასობრივი კომუნიკაციის სფეროშიც. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება ინგლისურენოვანი მასობრივი საინფორმაციო კულტურის ექსპანსია (მარლანია 2005: 64). სწორედ ამან განაპრობა ის, რომ, როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისური მედიამეტყველება ენობრივი თვალსაზრისით მეტად გამართული აღმოჩნდა.

რაც შეეხება ქართულ მედიამეტყველებას, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მწვავედ დგას ჟურნალისტური მეტყველების პრობლემა. ინგლისურ ენასთან შედარებით ქართულ ენაში მედიატექსტები ნაკლებად გამართულია.

ამირგად, საკვლევი ობიექტის შეპირისპირებისას ორ ენაში – ინგლისური და ქართული – როგორც თანხვედრა, ისე სხვაობები გამოვლინდა. ყოველივე ამას თავისი სპეციფიკური ლინგვოკულტუროლოგიური მიზეზები აქვს.

დასკვნა

თოქმოუს, როგორც დისკურსის ჟანრის, სტრუქტურული, ლექსიკური და სტილისტური დახასიათებისა და გადაცემის მიმდინარეობისას გამოყენებული სხვადასხვა სიგნალების ფუნქციობის შესწავლის საფუძველზე ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში, დადგინდა საკვლევი ობიექტის ფუნქციობის შესაბამისობა ორ ენაში.

ამრიგად, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება შემდეგი დასკვნების სახით წარმოვადგინო:

1. თოქმოუს ქვეჟანრობრივი კლასიფიკაციისას გამოყენებული თიმბერგისეული დროის ასპექტზე ორიენტირებული კლასიფიკაცია დღევანდელ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან შეიცვალა თითოეული ქვეჟანრის ეთერში გასვლის დრო. დროის შეცვლა არ მომხდარა ყველა ქვეჟანრში. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყველაზე დიდი ცდომილება დროსთან მიმართებაში დღისა და ღამის ქვეჟანრის ბრიტანულ და ქართულ თოქმოუში გვხვდება.

2. სტრუქტურულ-კომპოზიციური ნიშნით თოქმოუს ჟანრი ინტერაქტიულ ასიმეტრიულ ჟანრს მიეკუთვნება. თანამედროვე თოქმოუს კომპოზიციური სტრუქტურა სტაბილურია და დასაწყისის (შესავლის), ბირთვისა (ინტერვიუ) და დასასრულისაგან (დასკვნა) შედგება. შესავალი ძირითადად მოიცავს წამყვანის მონოლოგს, ინტერვიუ - კითხვა-პასუხია წამყვანსა და სტუმრებს შორის, დასკვნა - სტუმრებთან და აუდიტორიასთან გამომშვიდობება, ზოგ შემთხვევაში მომავალი გადაცემის და სტუმრების დაანონსება. დაკვირვებამ გამოავლინა, რომ აღნიშნული სტრუქტურის ცალკეული ნაწილი განსხვავებულადაა წარმოდგენილი ბრიტანული და ქართული თოქმოუს სხვადასხვა ქვეჟანრში.

3. კომუნიკაციაში ჩართულები არიან ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ჟანრში ვხვდებით ორი ტიპის აუდიტორიას: ა) სტუდიაში მყოფი და ბ) სახლში, ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია. სტილისტური ნიშნით თოქმოუ, როგორც სამეტყველო ჟანრის სატელევიზიო გადაცემა, სიახლოვეს

ამჟღავნებს ყოველდღიურ სასაუბრო სტილთან, რომელსაც არაოფიციალურ სიტუაციაში ვიყენებთ. აქედან გამომდინარეობს თოქშოუში სასაუბრო ლექსიკის ხშირი გამოყენება.

- დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქვეყანობრივი სახეობები აისახება ადრესანტების (წამყვანების) რაოდენობაზე. ბრიტანულ და ქართულ გვიან-დამის გასართობ და დღის შოუ აუდიტორიის მონაწილეობით თოქშოუებში ერთი ადრესანტია, ხოლო დილის თოქშოუებში სამი ან ოთხი; ადრესანტებსა (წამყვანებს) და ადრესატებს (სტუმრებს) უკავიათ მათთვის განკუთვნილი ადგილი სტუდიაში.

- სტუდიაში მყოფი აუდიტორია ძირითადად ტაშითა და ოვაციებით შემოიფარგლება. იშვიათია მათ მიერ გაცემულ მოკლე პასუხებს, რომლებიც ბრიტანულ "The Graham Norton Show"-სა და ქართულ „ნანუკას შოუში" დაფიქსირდა. ორივე კულტურის სამივე ქვეყანრის თოქშოუ განსხვავდება სტუდიის აუდიტორიასა და ადრესანტს შორის კონტაქტის თვალსაზრისით.

- ყველა ჩემ მიერ განხილულ მაგალითში სახლში მყოფი აუდიტორია პასიური ფორმითაა ჩართული, გარდა ქართული „დღის შოუსა", სადაც სახლში ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია გადაცემაში სატელეფონო ზარისა და ტექსტური შეტყობინების საშუალებით ერთვება.

- კომუნიკაციისათვის ადრესანტი, ადრესატი და სტუდიის აუდიტორია იყენებს, როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ საშუალებებს. მათი კოდი დედა ენაა.

4. ორივე კულტურის თოქშოუში გარემო არის წინასწარ განსაზღვრული და უცვლელი ადგილი (სტუდია) და დრო, სადაც ხდება გადაცემის ჩაწერა. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე კულტურის ერთი ქვეყანრის თოქშოუებში სტუდიის გაფორმების თვალსაზრისით მსგავსება შეინიშნება. დაფიქსირდა რამდენიმე სპეციალური გამოშვება თოქშოუსა, როდესაც მოქმედება სტუდიაში კი არ ვითარდებოდა, არამედ სხვა გარემოში.

5. ინგლისური და ქართული თოქშოუს საწყისი ტექსტების შედარებამ აჩვენა, რომ მათ დიდი მსგავსება ახასიათებს, რაც რიტუალიზაციის გამო მოსალოდნელიც იყო. ორივე ენის თოქშოუს კონსტიტუციური ელემენტია ენობრივი ქმედება- მისაღმება.

დროის ეკონომიის მიზნით დასაწყის ფაზაში სტუდიის სტუმრების ჩართულობა შეზღუდულია. ყველაზე მეტად ისინი დასაწყისშივე "The Graham Norton Show"-ში არიან ინტეგრირებულები.

6. თოქშოუს სამივე ქვეყანაში გადაცემის გახსნა/ დახურვა წამყვანის მიერ ხდება. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს როგორც სტუდიაში, ისე სახლებში მყოფი ინდივიდები.

- როგორც ბრიტანული, ისე ქართული თოქშოუს დასკვნითი ტექსტების კონსტიტუციური ელემენტებია: მადლობის გადახდა და დამშვიდობება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანელი მოდერატორები გადაცემის დასასრულზე მიუთითებენ, ქართველები კი ხშირ შემთხვევაში მოკლე რეზიუმეს აკეთებენ. ფაკულტატიური ელემენტები ორივე ენაში ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს, თუმცა ისინი გადაცემიდან გადაცემამდე განსხვავდებიან და წამყვანს გარკვეულ თავისუფლებას აძლევენ. ბრიტანელი მოდერატორები დასკვნით სიტყვაში უმეტესად მომავალ გადაცემაზე მიუთითებენ.

- გადაცემის გამხსნელ/დამასრულებელ სიგნალებს წინ უძღვის გადაცემის წინაგამხსნელი და წინადამასრულებელი სიგნალები, რომლებიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი სამივე თოქშოუში. გადაცემის გამხსნელ სიგნალებში გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფი მათი თანმიმდევრობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც თოქშოუს ჰყავს ერთზე მეტი წამყვანი გადაცემის გახსნა ხდება ერთი წამყვანის მიერ, თუმცა ქართულში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როცა გადაცემა სამივე წამყვანმა ერთდროულად გახსნა ჯერების გადაფარვით.

- გადაცემის გამხსნელ სიგნალებში გვხვდება როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური, საუბრისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ სტრუქტურული მახასიათებლები.

- ქართულ თოქშოუში უფრო გრძელი გადაცემის გამხსნელი სიგნალები გვხვდება, ვიდრე ბრიტანულში.

7. ორივე კულტურის თოქშოუში ხდება ოფიციალური რეგისტრის ლექსიკის გამოყენება. წამყვანი გადაცემის გახსნისას და დასრულებისას აუდიტორიას მიმართავს ოფიციალური ლექსიკური ერთეულით, როგორცაა, მაგალითად: Ladies and gentlemen ბრიტანულ თოქშოუში და ქართულ თოქშოუში კი გამოიყენება თავაზიანი ფორმები: დიდი მადლობა მობრძანებისთვის.

8. ბრიტანული და ქართული თოქშოუს დასასრულის შედარებამ აჩვენა, რომ ისინი სტრუქტურული თვალსაზრისით თითქმის იდენტურია და მათ შორის კულტურით განპირობებული განსხვავებები არ შეიმჩნევა.

9. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ბრიტანულ და ქართულ თოქშოუში გადაცემა იგება წამყვანებსა და სტუმრებს შორის ჯერის გაცვლაზე. შესაბამისად, ჯერის სიგნალებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადაცემაში, ისინი ხელს უწყობენ ჯერის მონაცვლეობას.

- ჯერის სიგნალები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად. ორივე კულტურის თოქშოუში გამოვლინდა მეტნაკლებად განსხვავებული ჯერის ვერბალური და არავერბალური სიგნალები.

- ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე ქვეყნის თოქშოუებში ჯერის სიგნალების გამოყენების კუთხით პირველ ადგილზეა კითხვითი წინადადებები, შემდეგ მტკიცებითი წინადადებები და სხვა ვერბალური სიგნალები. ამის გარდა, ორივე ქვეყნის თოქშოუში გვხვდება პარალინგვისტური ჯერის სიგნალები, რომლებიც სხვა სიგნალებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

- კვლევამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება თოქშოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში.

- წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები ერთმანეთისაგან განსხვავდება სიხშირისა და ფორმის მიხედვით.

- შოუს დასკვნით ნაწილში არც ერთ თოქშოუში არ გვხვდება ჯერის სიგნალები.

- ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად ჯერის სიგნალის არსებობისა და თოქშოუს ნახევრადინსტიტუციური ხასიათისა წამყვანსა და სტუმრებს შორის მაინც ვხვდებით

სხვადასხვა ფორმის შეწყვეტინებას. დაკვირვების საფუძველზე გამოყოფილ იქნა შემდეგი ვერბალური შეწყვეტინების სიგნალები: 1. სპეციალური ფრაზები: თხოვნის შემცველი (Can I ask you), ნებართვის მომპოვებელი (თუ ნებას დამრთავთ), ბოდიშის მომხდელი (ბოდიში, დიდი ბოდიში), შეჩერების მომთხოვნი (ერთი წამით); 2. კავშირები (but, and, or); 3. ნაწილაკები (ანუ). შემხვდა შეწყვეტინების შემდეგი არავერბალური სიგნალი: ხელის აწევა. შეწყვეტინებებს უფრო დიდი სიხშირით ვხვდებით ქართულ „ დღის შოუში“.

- საკომუნიკაციო ინცენციის თვალსაზრისით, შეწყვეტინება შეიძლება ემსახურებოდეს: ა) საკუთარი აზრის გამოთქმას, ბ) ინფორმაციის შევსებას, გ) თემის შეცვლას, დ) დათანხმებას, ე) დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, ვ) დროის შეზღუდვას. ეს უკანასკნელი მხოლოდ მოდერატორის ფუნქციაში შედის.

10. თოქშოუების განხილვა შესაძლებელია გრაისის მაქსიმუმის კუთხით. კონკრეტულ კულტურასა თუ სოციალურ გარემოში მიღებული ნორმების გათვალისწინებით. თოქშოუს კომუნიკაციაში ჩართული პირები ცდილობენ ქვეცნობიერად ამ მაქსიმუმის დაცვას.

- ოდენობითი მაქსიმა, ერთი მხრივ, გულისხმობს ჯერების თანაბარ გადანაწილებას და, მეორე მხრივ, არსებითი ინფორმაციის მიწოდებას. თუმცა, თოქშოუში როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო ყველას არ ეძლევა თანაბარი რაოდენობის და ხანგრძლივობის ჯერი, მაგრამ ეს მაინც არ არღვევს ოდენობით მაქსიმას. ორივე კულტურის თოქშოუში გვხვდება ერთი სიტყვის, ფრაზის, წინადადების ან რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ჯერი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ოდენობითი მაქსიმა დაცულია, რადგან არსებითი ინფორმაცია გადმოცემულია.

- როდესაც ადამიანები გამოდიან ფართო აუდიტორიის წინაშე, ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ იმიჯს, ამიტომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ დაარწმუნონ მაყურებლები წარმოთქმულის სიზუსტეში.

- თოქშოუში რელევანტურობის მაქსიმა მაშინაც კი არის დაცული, თუ საფრთხე ექმნება და ირღვევა სხვა მაქსიმები.

11. ანალიზის შედეგად ვასკვნი, რომ თოქშოუ არის საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილი, ხოლო გადაცემის ვიდეო ან ტრანსკრიპტი კი - ტექსტი. ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თოქშოუს ტექსტი არის გარკვეული წესით ორგანიზებული სისტემა, რომელიც, მიუხედავად ენის ადამიანური ფენომენის ერთიანი უნივერსალური მოდელისა, სხვადასხვა ენებში ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება, რაც განპირობებულია იმ სოციოკულტურულ სიტუაციათა სხვაობით, რომელთა ჩარჩოებში კონკრეტულ ენათა სისტემები ფუნქციობს.

12. ამრიგად, კვლევამ, რომელიც წარმოადგენს თოქშოუში მიმდინარე საუბრისათვის დამახასიათებელი მარკერების სტრუქტურულ, სტილისტურ და ლექსიკურ შეპირისპირებით ლინგვოპრაგმატიკულ შესწავლას ორი არამონათესავე – ინგლისური და ქართული – ენის მასალაზე, საშუალება მომცა გამომევლინა მოცემულ ასპექტში ამ ორ ენას შორის არსებული იზომორფიზმი და ალომორფიზმი.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. აიმერენი 1998 - van Eimeren B. (1998). Talkshow-Formate und Zuschauerstrukturen. überblick über Entwicklung und Nutzung eines alltäglichen Programmformats. Media Perspektiven, №12.
2. ალენი 1992 - Allen R. (1992). Channels of Discourse. Television and Contemporary Criticism. New York and London: Routledge.
3. ბალი 1955 - Балли Ш. (1955). Общая лингвистика и вопросы французского языка. Москва, Изд. ин. лит.
4. ბარლოუენი, ბრანდენბერგი 1975 - Barloewen C., Brandenburg H. (1975). Talk Show. München: Hanser.
5. ბარბუდაროვი 2004 - БархударовЛ.С (2004).Общая лингвистика. Уровни лингвистическово анализа In: "Лингвистика XX века Система и структура языка" Часть I, Москва: "Прогресс".
6. ბაუმანი 1992 - Bauman R. (1992). Text and Discourse in Anthropological Linguistics. Oxford University Press.
7. ბეიქერი 2006 - Baker P. (2006). Using Corpora in Discourse Analysis. London: Continuum. Billig, Michael.
8. ბენვენისტი 1974 - Бенвенист Э. (1974). Общая лингвистика, Москва, Прогресс.
9. ბლექმორი 1987 - Blakemore D. (1987). Semantic Constraints on Relevance, Oxford, Blackwell.
10. ბლექმორი 1992 - Blakemore D. (1992). Understanding utterances. Oxford: Blackwell.
11. ბლექმორი 1996 - Blakemore D. (1996). Are apposition markers discourse markers? Journal of Linguistics 32.
12. ბრაუნი 1987 - Brown P., Levinson S. (1987). Politeness. Cambridge: Cambridge University Press.
13. ბრაუნი, იული 1983 - Brown G., Yule G. (1983). Discourse Analysis. Cambridge: Cambridge University Press.

14. ბრინკერი 2001b - Brinker K. (2001). Text und Gesprächslinguistik: ein internationales Handbuch zeitgenössischer Forschung. Halbbd. 2. Berlin: de Gruyter.
15. ბურკე 1993 - Burke, P. (1993). The Art of Conversation. Cambridge: Polity Press.
16. გამყრელიძე et al 2003 - გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
17. გლაიჰი 2001 - Gleich U. (2001). Forschungsüberblick zu Nutzungsmotiven, Funktionen und Wirkungen von Soap Operas, Talkshows und Reality-TV: Populäre Unterhaltungsformate im Fernsehen und ihre Bedeutung für die Zuschauer. Media Perspektiven, №10.
18. გოგოლაშვილი 2006 - გოგოლაშვილი თ. (2006). სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში (ბრიტანული და ქართული პრესის მასალაზე). ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
19. გოფმანი 1967 - Goffman E. (1967). On Face Works. An Analysis of Ritual Elements in Social Interaction.
20. გოფმანი 1976 - Goffman E. (1976). Replies and Responses. Language in Society.
21. გოფმანი 1979 - Goffman E. (1979). Forms of Talk. Oxford: Basil Blackwell.
22. გრაისი 1968 - Grice H.P. (1968). Utterer's Meaning, Sentence-meaning and Word-meaning. Oxford.
23. გრაისი 1975 - Grice H.P. (1975). Logic and Conversation. In Syntax and Semantics, Vol. 3, Speech Acts, New York: Academic Press ed. by P. Cole & J.L. Morgan.
24. გრძელიძე, ფხაკაძე 2014 - გრძელიძე ი., ფხაკაძე ნ. (2014). დისკურსი: ენობრივი, კულტურული, სოციალური ველები. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

25. გუმპერსი 1982 - Gumperz J. (1982). Discourse Strategies. Cambridge: Cambridge University Press.
26. დი პიეტრო 1971 - Di Pietro R.J. (1971) . Language Structures in Contrast. Rouley, Mass: Newbury House Publishers.
27. დობტურიშვილი 2004 - დობტურიშვილი მ. (2004). კულტურული პარადიგმები და დისკურსის ტიპოლოგია. ენა და კულტურა.1. თბილისი: ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი.
28. ედმონდსონი, ჰაუსი 1981 - Edmondson W., House J. (1981). Let's talk and talk about it. A pedagogic interactional grammar of English. Müncheni Urban and Schwarzenberg.
29. ვენედიქტოვა 1997 -Венедиктова Т. Д. (1997).Американистикакаккоммуникативное знание // Профессионалы за Сотрудничество.
30. ვენტოლა 1979 - Ventola E.(1979). The structure of casual conversation in English. Journal of Pragmatics 3.
31. ზექალაშვილი 2012 - ზექალაშვილი რ. (2012). ქართული დიალოგური მეტყველება: ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები. თბილისი: განათლება.
32. თევდორაძე 2010 - თევდორაძე ნ. (2010). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
33. თიმბერგი 2002 - Timberg B. (2002). Television Talk. A History of the TV Talk Show. Austin: University of Texas Press.
34. იარცევა 1981 - Ярцева В.Н. (1981). Контрастивная грамматика. Москва, Наука.
35. ილი 1999 - Ilie C. (1999). Question-Response Argumentation in Talk Shows. Journal of Pragmatics 31. 975-999.
36. ილი 2001 - Ilie C. (2001). Semi-Institutional Discourse: The Case of Talk Shows. Journal of Pragmatics 33. 209-254.
37. კაშკინი 2007 - Кашкин В.Б. (2007). Сопоставительная Лингвистика. Воронеж.Федеральное агентство по образованию.

38. ლადო 1957 - Lado R. (1957). Linguistics Across Cultures. Applied Linguistics for Language Teachers. University of Michigan Press: Ann Arbor.
39. ლაიონსი 1977 - Lyons J. (1977). Semantics. Vol.s 1&2. Cambridge, Cambridge University Press.
40. ლარინა 2004 - Ларина Е.Г. (2004) . Лингвопрагматические особенности токшоу как жанра телевизионного дискурса. Волгограду. Диссертация.
41. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი. გამომცემლობა: ენა და კულტურა.
42. ლებანიძე 1998 - ლებანიძე გ. (1998). ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ ენა და კულტურა".
43. ლეონტიევიჩი 2002 - Леонтович О. Л. Русские и американцы: парадоксымежкультурного общения: Монография. Волгоград: Перемена, 2002.
44. ლივინგსტონი, ვობერი, ლანტი 1994 - Livingstone S., Wober M., Lunt P. (1994). Studio Audience Discussion Programmes: An Analysis of Viewer's Preferences and Involvement. In: European Journal of Communication, №4.
45. ლივინგსტონი 1994 - Livingstone S., Lunt P. (1994). Talk on Television. London: Routledge.
46. ლინკე 2004 - Linke A. (2004). Studienbuch Linguistik. Tübingen:Niemeyer.
47. ლიოფლერი 2002 - Löffler H. (2002). Entwicklung, Funktion, Präsentationsformen und Texttypen der Talkshows. In: Leonhard J.-F., Ludwig H.-W., Schwarze D., Straßner E.: Medienwissenschaft: ein Handbuch zur Entwicklung der Medien und Kommunikationsformen. Teilbd. 3. Berlin: de Gruyter
48. ლიჩი 1983 - Leech G.(1983). Principles of Pragmatics. London: Longman.
49. მალაღურაძე 2013 - მალაღურაძე თ. (2013). თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები. თბილისი: უნივერსალი.

50. მარტინეზი 2000 - Martinez R. (2000). Political Interviews, Talk Show Interviews and Debates on British TV: A Contrastive study of the International Organization of three broadcast Genres. Doctoral Thesis. Satiago Del Compostela University.
51. მარლანია 2005 - მარლანია მ. (2005). შეფასების კატეგორიის რეალიზაცია ბრიტანულ და ქართულ პრესაში. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
52. მეგრელიშვილი et al 2012 - მეგრელიშვილი მ., გვილავა რ., ალავიძე მ., ნიჭარაძე ნ., ზვიადაძე ნ., (2012). ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (ზმნის კატეგორიათა მასალაზე). ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
53. მენგენო 2002 - Maingueneau D.(2002). Dictionnaire. Bern: Peter Lanng.
54. მიკოსი 1994 - Mikos L. (1994). Fernsehen im Erleben der Zuschauer: Vom lustvollen Umgang mit einem popularen Medium. Berlin: Quintessenz.
55. მიუსონი 1993 - Muson W. (1993) . All Talk: The Talk Show in Media Culture. Philadelphia, PA: Temple University Press, 1993.
56. ნებიერიძე 1991 - ნებიერიძე გ. (1991). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
57. ნებიერიძე 2013 - ნებიერიძე მ. (2013). სისტემური და რიტუალური შეზღუდვების ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ თოქშოუებში. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
58. ოსტმანი 1981 - Östman J-O. (1981). You know A discourse-functional approach. Amsterdam: John Benjamins.
59. ოსტმანი 1995 - Östman J-O. (1995). Pragmatic particles twenty years after. In Wårvik, Brita, Tanskanen, Sanna-Kaisa & Risto Hiltunen, Organization in discourse. Proceedings from the Turku Conference. Turku: University of Turku, pp. 95-108 .

60. ოსტმანი 2006 - Östman J-O. (2006). Constructions in cross-language research: Verbs as pragmatic particles in Solv. In Pragmatic markers in contrast, 2, edited by K. Aijmer, A-M. Simon-Vandenberg . Amsterdam: Elsevier. pp. 237-257.
61. პავო 2003 - Paveau M., Sarfati G. (2003). Le grandes theories de la linguistique. Armand Colin.
62. პანკრატოვა 2001 - Панкратова О. А. (2001). Типы дискурса. Проблемы лингвокультурологии и семантики через призму междисциплинарной парадигмы: Сб. ст. Волгоград.
63. პლაკე 1999 - Plake K. (1999). Talkshows. Die Industrialisierung der Kommunikation. Darmstadt: Primus.
64. პლაკე 2004 - Plake Klaus (2004). Handbuch Fernsehforschung, Befunde und Perspektiven. Wiesbaden: VS/GWV.
65. რიჩარდსონი 1999 - Richardson K. (1999). Worlds in Common? Television Discourse in a Changing Europe. London and New York: Routledge.
66. სადოკი 1974 - Sadock J. M. (1974). Toward a Linguistic Theory of Speech Acts. Academic Press: New York.
67. საინსი 2000 - Signes G. (2000) . A Genre Based Approach to Daytime Talk on Television. SELL Monographs 1. Valencia: Universitat de Valencia.
68. სერლი 1969 - Searle J. R. (1969). Speech Acts. Cambridge, Cambridge University Press.
69. სვანაძე 2012 - სვანაძე რ. (2012). თოქშოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი გერმანულ და ქართულ ენებში. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
70. სოლნცევი 1977 - Солнцев В.М. (1977). Язык как структурно-системное образование. Москва: Наука.
71. სკოლონი 2001 - Scollon R. (2001). Intercultural Communication. A Discourse Approach. Second Edition. Massachusetts: Blackwell Publishers.

72. ტოლსონი 2001 - Tolson A. (2001). Talk Shows: Discourse, Performance, Spectacle. Routledge.
73. ტოტი 1991 - Tottie, G. (1991). Conversational Style in British and American English: The Case of Backchannels. English Corpus Linguistics: Studies in Honour of Jan Svartvik. New York: Logman.
74. უაითი 1997 - White R. (1997). Back Channeling, Repair, Pausing and Private Speech. Applied Linguistics. Vol.18. No 3.
75. უაითი 2003 - White P. (2003). Beyond modality and hedging: a dialogic view of the language of intersubjective stance. Text 23 (2): 259-284.
76. უიტმანი 1970 - Whitman L. (1970). Contrastive Analysis: Problems and Procedures. In Language learning.
77. ფარჯანაძე 2010 - ფარჯანაძე ნ. (2010). პრაგმატიკული მნიშვნელობის წარმოშობის სპეციფიკა (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე). ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
78. ფერკლო 1995 - Fairclough N. (1995). Media discourse. London: Edward Arnold.
79. ფერკლო 2003 - Fairclough N. (2003). Analysing discourse: Textual analysis for social research. London: Routledge.
80. ფერკლო 2010 - Fairclough N. (2010). Critical Discourse Analysis: The Critical Study of Language, Longman.
81. ფლაი 1997 - Fley M. (1997). Talkshows im dt. Fernsehen. Konzeptionen und Funktionen einer Sendeform. Bochum: Brockmeyer.
82. ფოლტინი 1990 - Foltin H.-F. (1990). Zur Entwicklung der Talkshow in den USA. Media Perspektiven, № 8.
83. ფრაი-ბორერი 1991 - Frei-Borer U. (1991). Das Clubgespräch im Fernsehen. Eine gesprächslinguistische Untersuchung zu den Regeln des Gelingens. Bern: Peter Lang.
84. შეგლოფი 1973 - Shegloff E., Sacks S. (1973). Opening up Closings. Semiotica.

85. შაიდტი 2000 - Scheidt W. (2000). Affekt-Talks: Rezeptionsmotive und affektive Bewertung eines TV-Genres. Berlin: VISTAS.
86. შერბა 1947 - Щерба Л.В. (1947). О частях речи в русском языке. В кн. : Щерба Л.В. Языковая система и речевая деятельность/ под. ред. Л.Р Зиндера и М.И. Матусевич. Ленинград. Наука.
87. ჩიქობავა 2008 - ჩიქობავა ა. (2008). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
88. ჩილტონი 2003 - Chilton P. A. (2003). Analysing Political Discourse Theory and Practice. Routledge.London.
89. ციმერმანი 1975 - Zimmerman D., West C. (1975). Sex Roles, Interruptions and Silences in Conversation. Newbury House.
90. ხახუტაშვილი 2012 - ხახუტაშვილი ე. (2012). მასობრივი ინფორმაცია და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. თბილისი: განათლება №3.
91. ჰალიდეი, ჰასანი 1976 - Halliday M. A. K., Hasan R. (1976). Cohesion in English. London: Longman.
92. ჰალიდეი 1978 - Halliday M. A. K. (1978). Language as social semiotic: The social interpretation of language and meaning. London. Edward Arnold.
93. ჰალიდეი, ჰასანი 1985 - Halliday M. A. K., Hasan R. (1985). Language, Context and Text. Aspects of Language in a Social-Semiotic Perspective. Geelong, Vic. Deakin University Press.
94. ჰარისი 1952 - Harris Z. (1952). Discourse Analysis. April 26, 2012. By Wauconda inText Linguistics, <http://waucondastore.com/discourse-analysis-z-harris>.
95. ჰარისი 1996 - Harris Z. (1996). Language and Communication. Routledge: London.
96. ჰაჩი 1992 - Hatch E. (1992). Discourse and Language Education Cambridge: Cambridge University Press.

გამოყენებული სატელევიზიო საინფორმაციო საშუალებები

ბრიტანული თოქშოუები

The Graham Norton Show

1. The Graham Norton Show, February 24, 2015-
https://www.youtube.com/watch?v=g_kbdQ4BbUQ
2. The Graham Norton Show, May 20, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=Q7DzBW1ZDGg>
3. The Graham Norton Show, August 19, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=flTnCm9ulNI>
4. The Graham Norton Show, August 21, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=JPoPuBjgeHc>
5. The Graham Norton Show, October 30, 2015-
<https://www.youtube.com/watch?v=d377ruNVMO8>
6. The Graham Norton Show, October 11, 2014 -
<https://www.youtube.com/watch?v=T46sPqN6Gj8>
7. The Graham Norton Show, May 17, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=jN2dmTMgsas>
8. The Graham Norton Show, June 14, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=wSTGVc18wTk>
9. The Graham Norton Show, February 3, 2012-
<https://www.youtube.com/watch?v=DyHV3ZDmYyY>

The Alan Titchmarsh Show

1. The Alan Titchmarsh Show, February 3, 2014 -
https://www.youtube.com/watch?v=JpqY5vgQ_7g

2. The Alan Titchmarsh Show, October 17, 2014 -
https://www.youtube.com/watch?v=O3nRwoZvF_8
3. The Alan Titchmarsh Show, February 25, 2013-
<https://www.youtube.com/watch?v=srjQRfnLwX4>
4. The Alan Titchmarsh Show, March 19, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=iZo3SHox4NQ>
5. The Alan Titchmarsh Show, March 23, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=BjaUBnalExA>
6. The Alan Titchmarsh Show, May 17, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=vKZx8Lq1pZ4>
7. The Alan Titchmarsh Show, June 27, 2012 -
<https://www.youtube.com/watch?v=hIUZBUHAFdc>
8. The Alan Titchmarsh Show, September 6, 2012 -
http://www.youtube.com/watch?v=_6wdQYi5Yzg
9. The Alan Titchmarsh Show, October 19, 2012 -
<https://www.youtube.com/watch?v=ypyUZvHLGCg>

Loose Women

1. Loose Women, January 12, 2015 –
<https://www.youtube.com/watch?v=2BoB3zzieV0>
2. Loose Women, March 24, 2015 –
<https://www.youtube.com/watch?v=wQOOhZvnrq4>
3. Loose Women, April 24, 2013 -
https://www.youtube.com/watch?v=FH_dlavp068
4. Loose Women, November 26, 2014 -
<https://www.youtube.com/watch?v=CLgpX-x2n6E>

5. Loose Women, October 6, 2014 –
<https://www.youtube.com/watch?v=dljqJCY43x4>
6. Loose Women, March 5, 2013 –
<http://www.youtube.com/watch?v=-5d6usgq-UY>
7. Loose Women, March 19, 2013 –
<http://www.youtube.com/watch?v=ZEuo4lR0Ag4> -
8. Loose Women, May 23, 2013 –
<http://www.youtube.com/watch?v=uv7r6pKvszg>

ქართული თოქშოუები

The ვანო'ს Show

1. The ვანო'ს Show, 23 იანვარი, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=Mp7-zu9CAeU>
2. The ვანო'ს Show, 13 მარტი, 2015
<https://www.youtube.com/watch?v=7S63O5cx1Ko>
3. The ვანო'ს Show, 24 აპრილი, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=ZJYkLWTAAAn8>
4. The ვანო'ს Show, 9 ოქტომბერი, 2015-
<https://www.youtube.com/watch?v=Vud6yuZQfpU>
5. The ვანო'ს Show, 20 ნოემბერი, 2015 -
<https://www.youtube.com/watch?v=KuOH5-Fndug>
6. The ვანო'ს Show, 7 ნოემბერი 2014 -
<https://www.youtube.com/watch?v=dNYiFGZQXmE>
7. The ვანო'ს Show, 12 დეკემბერი, 2014-
<https://www.youtube.com/watch?v=PK2eFhclKoY>

8. The ვანო'ს Show, 18 ივნისი, 2013 -
<https://www.youtube.com/watch?v=mmrxeyRDXUY>
9. The ვანო'ს Show, 28 ივნისი, 2013-
<https://www.youtube.com/watch?v=mmrxeyRDXUY>

ნანუკას შოუ

1. ნანუკას შოუ, 8 მარტი, 2015-
<https://www.youtube.com/watch?v=2GDuZSVSGrU>
2. ნანუკას შოუ, 1 აპრილი, 2015-
<https://www.myvideo.ge/v/2540623>
3. ნანუკას შოუ, 1 ივლისი, 2015 –
<https://www.youtube.com/watch?v=2F6JOBomgwY>
4. ნანუკას შოუ, 30 ივლისი, 2015-
<http://rustavi2.com/ka/video/16799?v=2>
5. ნანუკას შოუ, 16 სექტემბერი, 2015-
<https://www.youtube.com/watch?v=aVpGI6dJZHE>
6. ნანუკას შოუ, 8 ივლისი, 2014
<https://www.myvideo.ge/v/2885950>
7. ნანუკას შოუ, 24 სექტემბერი, 2014 -
<https://www.youtube.com/watch?v=t1NJc38VGiY>
8. ნანუკას შოუ, 3 დეკემბერი, 2014-
<https://www.youtube.com/watch?v=flpjb99WIqQ>
9. ნანუკას შოუ, 6 დეკემბერი, 2011-
<https://www.youtube.com/watch?v=McbvJzLGHno>

დღის შოუ

1. დღის შოუ, 5 ივნისი, 2015 -
https://www.youtube.com/watch?v=3rj5GwCi_p0
2. დღის შოუ , 5 ოქტომბერი, 2015-
medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=5656&id=31&tp=0
3. დღის შოუ , 7 ოქტომბერი, 2015-
http://medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=5682&id=31&tp=0
4. დღის შოუ , 15 ოქტომბერი, 2015-
http://medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=6434&id=31&tp=0
5. დღის შოუ , 20 ნოემბერი, 2015-
http://medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=6149&id=31&tp=0
6. დღის შოუ, 18 ნოემბერი, 2015
http://medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=6122&id=31&tp=0
7. დღის შოუ , 15 დეკემბერი, 2015-
http://medi.ge/index.php?pg=shs&id_pr=6434&id=31&tp=0
8. დღის შოუ , 24 სექტემბერი, 2014-
<https://www.youtube.com/watch?v=gaIzNcMhHjA>
9. დღის შოუ , 27 მარტი, 2013-
<http://www.youtube.com/watch?v=qSPTlR8jofU>
10. დღის შოუ , 28 მარტი, 2013-
<http://www.youtube.com/watch?v=N9ESCXFJ9Hw>

